ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№278 (337) 22-29 ივლისი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ის, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული – აკაკი შანიძე

რაც მოგივა, დავითაო!..

დამთავრდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა არჩევნების მეორე ტურიც, სადაც ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი უნდობლობა და გაუცხოება **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობისადმი”,** რომელიც ცხრა წლის განმავლობაში მუდმივ გაურკვევლობაში, ტერორსა და საშინელ სიღატაკეში ამყოფებდა სრულიად საქართველოსა და ქართველ ერს. და ამაში არაფერია გაუგებარი: ქართველმა ხალხმა აითვალისწუნა ნაცები იმიტომ, რომ სააკაშვილსა და მის თანამზრახველებს ეჯავრებოდათ ქართველი ხალხი და სამშობლო მათთვის საშუალება იყო და არა მიზანი, ისინი მღილებად მიიჩნევდნენ უბრალო ადამიანებს და მსოლოდ საკუთარ კეთილდღეობასა და გამდიდრებაზე ზრუნავდნენ, რამაც **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”** დანაშაულებრივ ორგანიზაციად აქცია!

უკვე ციხეში სხედან ახალაია, მერაბიშვილი, უგულავა და სხვა ნაცი არამზადები, რომელთაც მოჰკლეს სანდრო გირგვლიანი, მოაწყვეს ხურჩის ტერაქტი, დაარბიეს მშვიდობიანი დემონსტრაციები, გააყალბეს არჩევნები, მიითვისეს სახელმწიფო ბიუჯეტის თანხები...

მალე ციხეში გაამწესებენ გიგა ბოკერიას, გივი თარგამაძეს, გიორგი ბარამიძეს, უგულავას ცოლს და, ალბათ, თბილისის მერობის კანდიდატს **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან”** ნიკანორ მელიასაც, რომელიც ეჭვმიტანილია **“ქართუ-ბანკის”** მიმართ ნაციონალური ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულში.

ნაციონალთა ბანდის მეთაურების საქართველოსადმი ზიზღისმიერი დამოკიდებულება იოლი ასახსნელია – სააკაშვილი და მისი თანამზრახველები ეთნიკურად აშკარად არაქართველები არიან და მათი სჯულის კანონი მხოლოდ საქართველოსა და ქართველებისადმი მტრობას კარნახობს ამ გადაგვარებულებს. მე, უბრალოდ, იმ ქართველების ვერ გამიგია, რომლებიც ნაცებთან ერთად ერთი სალაფავიდან ხვრეპდნენ ქართველი ხალხის სისხლს და დღესაც ვერ დარწმუნებულან, რომ ნაცების გვერდით დგომა საქართველოს ღალატს ნიშნავს!

მე მათ **“არაქართველ ქართველებს”** ვუწოდებ, რადგან ეთნიკური წარმოშობა ყოველთვის ვერ ასახავს ამა თუ იმ სუბიექტის მიერ სამშობლოსადმი დამოკიდებულების სულისკვეთებას! ეთნიკურად ნადდი ქართველი არაკაც ნაციონალებს შორის გახლდათ ვანო მერაბიშვილი, მაგრამ, როგორც შეიძლება ნდობა გამოვუცხადო მის ქართველობას იმ ბოროტებათა შემდეგ, რაც მერაბიშვილმა თავს დაატეხა ქართველ ერს.

შეიძლება ვინმე შემომედავოს – მერაბიშვილი ამას სააკაშვილის შეკვეთით აკეთებდაო, მაგრამ ტვინი და ხელი ხომ მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და ამიტომაც თანაბრად იზიარებენ პასუხისმგებლობას საკუთარ საქმეთა გამო. ამიტომაც ზის ციხეში მერაბიშვილი და მთელ მის ისტორიაში საწყენი მხოლოდ ისაა, რომ მას გვერდს (ჯერჯერობით) არ უმშვენებენ ყველა ამ სიბოროტეთა **“ინტელექტუალური შემოქმედები”** მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ადეიშვილი და გიგა ბოკერია.

სიმახინჯედ შობილი ნაციონალები ისევე ვერ ეგუებიან ჭეშმარიტებას ოპოზიციაში ყოფნის დროს, როგორც ვერ ეგუებოდნენ მაშინ, როცა ხელისუფლებაში იყვნენ. მართალია, მათ უკვე ხელი ვეღარ მიუწვდებათ ბოროტი ჩანაფიქრის რეალიზაციაზე, მაგრამ, მათი უტიფრობა და თავხედობა მაინც გამაღიზიანებელია. მაგალითისათვის თუნდაც თბილისის მერობის ნაციონალი კანდიდატის ნიკა მელიას აშკარად თავხედური გამოხტომა გამოდგება, რომელმაც დავით ნარმანიას ტელედებატებისას უთხრა, რომ შენ ივანიშვილის ნებართვის გარეშე ვერაფერს მოიმოქმედებ და ბიძინა ივანიშვილმა მთელი ღამით აქ დგომა რომ გიბრძანოს, დამეს გაუნძრევლად, ფეხზე მდგომი გაატარებო.

და ამას ამბობს იმ ზნედაცემულ “ნაციონალთა” გუნდის ერთ-ერთი აქტიური წევრი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა თავქარქაშა მიხეილ სააკაშვილის გასადიქტატორებლად. და თუ ნახევრად სულელი სააკაშვილი გაიცინებდა, მთელი სახელისუფლებო ვერტიკალი თუ მას სიცილში არ აჰყვებოდა, ცუდად წაუვიდოდათ საქმე. ნიკანორ მელიას ეს როყიოდ ნასროლი მართლაც თავხედური ფრაზა მხოლოდ იმით შეგვიძლია გავამართლოთ, რომ **“ენას ძვალი არა აქვს...”**

თუმცა, მეორე ტურის საარჩევნო ორომტრიალში, მაინც მოხდა ძალზე სამწუხარო ამბავი. არავინ იფიქროს, რომ ნაციონალთა **“გამანადგურებელი”** ანგარიშით დამარცხებამ დაგვამწუხრა. პირიქით, ამაზე გასახარებელი ამბავი დიდი ხანია არაფერი გამიგია. საუბარია იმაზე, რომ ნიკანორ მელიამ სამარცხვინოდ უდალატა კოლხურ რაინდულ სულს და გამარჯვება არ მიულოცა დავით ნარმანიას. ასე იცის **“კარენოი თბილისელობამ”,** როცა აკაკის **“ღამურად”** იქცევა ადამიანი და იგი შემდეგ ვერც ვირთხობას ახერხებს და ვერც ფრინველობას. გამედიდებულმა **“კარენოი თბილისელებმა”** არაერთხელ დაამტკიცეს, რომ მათი იდეალი ოცი ცალი ხინკალი და ორი კათხა ლუდია (კომპლექციაზე არ ეტყობათ თუ რა!), რისთვისაც ისინი ქართულ ისტორიულ ტრადიციებსაც შეაქცევენ ზურგს და ზნეობრივ-მორალურ პრინციპებსაც! და როცა ამგვარი ხალხის თვალსაწიერში მოექცა ნიკანორ მელია და არათბილისელობა ღრმა პროვინციალიზმად ჩათვალა, სწორედ ამ დღიდან დაიწყო მისი დაცემა, რაც ლოგიკურად დასრულდა კიდეც 2014 წლის 12 ივლისს.

და ის, რომ ნიკანორ მელიამ არჩევნების მეორე ტურში ხმების 27 პროცენტი დააგროვა, უკვე საბოლოოდ ჩასვრილი **“ნაციონალები”** თავიანთ დიდ გამარჯვებად მიიჩნევენ. არა და, ეჭვი არავის ეპარება, რომ ამ 27 პროცენტიდან 15 პროცენტი მაინც ნიკანორის მამას, შესანიშნავ დასტაქარს ანზორ მელიას ეკუთვნის, რომელსაც უამრავი ადამიანი გამოუგლეჯია სიკვდილის კლანჭებიდან. 6 პროცენტი ნიკანორ მელიას მეგობრებს და მერიის სისტემის ნაციონალ თანამშრომლებსა და სამეთვალყურეო საბჭოთა დიდხელფასიან უსაქმურ უნიჭო ნაციონალებს ეკუთვნით, რომელთაც შეღავათები ბრმა მხარდაჭერის ნაცვლად უბოძეს სააკაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა.

რაც შეეხება **“ნაციონალთა”** რეალურ რეიტინგს, დარჩენილი 5 პროცენტი ნამდვილად მათ თანამგრძნობებს ეკუთვნით, რაც სულ მალე დადნება შარშანდელი თოვლივით.

ეს რომ არ უნდათ დაიჯერონ გაბაშვილებს, დარჩიაშვილებს, ბოკერიებს, თარგამაძეებს და მათნაირ გადაგვარებულებს, იმიტომაც ყიყინებენ, რომ ჩვენი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გიგი უგულავა სპეციალურად არჩევნების წინ დააკავეს, რათა დავმარცხებულიყავითო. იმას კი არად აგდებენ, რომ მათ ახლა არჩევნების მოგებაში გაცოცხლებული მაცხოვარიც კი ვერ დაეხმარებოდა. რაც შეეხება უგულავას, იგი რომ პასუხისგებისაგან თავდახსნის მიზნით ქვეყნიდან გაქცევის მცდელობისათვის დააკავეს, ამაში უკვე არავის ეპარება ეჭვი.

ამის დასტურად თუნდაც ერთი **“უმნიშვნელო”** ფაქტის მოხმობა შეიძლება: უგულავამ დაკავებისას განაცხადა, რომ იგი კიევში მიემგზავრებოდა უკრაინის პატრიარქის მიწვევით. სინამდვილე კი სხვაგვარი იყო – უგულავას დღეს გარდაიცვალა უკრაინის პატრიარქი, რომელიც მანამდე სამი თვის განმავლობაში კომაში იმყოფებოდა და ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იყო მიერთებული. იქნებ აგვიხსნას გიგი უგულავამ, როგორ მოახერხა ასეთ მძიმე მდგომსრეობაში მყოფმა ადამიანმა მისი სტუმრად მიწვევა?

როგორც იტყვიან, ტყუილს (მით უფრო – **“ნაციონალურს”**) აშკარად მოკლე ფეხები აქვს!

“ქართული ოცნების” შტაბმა კი დამსახურებული გამარჯვება იზეიმა და ნამდვილად სასიხარულოა ის ამბავი, რომ თბილისის ნაციონალური წუმპიდან ამოთრევის საქმე სწორედ სამეგრელოს კუთხის შვილი წარუძღვება.

“დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება, ქართულ ისტორიაში, ვისაც ერთიანი საქართველოს შექმნისათვის, ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისათვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე გიორგი ჭყონდიდელმა გააკეთა. დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება, რომელსაც საქართველოს, მათ შორის თბილისის, აფხაზეთის გაქართველებისათვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე ლავრენტი ბერიამ გააკეთა. დამისახელოს ვინმემ პიროვნება, რომელსაც ქართველთა სულიერი გაერთიანებისათვის, ქართული სულის ამაღლებისათვის უფრო მეტი გაუკეთებია, ვიდრე ეს ზვიად გამსახურდიამ გააკეთა” – აღნიშნა ცნობილმა ქართველმა პოლიტიკოსმა, სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** თავმჯდომარემ ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ 2005 წელს ზუგდიდში გამართულ სახალხო მოძრაობის მეოთხე ყრილობაზე. ასე რომ, ბატონ დავით ნარმანიას შესანიშნავი ტრადიცია ეგებება თბილისის მერის თანამდებობაზე და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ წარმატებები ვუსურვოთ ჩვენი კუთხის შვილს მომავალ საქმიანობაში, რათა საბოლოოდ ამოათრიოს თბილისი ნაციონალური ჭაობიდან და სრულიად ახალი სიცოცხლე შთაბეროს მას!

დავით ნარმანიას განცხადებაც მეტყველებს იმაზე, რომ მერიაში მოვიდა ახალი ძალა, რომლის უპირველესი პრიორიტეტი უბრალო ადამიანი იქნება.

“ორშაბათიდან ვიწყებთ ძალიან აქტიურ მუშაობას. პირველი რამდენიმე დღე იქნება მოსამზადებელი იმისთვის, რომ ძირითადი საკითხები, რაც მერიაში მუშაობის დაწყებასთან და ჩვენი პროგრამის რეალიზაციასთან არის დაკავშირებული, მოვამზადოთ, რათა ყოველდღიურ რეჟიმში აქტიური მუშაობა დავიწყოთ. თბილისი ძალიან მალე ნახავს ჩემი და ჩემი გუნდის ხელს. ძალიან ბევრი პრობლემა, რაც დედაქალაქში არსებობს, თითოეული ჩვენი მოქალაქის სასიკეთოდ შეიცვლება”, – განაცხადა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნების მეორე ტურში გამარჯვებულმა დავით ნარმანიამ. მისივე თქმით, პირველივე დღიდან დამტკიცდება მერიაში და გამგეობებში მოქალაქეთა მიღების წესი, თავად მერიის სისტემა კი სტრუქტურულ ოპტიმიზაციას დაექვემდებარება, რაც გულისხმობს ცალკეული მიმართულებით იმ ახალი სამსახურების ფორმირებას, რომელიც ახალი მერის პროგრამის რეალიზაციისთვის აუცილებელი იქნება.

არჩევნების შედეგებს კი მოხდენილად გამოეხმაურა ჩემი მეგობარი ჟურნალისტი და პოეტი და ჩვენი გაზეთის ავტორი ბატონი ალექსანდრე შენგელაია:

– მერად მელია?
– აბა, ტურაი?
– ზოოპარკია, აბა, თუ რაი?
– ვნახოთ,
რას იტყვის ჩვენი სტუმარი,
ნათბილისარი, ნაბათუმარი –
აპატურაი?!

მაშ ასე, ცხოვრებამ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ **“ნაციონალური მოძრაობა”,** რომელიც ძალაუფლებას მხოლოდ ხანჯლით, საწამლავით და დიდი ფულით ინარჩუნებდა, საბოლოოდ დაჭკარგა გავლენა საქართველოში და ვეღარასოდეს დაუბრუნდება სახელისუფლებო მწვერვალს. ისინი კი მაინც უტიფრად გვიმტკიცებენ, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენენ, გვიმტკიცებენ რომ ცოცხლები არიან, რომ ქართველი ხალხის ფულით მოსყიდული **“გაპედერასტებული”** ევროპა ზრუნავს მათზე, რომ...

ისიც კი არ იციან ამ უდღეურებმა, რომ სიცოცხლე ჭაობშიც კი არის, რომელიც, თავისი ყოფის დასტურად ბუშტუკებს ამოყრის ხოლმე ჭაობის ზედაპირზე. მაგრამ მხოლოდ ჭაობის მყრალი სუნთქვა ამოაქვთ ამ ბუშტულებს და გარემოს მოწამვლის გარდა სხვას ვერაფერს ახერხებენ.

სწორედ ასეთი **“ბუშტუკებით”** წამლავს გარემოს დღეს ავადსახსენებელი **“ნაციონალური მოძრაობა”,** მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, სულ უფრო და უფრო მცირდება ამ ბუშტუკების რიცხვი და მალე გარემოს მოშხამვის პროცესი სამუდამოდ შეწყდება!

“რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო” – ეუბნება ქართველი კაცი მას, ვინც ნებსით თუ უნებლიედ მიეხლება ხოლმე თავით ქვითკირის გალავანს.

“დავით” ნარმანიას ეს ფრაზა ნამდვილად არ ეკუთვნის, რადგან სწორედ საკუთარი ნიჭიერი თავის წყალობით გახდა იგი ქალაქ თბილისის მერი.

რაც შეეხება ნაციონალ **“დავითებს”** და მათ თავნება ბელადს მიხეილ სააკაშვილს, მათ რაც დაემართათ, სწორედ მათი მახინჯი აზრით გამოტენილი თავების ბრალია.

სხედან ახლა გაბზარულ ვარცლთან (ბევრი მათგანი კი – ციხე-კოლონიებში) და იმ ბედნიერ ჟამს იხსენებენ, როცა ხალხის ფულით აღმა-დაღმა დაქრიალებდნენ მსოფლიო ვოიაჟებში, დროს ატარებდნენ კახპებთან და ლას-ვეგასის კაზინოებში, იკეთებდნენ ძვირადღირებულ მასაჟებს და ბოტოქსის ინექციებს (არც ნარკოტიკებს აკლებდნენ ხელს) და არცერთ ამქვეყნიურ სიამოვნებას იკლებდნენ...

ახლა კი კვლავ გვემუქრებიან, რომ მალე დაბრუნდებიან ხელისუფლებაში.

ასეთი შემთხვევისათვისაც კარგი ნათქვამი გვაქვს ქართველებს: **“რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთ”!**

როლანდ ჯალაღანია,
“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების
წევრი

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

ერისა და ეროვნული მოძრაობის საკითხი სოციოლოგიის ერთ-ერთი უძირითადესი და ურთულესი საკითხია. დღემდე არ არის საბოლოოდ გარკვეულიერის ცნება: რა ნიშნები ახასიათებს ერს, როდის მოხდა ისტორიაში ერების წარმოშობა, როდის, როდის იწყება ეროვნული მოძრაობა, როდისაა ის პროგრესული ან რეაქციული, ვინ ხელმძღვანელობს...

ამ საკითხებზე სწორი, მეცნიერული პასუხების გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ მთელი კაცობრიობის ისტორია – "საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიული ფაქტები".

აღნიშნულ თემაზე, ამას წინათ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (საქართველოს ისტორიის მიმართულება) ***ისტორიის აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომი წარადგინა ბატონმა იბორ კეკელიამ, რომელიც წარმატებით იქნა დაცული. ნაშრომის სათაური გახლავთ "სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია", რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლდათ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი გიორგი მჭედლიძე.***

გაზეთ **"ილორის"** მკითხველებს ვთავაზობთ აღნიშნულ თემას.

1771-1772 წლებში საქართველოში იმოგზაურა ცნობილმა გერმანელმა ნატურალისტმა, მედიცინის დოქტორმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა (1745-1781 წწ.), რომელმაც დაგვიტოვა მნიშვნელოვანი ცნობები სამოგზაურო ჩანაწერების სახით. იმერეთში იგი 1772 წლის ივლის-სექტემბერში იმყოფებოდა. ამ პერიოდში შეძლო სამეგრელოს საზღვრებისა და იმერეთის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოვლა (გიულდენშტედტი I, 1962).

XIX საუკუნის 40-იანი წლების საქართველოს ისტორიის შესასწავლად საინტერესო წყაროს წარმოადგენს ცნობილი გერმანელი მოგზაურის, გეოგრაფისა და ბუნებისმეტყველის, მიუნხენის აკადემიის წევრის – მორიც ვაგნერის (1813-1887 წწ.) თხზულება. წიგნის VIII-IX-X თავებში ვაგნერი აღწერს იმერეთსა და სამეგრელოს, ამ მხარეთა სამეურნეო და სულიერ ცხოვრებას, ეკონომიკურ მდგომარეობას, საცხოვრებლებს, ახასიათებს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენას, რუსულ საბაჟო კანონებს, რედუტ-კალეს, ფოთის ციხეს, ზუგდიდს და დადიანთა რეზიდენციას, ხობისა და მარტვილის მონასტრებს (ვაგნერი 2002).

კავკასიათმცოდნეობისა და საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის უადრესად საყურადღებო წყაროა XVIII ს-ის გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის – იაკობ რაინეგსის ნაშრომი. აღნიშნული თხზულება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქვეყნის გეოგრაფიული აღწერის თვალსაზრისით. გერმანელი მოგზაური აღწერს სამფლობელოებსა და მათ საზღვრებს, ქალაქებს, სოფლებს, ეკლესია-მონასტრებს, მდინარეებს, ხიდებს, გზებს, მთებს, ტყეებს, ნიადაგებს და ა. შ. (რაინეგსი 2002).

ჩვენთვის საინტერესო თემატიკაზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს ნიკო დადიანის **„ქართველთ ცხოვრებას“**, რაც 1962 წელს ცალკე წიგნად გამოსცა პროფ. შ. ბურჯანაძემ. სამი ნაწილისაგან შემდგარი აღნიშნული თხზულება ძირფას წყაროს წარმოადგენს ფეოდალური ხანის ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. პირველ და მეორე ნაწილში წარმოდგენილია ეპოქა უძველესი დროიდან 1749 წლამდე. ნ. დადიანის თხრობა არსებითად ვახუშტის მატიანეში გადმოცემული პოლიტიკური ისტორიის ამბებით შემოიფარგლება და ვერ სცილდება ვახუშტისეული **„აღწერის“** ტრადიციულ სქემას. გარკვეული ღირებულების მქონეა ნ. დადიანის მიერ მოწოდებული დამატებითი ცნობები აღნიშნულ პერიოდზე. ვახუშტის თხზულებისაგან დამოუკიდებლად შედგენილი მესამე ნაწილი წარმოადგენს ნიკო დადიანის მიერ შეთხზულ თითქმის ერთადერთ ნარატიულ წყაროს ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური თავგადასავლის შესახებ, 1749 წლიდან 1823 წლამდე (დადიანი 1962: 5-58).

იმდენად, რამდენადაც წყაროთმცოდნეობითი კვლევა გულისხმობს უშუალოდ ძველ საისტორიო წყაროზე მუშაობასა და მის ტექსტობრივ-შინაარსობრივ და წყაროთმცოდნეობით ანალიზს, შესაბამისად, ასეთი კვლევა ნაკლებად განიცდიდა იდეოლოგიურ გავლენას, რადგან ნაკლებად არსებობდა იდეოლოგიური ზეწოლის საშუალებები. სწორედ ამიტომ, ისტორიულ მეცნიერებაში ეპოქისათვის დამახასიათებელი მარქსისტული სოციოლოგიის პრინციპების განუხრელი ბატონობის პირობებში (რამაც განსაკუთრებული სიმძაფრით თავი იჩინა გასული საუკუნის 30-50-იან წლებში) გამოცემის მიუხედავად, ქართულ ნარატიულ წყაროებსა და მათ შესახებ არსებულ სამეცნიერო კვლევებს დღემდე არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება.

ოდიშ-აფხაზეთის საეკლესიო, ეთნიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლის თვალსაზრისით პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება და მკვლევარს მრავალ ღირებულ ინფორმაციას აწვდის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მუხლჩაუხრელი მკვლევრის – სარგის კაკაბაძის (1886-1967 წწ.) მიერ 1921 წელს ორ წიგნად გამოცემული **„დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“**, აგრეთვე 1925 წელს **„საისტორიო მოამბეში“** დაბეჭდილი **„აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი“** (კაკაბაძე 2, 1925; ქსძ II, 1965). ეს უკანასკნელი **„ბიჭვინტის იადგარის“** სახელითაც არის ცნობილი. ესაა დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო საყდრისათვის სხვადასხვა პირის მიერ გაწეული ღვაწლის და შეწირულების აღმნუსხველი ძეგლი. მეორე დავთარიც მალაქია გურიელის ბრძანებითაა დაწერილი. ს. კაკაბაძე მას 1619-1621 წლებით ათარიღებს. ძეგლი საყურადღებო ცნობებს შეიცავს ოდიშის ისტორიული ტოპონიმიისა და საეკლესიო გეოგრაფიის საკითხებზე (კაკაბაძე 1913: 5-46).

ფეოდალური საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს წარმოადგენს იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის (1720-1740, 1741-1752 წწ.) მიერ თავისი სამეფოს სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის საილუსტრაციოდ რუსეთის საიმპერატორო კარზე 1737 წელს გაგზავნილი რუკა. მასზე ნაჩვენებია რელიეფი, ტყე, მდინარეები, ციხესიმაგრეები და მათში განლაგებული ჯარის შეიარაღება (მათურელი IX, 1949: 209-221). რუკაზე ნაჩვენებია ციხესიმაგრეები, თითოეული ციხის სამხედრო ძალა და მისი მფლობელის ვინაობა, აგრეთვე ეკლესია-მონასტრები, საყდრები, სამეფო და ფეოდალთა სასახლეები, ძირფასი ლითონის საბადოები, სამეფოს საზღვრები, სამიმოსვლო გზები, ნავსადგურები და ა. შ. (ბურჯანაძე 1959: 182-197).

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, გეოლოგიური და სხვა სახის აღწერა დაგვიტოვა ცნობილმა გერმანელმა ბუნებისმეტყველმა და მოგზაურმა ედუარდ აიხვალდმა (1795-1876 წწ.). დიდ ინტერესს იწვევს დასახლებული პუნქტებისა და ეკლესიების, სავაჭრო გზების აიხვალდისეული საფუძვლიანი აღწერა (აიხვალდი 2005).

მნიშვნელოვან დოკუმენტურ წყაროს წარმოადგენს ე. თაყაიშვილის, ი. დოლიძის, შ. ბურჯანაძისა და ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემული დოკუმენტური მასალები.

ვახუშტი ბაგრატიონის მრავალმხრივი მოღვაწეობის კვლევით არაერთი მეცნიერი დაინტერესებულა. როგორც ზემოთ აღინიშნა, იძულებით ემიგრაციაში მყოფი ბატონიშვილი საფუძვლიანად გაეცნო დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ისტორიოგრაფიის მიმართულებებს და მოპოვებული ცოდნა საფუძვლად დაუდო თავის შემდგომ მეცნიერულ მოღვაწეობას.

უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი ვახუშტის მეცნიერული მემკვიდრეობისადმი. გამოქვეყნდა მრავალი მონოგრაფია თუ სტატია, მაგრამ ასეთი მზარდი ინტერესის მიუხედავად შეიძლება დაბეჯითებით ითქვას შემდეგი: რა კუთხითაც არ უნდა განვიხილოთ ვახუშტის შემოქმედება, მისი ცხოვრება-ღვაწლისადმი მიძღვნილი, დღემდე გამოცემული და ჩვენ ხელთ არსებული რამდენიმე მონოგრაფიისა და გამოკვლევის შემთხვევაშიც კი, საბოლოოდ მაინც იმ შეხედულების აღიარება მოგვიწევს, რის თანახმადაც ბევრი რამ მისი უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობიდან გამოსამზეურებელია და კვლავაც საგანგებო კვლევას საჭიროებს. შესასწავლია ვახუშტის ცხოვრებისა და შემოქმედების ბურუსით მოცული მთელი რიგი საკითხებისა. მისი ზოგიერთი ორიგინალური თუ თარგმნილი ნაწარმოები კვლავ ერთგულ მჩხრეკელსა და გამომცემელს ელის...

1997 წელს იუნესკოს ეგიდით საერთაშორისო მასშტაბით აღინიშნა ვახუშტი ბაგრატიონის დაბადების 300 წლისთავი. გამოიცა კრებულები: **„ვახუშტი ბაგრატიონი – ისტორიკოსი და გეოგრაფოსი“, „ვახუშტი ბაგრატიონი გეოგრაფი“;** ასევე ვახუშტის **„საქართველოს გეოგრაფია“ და „ საქართველოს ატლასი“.** უნდა ითქვას, რომ ატლასის სახით ამ ძვირფასი ეროვნული განძის გამოცემა ქართული კულტურის ისტორიისათვის ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენადაა მიჩნეული. 2011 წელს დაიბეჭდა ვახუშტის მიერ რუსულიდან შესრულებული ქართული თარგმანი **„პოლიტიკური გეოგრაფიისა“** (ხარაძე 2013: 260-300).

საკვალიფიკაციო თემის ისტორიოგრაფიული ბაზის მიმოხილვისას ჩვენ არ შევეხებით ვახუშტის შესახებ არსებულ ყველა გამოკვლევას. სადისერტაციო ნაშრომის განსაზღვრული მოცულობა და თემატიკა არ იძლევა ამის საშუალებას. ამასთანავე, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ყველა ნაშრომის თუნდაც ზოგადი მიმოხილვა, ბუნებრივია, საგრძნობლად დაგვაშორებდა საკვლევ თემატიკას. ამიტომ, ვინაიდან სადისერტაციო ნაშრომში მიზნად ვისახავთ დასავლეთ საქართველოს ორი კონკრეტული ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის საისტორიო გეოგრაფიასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობას ვახუშტის თვალთახედვით, შესაბამისად შევეხებით იმ გამოკვლევებს, რომლებშიც მეტწილად ასახულია სწორედ ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიისა და ტოპონიმიის ცალკეული საკითხები.

მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, პავლე ინგოროყვას, ნიკო ბერძენიშვილის, ვალერიან გაბაშვილის, ლევან მარუაშვილის განსაკუთრებული ღვაწლი ამ თვალსაზრისით და მათ მიერ გამოთქმული მრავალი ფუნდამენტური დასკვნა თუ ჰიპოთეზა.

ეგრის-აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიის გასაშუქებლად მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის და წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომში გათვალისწინებულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პავლე ინგოროყვას (1893-1983 წწ.) მონუმენტური, 1150-გვერდიანი ნაშრომი **„გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა“,** რაც ჯერ გაგრძელებებით იბეჭდებოდა ჟურნალ **„მნათობში“** (1949-1952 წლებში), ხოლო 1954 წელს ცალკე წიგნადაც გამოიცა. მასში უამრავი პრობლემა და მოვლენა მკვლევრის მიერ სრულიად ორიგინალურადაა გააზრებული და შეფასებული. ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა წიგნის IV თავი: **„დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო („აფხაზეთის სამეფო“) და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულის ძეგლში“.** მასში პ. ინგოროყვა მსჯელობს აფხაზეთის ისტორიული ეთნოგრაფიის, კერძოდ, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში. აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ვინაობისა და დასავლეთ საქართველოს **(„აფხაზეთის სამეფოს“)** დაარსების ისტორიის შესახებ. ამავე თავში წარმოდგენილია პ. ინგოროყვას **„სპეციალური ექსკურსი“**, რითაც მკვლევარი მიზნად ისახავს საისტორიო წყაროებში მოხსენიებული აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიული სახელწოდებების სტრუქტურულ-ეტიმოლოგიურ ანალიზს და მათ კავშირს ქართულ ენობრივ სამყაროსთან. „გეოგრაფიული სახელწოდებანი, წერს პ. ინგოროყვა, – იძლევიან სრულიად გარკვეულ ჩვენებას იმის შესახებ, თუ ვინ იყო ბინადარი მკვიდრი აფხაზეთის მხარეებისა. აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობა, როგორც ირკვევა, თავიდანვე ქართულ ეთნიკურ წრეს ეკუთვნოდა, და ასეთივე ქართული ხასიათი ჰქონდა ამ მხარეს კერძოდ იმ ეპოქაში, როდესაც დაარსდა დასავლეთ საქართველოს **„აფხაზეთის სამეფო“** (ინგოროყვა 1954: 146).

პ. ინგოროყვამ უარყო ქართულ ისტორიოგრაფიაში მანამდე მიღებული შეხედულებანი დასავლეთ საქართველოს **(„აფხაზთა სამეფოს“)** შესახებ და **„საისტორიო მასალების პრეციზიული ანალიზის შედეგად“** (მისივე სიტყვებია) შეძლო შემდეგი საგულისხმო დასკვნები გამოეტანა:

1. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში, **„აფხაზთა სამეფოს“** დაარსების დროისთვის (VIII ს.) აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომები – საკუთრივ აფხაზები, აბსილები, მისიმიანები და სანიხები ქართული წარმოშობისანი იყვნენ, დასავლეთ საქართველოს სხვა დანარჩენი ქართველი ტომების (ქართები, მეგრელები და სვანები) მსგავსად.

2. აფხაზეთში მოსახლე ქართველ ტომს – აფხაზებს დასავლეთი საქართველო კი არ დაუპყრიათ, არამედ ადგილი ჰქონდა აფხაზეთის ერისთავის მოთავეობით როგორც აფხაზეთის, ისე დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის განთავისუფლებას ბიზანტიის იმპერიის ბატონობისაგან. იგი იმოწმებს ისტორიული პირველწყაროს – **„მატიანე ქართლისას“** ცნობას, რომ აფხაზთა ერისთავი **„გადგა ბერძენთა (ე.ი. ბიზანტიელთა -ი.კ.), დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე (ხაზგასმა ავტორისა – ი.კ.)“ აფხაზთა ერისთავმა, დაასკვნის პ. ინგოროყვა, „ორივე მხარე, აფხაზეთიცა და ეგრისიც ვიდრე ლიხის მთამდე, დაიპყრა ბიზანტიელთაგან, განათავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისაგან“** (ინგოროყვა 1954: 116).

3. ბიზანტიის ბატონობისაგან დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთთან ერთად) განთავისუფლების შემდეგ შექმნილ **„აფხაზეთის სამეფოში“** იწყება წმინდა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება. ბიზანტიის ხანგრძლივი ბატონობის შედეგად გაბატონებულ მთავარ სახელმწიფო ენას ქართული ჩაენაცვლა და საეკლესიო წირვის ენადაც ქართული იქნა შემოღებული. იერარქიულად კონსტანტინოპოლის პატრიარქთან დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს ეკლესია ამიერიდან ქართლის (იბერიის) საკათალიკოსოს დაექვემდებარა (იქვე: 117). **„დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო, – წერს პ. ინგოროყვა,– შექმნილია ქართველი ტომების მიერ, და ერთ-ერთი ამ ტომთა შორის არის ქართველი ტომი აფხაზები“** (იქვე: 117).

განსაკუთრებული ალღო, დიდი ერუდიცია და ფაქტების განზოგადების დიდი უნარი გამოარჩევს აკად. ივანე ჯავახიშვილის (1876-1940 წწ.) მეცნიერულ მოღვაწეობას. იგი ფართო მაშტაბით იკვლევდა საისტორიო გეოგრაფიის საკითხებს. საგანგებოდ ამ პრობლემის გაშუქებას ისახავს მიზნად 1919 წელს გამოქვეყნებული „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით“. მანვე საგანგებო გამოკვლევა უძღვნა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლას, რაც 3 წიგნად გამოიცა, ხოლო კაპიტალურ ნაშრომში – **„ქართველი ერის ისტორია“,** დიდმა მეცნიერმა სრულიად ახლებურად გამოიკვლია და ღრმა მეცნიერული, კრიტიკული შესწავლის საფუძველზე ნათელი მოჰფინა საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას, ქართველი ხალხის ვინაობისა და მიგრაციის, მატერიალური კულტურის, სარწმუნოების, სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმების, კულტურისა და სხვა საკითხების მრავალ ბურუსით მოცულ საკითხს. აკად. ნიკო ბერძენიშვილის მართებული შეფასებით, **„განსხვავებით სხვა ამ დარგის მეცნიერთაგან ივ. ჯავახიშვილმა სპეციალური გამოკვლევა უძღვნა მთლიანი საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას და ეს შრომა თავის „ქართველი ერის ისტორიას“ წაუმძღვარა. მანვე შეადგინა და 1923 წელს გამოსცა „საქართველოს ისტორიული რუკა“** (ბერძენიშვილი I, 1964: 350).

იბორ კეკელია

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲒᲘᲒᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲡᲐᲪ ᲓᲐᲘᲭᲔᲠᲔᲜ!

"ფაქტები, რის გამოც გიგა ბოკერიასაც დაიჭერენ!" – ამ სახელწოდებით სტატია გაზეთმა **"ქრონიკამ"** გამოაქვეყნა.

მთავარმა პროკურატურამ გიგა ბოკერია პირველად 4 აპრილს მოიკითხა და მოწმედ დაკითხა. საქმეს, რის გამოც ბოკერია დაკითხეს, გრიფით **"საიდუმლო"** ადევს. თუმცა, ადრე გახმაურდა ამ საქმის დეტალები და ჟურნალისტებისათვის სხვა ინფორმაციებიც ექსკლუზიურად გახდა ცნობილი... ჯერ კიდევ 2012 წელს განაცხადა იმჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა, რომ უშიშროების საბჭოდან უზარმაზარი თანხები – დაახლოებით 16 მილიონი დოლარი – იყო გაფლანგული, ამ თემას აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას და დამნაშავეებსაც დასჯიდა. ივანიშვილმა დამნაშავეებში ბოკერია და უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეები რომ იგულისხმა, ამაში ეჭვი არავის შეჰპარვია. ივანიშვილი ისე წავიდა ხელისუფლებიდან, გიგასთვის ბუზი არავის აუფრენია. დღეს ხელისუფლებას ირაკლი დარიბაშვილი უდგას სათავეში, მაგრამ როგორც ჩანს, ბოკერიას მიმართ მისი დამოკიდებულებაც ანალოგიურია.

ამის თქმის საფუძველს ორი რამ მაძლევს, ერთი, რომ ყველა ჭკუასაკითხავი ადამიანი ირწმუნება, ბოკერიას მალე დაიჭერენ და ეს ხალხი ჰაერზე არ ლაპარაკობს, შესაბამისი უწყებებიდან გარკვეულ ინფორმაციებს ფლობენ და მათ ნათქვამს დამაჯერებლობას ესეც მატებს. მეორეც, **"ქრონიკის"** ექსკლუზიური ინფორმაციით, მთავარი პროკურატურა ძალზე აქტიურად მუშაობს წლების მანძილზე უშიშროების საბჭოდან გამქრალ მილიონებზე. ამ ეტაპზე, მთლიანი თანხიდან დაახლოებით, 15 მილიონი ლარის არამიზნობრივი ხარჯვის შესახებ, პროკურატურას უტყუარი მტკიცებულებები აქვს და სავარაუდოდ, ბოკერიას წინააღმდეგ მალე აღძრავენ სისხლის სამართლის საქმეს და ბრალსაც წაუყენებენ. **"ქრონიკის"** ინფორმაციით, ამ საქმეებში ფიგურირებენ უშიშროების საბჭოს ყოფილი მოადგილეები ბათუ ქუთელია და დავით სიხარულიძე. შესაძლოა, პროკურატურამ მათაც წაუყენოს ბრალი. გარდა ამისა, მთავარი პროკურატურა ცალკე საქმედ სწავლობს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გახარჯული მილიონების საქმეს და შესაძლოა, ამ ფონდიდან უკანონოდ გახარჯულმა თუ მითვისებულმა თანხებმა, უშიშროების საბჭოდან გამქრალ 15 მილიონს გადააჭარბოს კიდეც. აქვე დავსძენ, რომ ჟურნალისტებს სახელისუფლებო წყაროებიც უდასტურებენ, რომ პროკურატურას გიგა ბოკერიას წინააღმდეგ ბრალი უკვე გამზადებული აქვს და მისი წაყენება მხოლოდ დროის საქმეა. ამ ინფორმაციას ადასტურებენ როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.

უშიშროების საბჭო, ფორმალურად, პრეზიდენტს ექვემდებარებოდა, სააკაშვილი იყო მისი თავმჯდომარე, მაგრამ გიგა მიშა სააკაშვილს არაფერს ეკითხებოდა. ხარჯების შესახებ არავის აბარებდა ანგარიშს. მეტიც, ბოკერია უშიშროების საბჭოს ბიუჯეტს არ სჯერდებოდა და თავისი დანაშაულებრივი პარტიის საერთაშორისო პიარისა და სხვა საქმიანობისთვის პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდანაც ხარჯავდა მილიონებს. აუდიტის სამსახურის დასკვნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, არაერთი მილიონი გადაირიცხა უშიშროების საბჭოს ანგარიშზე და მთელი ეს თანხა უცხოური ლობისტური კომპანიების მომსახურებაში დაიხარჯა. ამ თანხებს ბოკერია წლის ბოლოს ითხოვდა სარეზერვო ფონდიდან, როცა საკუთარი გახარჯული ჰქონდა და ყველა მოთხოვნას სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა ედო საფუძვლად. რეალურად, გიგა ბოკერიას საერთოდ არ ადარდებდა ქვეყნის უსაფრთხოება, მისი მთავარი საზრუნავი **"ნაცმოძრაობისა"** და მიშა სააკაშვილის პიარი და საერთაშორისო მხარდაჭერა იყო, რომ რაც შეიძლება მეტხანს დარჩენილიყო ხელისუფლებაში, რაც შეიძლება მეტი დაეშავებინა ქართველი ხალხისთვის. ამ საერთაშორისო მხარდაჭერას გიგა ბოკერია ასევე საბიუჯეტო ფულით ყიდულობდა.

"ნაციონალთა" მმართველობისას უშიშროების საბჭოში 22 კაცი მუშაობდა – საბჭოს მდივანი, 4 მოადგილე და 17 თანამშრომელი. ამ 22-კაციანი საბჭოს ბიუჯეტი, გიგა ბოკერიას თავმჯდომარეობის პერიოდში, 20 მილიონ ლარზე ნაკლები არასდროს ყოფილა. 2012 წელს 22-მილიონიანი ბიუჯეტი ჰქონდა საბჭოს და ესეც არ ჰყოფნიდა. 22 კაცის სახელფასო ბიუჯეტი 1,5 მილიონ ლარს შეადგენდა – გრიალებდნენ გოგო-ბიჭები. ბოკერიამ ისე მოაგვარა საქმე, რომ უშიშროების საბჭოს ყველა ხარჯი გაუმჭვირვალე გახადა, სახელმწიფო საიდუმლოს რანგში აიყვანა და მასში ჩახედვა, ერთადერთი, მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარეს, პრეზიდენტს შეეძლო.

აი, კონკრეტული ფაქტები იმის დასტურად, რომ უშიშროების საბჭოს ფული მხოლოდ ლობისტურ კომპანიებში იხარჯებოდა. მარტო ერთ ამერიკულ კომპანიას, Podesta Group-ს გიგა ბოკერიამ 2010 წელს 600.000 დოლარი გადაუხადა ამერიკაში მიხეილ სააკაშვილის პიარისთვის (საკმაოდ დიდ თანხებს უხდიდა ბოკერია ერთ-ერთ შვედურ პიარკომპანიას, რომელსაც სათავეში შვედეთის ახლანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი ედგა. ახლა, როცა ოფიციალური თანამდებობის დაკავების შემდეგ ბილდტს აკრძალული აქვს ყოველი სახის პიარსაქმიანობა, იგი მაინც პირზე დუქმომდგარი იცავს **"ნაციონალთა"** არაჯანსაღ ინტერესებს, რაც ბილდტის არაკეთილსინდისიერებაზე მიუთითებს). იგივე კომპანიასთან, 2012 წელსაც გააფორმა ერთწლიანი ხელშეკრულება უშიშროების საბჭომ და ისევ 600.000 დოლარად, მაგრამ ეს ფული წყალში გადაყარა გიგა ბოკერიამ, ამერიკაში Podesta Group-ის პიარმა ვეღარ უშველა მიხეილ სააკაშვილსა და მის პარტიას, ვერც ამ კომპანიის მიერ ნაყიდმა ამერიკელმა პოლიტიკოსებმა ააცილეს კატასტროფა. ამ წელს **"ნაცმოძრაობა"** საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა და მას მერე, წელში ვეღარ გამართულა. ამის შემდეგ, საქართველოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, უშიშროების საბჭოს ბიუჯეტი მკვეთრად შეამცირა, 18.5 მილიონი ლარი ჩამოაჭრა და 2013 წელს მხოლოდ სახელფასო ფონდი – 1.5 მილიონი ლარი დაუტოვა. ესეც ზედმეტი იყო მაგათთვის, არც ამ მილიონ-ნახევრის საღირალს აკეთებდნენ რამეს, უსაქმურების ერთი დიდი ბუდე იყო გიგა ბოკერიას უშიროების საბჭო და მეტი არაფერი.

ქართული პრესა არცთუ დიდი ხნის წინ წერდა:

"გიგა ბოკერია და მისი მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი, 2011 წლის თებერვალში იმყოფებოდნენ ვაშინგტონში. ამერიკაში ბოკერიას სტუმრობა სახელმწიფომ, კერძოდ, უშიშროების საბჭომ დააფინანსა, როგორც ოფიციალური მივლინება. ცხადია, მივლინების თანახმად, ბოკერიასაც ოფიციალური შეხვედრები უნდა გაემართა ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მაგრამ "ქრონიკის" წყარო აცხადებს, წყვილმა ისე დატოვა ეს ქვეყანა, რომ ბოკერიას არც ერთი შეხვედრა არ გაუმართავს. მან და მისმა მეუღლემ 8 დღე დაისვენეს ვაშინგტონში. წყაროს თქმით, გიგა ბოკერიასა და თამარ ჩერგოლეიშვილის "მივლინება" ნაწილობრივ თავდაცვის იმჟამინდელმა მინისტრმა, დავით კეზერაშვილმა დააფინანსა. ცხადია, არა საკუთარი ფულით – "ნაცმოძრაობის" "ობშიაკით", რომელიც ბიუჯეტიდან მოპარული და ბიზნესმენთათვის წართმეული ფულით ივსებოდა... სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია ამ "მივლინების" სხვა დეტალები, მაგრამ უშიშროების საბჭოს 68 000 დოლარი რომ დაუჯდა ბოკერიას ამერიკაში გამგზავრება და იქ ყოფნა, ეს კი ვიცით..."

გიგა ბოკერიას მიმართ ერთ-ერთი კონკრეტული ბრალდება, რომელსაც მალე წაუყენებენ, სავარაუდოდ, სწორედ ეს ამერიკული **"მივლინება"** იქნება ცოლთან ერთად... ჩვენ მაშინ ვწერდით, რომ ბოკერია ამის გამო პასუხს აგებდა და აჰა, როგორც ჩანს, ეს დღეც მალე მოვა. პრესამ ექსკლუზიურად ერთი მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოიპოვა უშიშროების საბჭოს თანხების არამიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით. გიგა ბოკერიას პროკურატურა უეჭველად მოჰკითხავს ერთ საქმესაც. 2011 წლის აგვისტოში, უშიშროების საბჭომ ბათუმში, დოკუმენტაციის თანახმად, კონფერენცია გამართა. 3-დღიანი კონფერენცია ამ ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით 55 ათასი ლარი დაჯდა, რომელიც ბათუმის სასტუმრო **"შერატონში"** გაიმართა. კონფერენციის ჩატარების ვადა 1-3 აგვისტოა. გამოძიებით დასტურდება, რომ არანაირი კონფერენცია 1-3 აგვისტოს **"შერატონში"** არ გამართულა. გიგა ბოკერია თავის თანამეცხედრესთან ერთად, ასევე, უშიშროების საბჭოს 12 თანამშრომელი ბათუმში, უბრალოდ, საგრიალოდ იყვნენ ჩასულნი, 2 აგვისტოს ენრიკე ეგლესიასეს კონცერტი იყო და ამ კონცერტს დაესწრნენ, ეს კონცერტი, **"შერატონის"** ფეშენებელურ ნომრებში 3 დღით 14 ადამიანის ცხოვრება და საერთოდ, მათი ეს 3-დღიანი **"გულაობა"** ბათუმის ბიუჯეტს 55 000 ლარი დაუჯდა. აი, ასე ექცეოდა საბიუჯეტო თანხებს ხალხსა და ქვეყანაზე **"მზრუნველი"** გიგა ბოკერია. დღეს ისიც და მისი უნამუსო თანაგუნდელებიც იქაჩებიან, – დღევანდელი ხელისუფლება არ ვარგა, ისევ ჩვენ უნდა მოვიდეთ ხელისუფლებაში, ქვეყანა უნდა ავაშენოთო. 9 წელი იყვნენ იმ ხელისუფლების სათავეში და ნგრევისა და უბედურების მეტი არაფერი მოუტანიათ ქვეყნისთვის, საქართველო ერთ დიდ საკონცენტრაციო ბანაკად აქციეს, ხალხი დაიმონეს, ასეულ ათასობით ადამიანს ლუკმაპური ენატრებოდა, ესენი კი იმ ხალხის კუთვნილი ფულით დაჯირითობდნენ და არანაირ ამქვეყნიურ სიკეთეს არ იკლებდნენ. ხალხი **"ნაციონალებად"** და დანარჩენებად ჰყავდათ დაყოფილი, თუ მათი ბინძური პოლიტიკის მომხრე იყავი, თუ ბოკერიასა და მისთანა გარეწრებს გაურიგდებოდი, ყველა მიმართულებით გზა ხსნილი გქონდა, გინდა ბიზნესში წავიდოდი, გინდა სახელმწიფო სამსახურში და წარმატება გარანტირებული გქონდა. ეშმაკთან ალიანსზე თუ უარს იტყოდი, მაშინ გადარჩენისთვის უნდა გებრძოლა. გიგა ბოკერია იყო სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმის მთავარი იდეოლოგი და ყველა საშინელება, ყველა დანაშაული, რაც ამ რეჟიმმა ჩაიდინა, ბოკერიას ტვინში იხარშებოდა, ის იყო იდეების გენერატორი და სხვები მის ამ ანტიადამიანურ, ანტიჰუმანურ იდეებს ახორციელებდნენ...

გიგა ბოკერია 2008 წლის ომის სამარცხვინოდ წაგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. მას სიკვდილივით ეშინია ომის საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოძიებისა, რადგან არსებობს უამრავი მოწმე, არსებობს მტკიცებულებები, რომ იმ დროს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია, უშუალოდ ხელმძღვანელობდა საბრძოლო მოქმედებებს, გასცემდა ბრძანებებს, რომელთაც გენერლები და ოფიცრები ასრულებდნენ და მისმა ამ ბრძანებებმა, ქართულ ჯარში დიდი მსხვერპლი გამოიწვია, ათობით მებრძოლი და ასევე, მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. ეს ბრალი თუ დაუმტკიცდა ბოკერიას, სამუდამო პატიმრობა გარანტირებული აქვს. გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე და გიგი უგულავა ომის დროს ნატრობდნენ, რომ მშვიდობიან მოსახლეობაში რაც შეიძლება, მეტი მსხვერპლი ყოფილიყო. ამ ომის მონაწილე, გენერალი ტრისტან წითელაშვილი ადასტურებს, რომ საკუთარი ყურით მოისმინა, ეს სამეული როგორ ოცნებობდა, რომ რაც შეიძლება მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაღუპულიყო. ასევე, არსებობენ მოწმეები, რომლებიც ადასტურებენ იმას, რომ, როცა სააკაშვილმა და ბოკერიამ გაიგეს, რომ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი 200 კაცს არ აღემატებოდა, ორივეს ლამის ისტერიკა დაემართა, – 200 ცოტაა, რამდენიმე ათასი გვინდოდაო. ქართველი ხალხის სისხლი, ქართველების ცხედრები ბოკერიას პოლიტიკის წარმატების საფუძველი იყო. რაც მეტი ქართველი დაიღუპებოდა, რუსეთთან მით უფრო მედგარ მებრძოლებად წარმოჩინდებოდნენ სააკაშვილი, ბოკერია და სხვა მისთანა არსებები, შესაბამისად, უცხოეთიდან პოლიტიკურ მხარდაჭერასაც მეტს მიიღებდნენ და ფინანსურ დახმარებასაც...

2004 წლის თებერვალში, გლდანის ეკლესიის ვანდალურად დარბევის ინიციატორიც, სააკაშვილთან ერთად, გიგა ბოკერია იყო... ბოკერია ქართული ეკლესიისა და პირადად, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის პირადი მტერია. სწორედ ის ხელმძღვანელობდა ამერიკაში დაგეგმილ სპეცოპერაციას **"ორი პატრიარქი"**, რომლის მიზანიც ქართულ ეკლესიაში შუღლის ჩამოგდება, სინოდის წევრთა ორად გაყოფა და საბოლოო ჯამში, ეკლესიის ორად გახლეჩა იყო. ილია მეორესა და მის მაღალ რეიტინგს ვერაფერი რომ ვერ მოუხერხეს, ამ გეგმით სურდათ მისი განეიტრალება, სინოდის წევრთა ერთ ნაწილს სხვა, მეორე პატრიარქი უნდა აერჩია და ილია მეორეს დაპირისპირებოდა. ცხადია, მრევლიც ორად გაიყოფოდა და ამით დაასრულებდნენ ეკლესიასთან ბრძოლის მთავარ ეტაპს. ამ გეგმის შესახებ, შარშან გაზეთი **"ქრონიკა"** დეტალურად წერდა და ამ ინფორმაციის გახმაურებამ, ეკლესიასთან მებრძოლთა რიგებში დიდი აურზაური გამოიწვია. შეშფოთდნენ, ჩვენი გეგმის დეტალები როგორ მოხვდა პრესის ფურცლებზე, გიგა ბოკერიამ ამხელა იაღლიში როგორ დაუშვაო. მაშინ, ამ ვითომ ლიბერალებიდან კაცს არ უარყვია, ეგრე არ იყო, ეკლესიას არაფერს ვერჩით და არც მის ორად გახლეჩას ვაპირებდითო. აპირებდნენ კი არა, დღე და ღამე ამაზე ოცნებობენ, ეს მამონას მოტრფიალენი.

2006 წლის 27 მარტის **"ციხის ბუნტის"** მთავარი მოქმედი გიგა ბოკერიაა. მაშინ ბაჩო ახალაია ვინ იყო, მარტოს გადაეწყვიტა, ციხეში სპეცრაზმი შეეყვანა თუ არა? მით უმეტეს, ციხეში ისეთი არაფერი ხდებოდა, რომ **"სპეცნაზის"** ჩარევა საჭირო ყოფილიყო. რაღა შორს წავიდე, აგერ **"ნაციონალი"** ელენე თევდორაძე ადებს ხელს გიგა ბოკერიას, **"ციხის ბუნტის"** დროს, გიგა ბოკერია ორთაჭალის ციხეში იყო და ბრძანებებსაც ეგ გასცემდაო. კიდევ სხვა, უამრავი მოწმე არსებობს, რომლებიც ამასაც ადასტურებენ და ამატებენ, გიგა ბოკერიას ხელში ავტომატი ეჭირა და ისროდა, პატიმრების დახოცვა მაგის კისერზეც არისო. ეს საქმეც კოშმარივით აწუხებს ბოკერიას, **"ციხის ბუნტთან"** დაკავშირებით, ერთდროულად რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და დიდი შანსია, სააკაშვილის ხელისუფლების ამ ერთ-ერთ ყველაზე საშინელ დანაშაულზე ბოკერიასაც მიადგნენ სამართალდამცავები...

მაგრამ, ვფიქრობთ, რომ არც ის იქნება უკანასკნელი!

ლ. ჯავახიშვილი

ტკივილზე გაჯიბრებული პოეზია

ხშირად დავფიქრებულვარ, რა არის წიაღი შემოქმედებითი მუზისა? ალბათ სხვადასხვა გარემოებები, განსაკუთრებულ ნიჭთან და შინაგან გამომსახველობით უნართან ერთად. ეს ღვთიურ ძღვენია გამორჩეულთა.

ერთი სწავლული აცხადებს, რომ, ყოველი ადამიანის სულში არის სარქველი, რომელსაც მხოლოდ პოეზია აღებსო. დიახაც, რომ ასე გახლავთ. პოეტი ქალბატონის გული კირცხალიას ლირიკული შემოქმედება სწორედ მისი სულის სარქველის გახსნაა პოეზიის მეშვეობით.

დიდი შანდორ პეტეფი ამბობს: **"ვფიქრობ პოეზია ტაძარია, სადაც ქალამნებითა და ფეხშიშველაც შეიძლება შესვლა"**. მართლაც, პოეზია თითოეული ჩვენთაგანის აზრების ამღერებაა, ამიტომაც არის იგი სასურველი, მომხიბვლელი და ბევრის თავშესაფარი. სწორედ მოძალებულ გრძნობათა ჰანგებს (ამაღლებულსა თუ ავბედითს) გაანდობენ მას. იშუშებენ თუ იმაღლებენ სულის სითბო-იარებს, მისგან იღებენ კმაყოფილებას. ის მარადიულია, ის განუმეორებელია. უფრო მეტიც, პოეზია სულის მუსიკით უკავშირდება გრძნობებს და ეს სხვადასხვა ნოტაზე ჟღერადი სიმები იწვევს თავისებურ თრობას. ამაზე მეტყველებს გული კირცხალიას პირველი ლირიკული კრებული, სადაც შესულია სულიერი ფორიაქით შექმნილი 51 ლექსი.

ვფურცლავ კრებულს და თვალწინ მიდგას თმა დათოვლილი, დარბაისლურად მოსაუბრე, ზოგჯერ ღრმად ჩაფიქრებული ქალბატონი. რომლის ცხოვრება ისე აეწყო, რომ სალბუნად ლექსი და მოიმედედ უფალი მიაჩნია. **"მეიმედება ღმერთი"** – სწორედ ასე ქვია პირველ კრებულს.

"მტკივან იარებს ვიბან, უხმოდ დაღვრილი ცრემლით,
ხატის წინ სანთლებს ვანთებ, მეიმედება ღმერთი".

წუთისოფლის მუხანათობამ მამას ცხრა თვისა დააშორა. ფაშისტების წინააღმდეგ ომში გაიწვიეს და უკან არ მობრუნებულა. დედა თორმეტი წლისას დაეღუპა და დარჩა მოზარდი ახლობლების ამარა, ეულად, და-ძმების გარეშე. კეთილი ახლობლების ხელშეწყობით დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ მიიღო ორი პროფესიული განათლება.

"მარტოობის ფარჩას ვიცვამ, ცრემლის თქეში მახრჩობს,
ჩემი წილი სიხარული, ვინ წამართვა? რატომ?"

აქვითინებული ხმით კითხულობს ცხოვრების ულმობელ ქურაში ჩახვეული ქალბატონი. თავად, ცხოვრების მძიმე ხვედრის მტვირთველს არასდროს მოშორებია მიტევებისა და გულისხმიერი დამოკიდებულების გრძნობა სხვებისადმი. მამისეული კერა ნოსირში (სენაკის რაიონი) არ ჩააქრო, მედდად დაიწყო საქმიანობა სამედიცინო დაწესებულებაში და პარალელურად მშობლიური სოფლის მაცხოვრებელთა მშველელი გახდა. თუ ვინმეს რაიმე სამედიცინო დახმარება დასჭირდება მასთან მორბიან – **"კეთილო მეზობელო ნემსი გამიკეთე", "გული მამიდა, ბავშვს ღებინება აქვს და მიშველე", "გული მამიდა მამას წელი ტკივა და წამალი მომეცი"...** ასეა დაუსრულებლივ. საკუთარი სახლი სამედიცინო პუნქტად და აფთიაქად აქცია. ამიტომ სოფელმა **"მამიდა"** შეარქვა. და დიდი და პატარა ამ სახელით მიმართავს დღესაც.

განცდა და სულიერი ტკივილის სტრიქონებად ქცევა, პირადული და სოციალური მდგომარეობით ნასაზრდოები იმპულსების გადმოფრქვევა, მუდამ თავისთავადია, გულითადია, რომელშიც საკუთარი წარსული და აწმყოა ჩაკირული. და ეს არ არის ქაოტური და ველური.

"მოწყენილია პატარა სახლი, რა გაახარებს მას,
როცა უღელი მარტოობისა, მხარზე შეუდგამს ქალს".

ლიტერატურაში არა ერთ ცნობილ შემოქმედს გამოუხატავს სოციალური ყოფისა და სულიერების ურთიერთ კავშირი. ეს ორი ფენომენი ოდითგანვე ერწყმის ერთურთს. დაობლებული სული და ცივი გარემო იწვევს და ქმნის პოეტური გაჯირითების სურვილს. ეს თემა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა გენიალურმა ბაირონმა და ვაგნერმა. ამ გზის მებაირაღე საქართველოში ბარათაშვილია საკუთარი თავგანწირული მხედრით.

ქალბატონი გ. კირცხალი კი თავისებურად ამბობს.

"არ მძინებია წუხელის, არ მომიხუჭავს თვალი...
თავთ მედო ღრუბლის ბალიში, ქროდა აშარი ქარი".

არა მხოლოდ სამედიცინო მკურნალობით დაკმაყოფილდა კეთილი **"მამიდა"**, მან საკუთარი სახსრებით, მთავარი გზის განაპირას, (რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო,) წისქვილი გამართა და მორიგი სიკეთე უბოძა თანასოფლელებს. ეს გულითადი დახმარება ქალბატონმა საკუთარ ლექსში გამოხატა: **"დგას წისქვილი ლოცვად"**. მართლაც, ღოლაბის ტრიალსა და საფქვავის ჩამოყრის რითმულ ხმიანებას ლოცვად ერწყმის სოფლის მადლიერების ექო.

"გტკიოდა და დაგიამე, გწყეროდა და წყალი გასვი,
გშიოდა და დაგაპურე, ოთხად გავჭერ ერთი ვაშლი,
მეოთხედი მე ავიღე, დანარჩენი შენ მოგართვი".

ამბობს პოეტი, რაც საკუთარი ფორიაქის, ტკივილის თუ სოფლის ყოფის შერწყმის შესანიშნავი გამოვლინებაა.

პირველი ლექსთა კრებული აშკარად სევდიანი განცდითაა ნასაზრდოები. წიგნის საერთო პათოსს კარგად გამოხატავს ლექსი **"სასაფლაოზე"**:

"აქ შემზარავი მდუმარებაა, შვებას ვერ მოგგვრი გულს,
მხოლოდ ცრემლები, ცხელი ცრემლები, გულში უჩუმრად დუღს".

რატომღაც გენიალური ტერენტი გრანელი მახსენდება, მისი სევდიანი ღაღადი. ტერენტის სულიერი განცდა გადამედო ამ მცირე ზომის კრებულის გაცნობისას. თუმცა წიგნში არის რამდენიმე ლექსი რითაც პოეტი ქალბატონი საერთო საკაცობრიო ღირებულებების მიმართ იჩენს ერთგულებას, ეს გახლავთ მიტევება, დანდობა და მშვიდობა.

"ტაძარში შევედი... და ლოცვად დავდექი,
ავანთე სანთელი წმინდა.
რას ვითხოვ? – მშვიდობას. რას ვითხოვ? – დანდობას.
ცოდვილთაც შენდობაც მინდა".

ტრაგიკული ინტონაციების სიმრავლე იმიტომაც სჭარბობს პოეტის შემოქმედებაში, მან იცის სიცოცხლის ფასი, სიცოცხლისა და ბედნიერების თითოეული წუთის ფასი. სწორედ ამიტომ თავდავიწყებით უყვარს ცხოვრება და მისთვის ერთ ცნებად წარმოდგება ბედნიერება და ცხოვრება.

სამყაროსადმი სიყვარული საკუთარი სამშობლოდან იწყება. სამშობლოს სიყვარული კი საკუთარი კუთხე ალაგიდან. ეს ღრმად აქვს გათავისებული ლირიკოს ქალბატონს. მისი გამოსახვითი ფორმები ამ მხრივ ახალი არ არის, თუმცა წარმოსახვები მისეული და თავისთავადია. რადგან კოლხური მიწის ფერი, მეგრული ლეგენდებისა და ანდაზების გავლენის სიმძაფრე, ჭინკებისა და ოჩოკონჩების ზღაპრული განუმეორებლობა ძლიერია. ეს იწვევს შემოქმედებითი მუზის ზეიმს და ამიტომ აღტაცებით ხელგაშლილი გულში იმეორებს ჟამთაგან დამოძღვრილ სტროფებს: **"ბუა დიდარე ჩქიმი, თუთა მუმაჩქიმი, ხვიჩა, ხვიჩა მურიცხეფი და დო ჯიმარე ჩქიმი".**

საკუთარი ჟამ-ტკივილიანი კუთხისადმი სიყვარული მგრძნობიარედ აქვს გამოხატული ლექსში **"დედამოკა"**. ეს არის ლეგენდა ეგრისს შემოსეულ ულმობელ მტერს გამოქცეული ქალისა და უფლის ურთიერთობისა, როცა მაცხოვარი სასწაულებრივ გადაარჩენს ორსულ დედაკაცს.

"ლეგენდაა დედამოკა, მომხიბლავი მთებით,
ქუჯის ციხე გადმოსცქერის გამართული წელში.
ურჯულოთა ნაკვალევი, მზემ, მზემ ამოშანთა,
დედამოკა – რწმენა არის, სილამაზის გარდა".

სრულიად განსხვავებულია ლექსთა მეორე კრებული. რედაქტორის ვრცელ, მშვენიერ წინასიტყვაობას დავამატებდი შემდეგ წინადადებას, **"ამ ლექსთა კრებულში მოისმის ძალუმი სუნთქვა, ალალი სიტყვა და ლამაზი მელოდია კოლხი ქალბატონისა, რომელსაც ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი".**

მართლაც საოცარი ფერთა ჰარმონია იქმნება ორი ფენომენის, ტკივილისა და სიხარულის, ურთიერთ შერწყმით. ეს გახლავთ ერთგვარი გზის გაკვალვა, სხივნაფენი წრფელი სტრიქონებით ადამიანის გულებისაკენ. მიმაჩნია, რომ ის შავი ნოტები სასიკვდილოდ დაჭრილი გულიდან ამოხეთქილი შეუკავებელი ძახილის გამოვლენაა.

"ტკივილიანი დღეებით, ცა მიღონებს სტრიქონებს,
გული, რომ არ გამიჩერდეს, ლექსი გამოვიგონე".

ლექსი მითაჟამიდანაა გამოგონებული, პოეტი ქალი აქ წერას გულისხმობს, ეს ნათლი, ისევე როგორც ხატოვნად ეხერხება სტრიქონების ძერწვა და სულის მიწიერი სამყოფიდან ზეცად ამაღლება.

"გაჰხედეთ ბაღში აყვავდა ნუში, იასამანმა შეისხა მძივი,
სიხარულისგან ეს ვაზი ტირის, ბუდეს იკეთებს ბალუა ჩიტი".

პოეტ ქალბატონს არავითარი სხვა განძი არ მოეპოვება, უშურველად გაღებული სიკეთისა და მშვენიერი სტრიქონების გარდა, რომელიც მისი სულისა და ცხოვრების ნაწილია. სულის სიმებზე გატარებული ქნარია, რომელსაც ამოფარებული კი არ არის, პირიქით საშუალებაა გამოხატოს, გადმოსცეს საკუთარი გულისთქმა და წადილი.

ნებისმიერი ადამიანისათვის უპირველესი სამშობლოა, ქვეყანა ხატად ქცეული. გული კირცხალია როცა ხედავს უჭირს მის სამშობლოს ბორგავს. ასეულობით ადამიანთან ერთად მისი განცდის ობიექტი დაკარგული აფხაზეთი და სამაჩაბლოა, რაც ათქმევინებს პოეტს:

"კვლავ ძველებურად ვლოცულობ შენზე, სიცარიელეს ვივსებ იმედის სხივით.
თან ეკალ-ბარდებს ვაცილებ უხმოდ, დასაბრუნებელ პატარა ბილიკს".

ლირიკოსის სამყარო მრავალფეროვანია და მშვენიერებით სხივმოსილი. სევდანარევიცა და ამაღლებულიც. ამ ქვეყნად ისე არ უცხოვრია მიჯნურობის წრფელი გრძნობას არ გაუდგამს ფესვი მის მგრძნობიარე გულში. პოეტის უბის წიგნაკში აღმოვაჩინე ჩანაწერი (ბ. გ-ს) რომელიც ამხელს:

"იქნებ გაგაოცა ჩემმა სულგრძელობამ, მოთმინების ნიჭმა ჩემმა,
მოდი გამეჯიბრა ნამდვილ სიყვარულში – უფრო გაოცდები მჯერა".

ეტყობა უდროოდ ჩაქრა ეს გატაცებად ქცეული გრძნობა, ამიტომ მოსთქვამს პოეტი:

"საფლავის ქვა ცივი იყო, სახე შენი უღიმო,
მეათასე სანთელს გინთებ, უდიდესო ტკივილო".

ნამდვილი ლირიკა ბედნიერი წინათგრძნობაა, უჩვეულოდ მსუბუქი და ნაზი ჟღერადობის ქაღალდზე გადმოტანაა. სიმბოლოებისა და გაშალაშინებული სახეებზე აგებული სტროფები. სტილის სიკოხტავე და მხატვრული ფერადოვნება. ფერწერული სახეების გამოძერწვა. ქართულ კლასიკურ ტრადიციებამდე მიახლოება, რაც ქმნის მკითხველში აღტაცებას. ამგვარი სტრიქონები სანთლით საძებარი როდია გ. კირცხალიას შემოქმედებაში. **"თამარობა", "ტაძრის ზარი" , "იასამანი", "ვაჟა ფშაველა"** და სხვა, კარგი ნიმუშია პოეტის ნიჭიერებისა.

"ვუმღერ სიკეთეს და ძალას ღვთიურს,
ცად ვარსკლავების ლხენად ანთებას,
"ვაშა ქალა, დედას, დას სატრფოს ერთგულს "
ვაშა ბრწყინვალე დღის დაბადებას".

ან კიდევ:

"მე გამოვზარდე, მე შევძელი შეუძლებელი,
მე ვუსხი წყალი იასამანს და გავახარე,
მე შემოვღობე ციურ-ცვარით, ცელქი სიოთი,
მე მოვაშორე ეკალ-ბარდი და სარეველა".

ქალბატონი გული აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. ცდილობს რაიონში ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებაში ჩაერთოს. იყოს მხარდამჭერიც და შემფასებელიც. ესეც თავისებური ნიჭია. რომელიც ენერგიასა და მზაობას მოითხოვს.

ვუსურვებ მხნეობასა და შემდგომ შემოქმედებით წარმატებას ნიჭიერ ქალბატონს!

ბორის დავითაია,
აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

„ქვეყანაში, სადაც ჯაბა იოსელიანი ტერენტი გრანელის გვერდით განისვენებს, შევარდნაძე რომ ტაძრიდან გაასვენონ, არ გამიკვირდება...“

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, მამა პეტრე კვარაცხელია ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სამების საკათედრო ტაძარში გადასვენების გადაწყვეტილებას გამოეხმიანა.

„იმ ქვეყანაში, სადაც ჯაბა იოსელიანი ტერენტი გრანელის გვერდით განისვენებს, შევარდნაძე რომ ტაძრიდან გაასვენონ, არ გამიკვირდება... არასდროს არავისტი ვყოფილვარ, მაგრამ ყოველთვის სახელს ვარქმევდი ყველაფერს. ის პერიოდი ასე ადვილად არ ჩაივლის ისეთი პატარა სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველოა... ნუ იტყვით, რომ ვინმესთვის საგალობლების ფონზე ტაძრიდან გამოსვენება მენანება, პირიქით – უფალმა მართალთა თანა დაამკვიდროს ედუარდ-გიორგი, მაგრამ პანთეონის და ტაძარში დასვენების დანიშნულება არ დაგვავიწყდეს. ხშირად ვსტუმრობ დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა ძვალთშესალაგს და ჩემი კუთხის პოეტს რომ დავჰყურებ, მის სიახლოვეს დასვენებული ჯაბა იოსელიანის (აგრეთვე აცხონოს უფალმა) ხილვა, წალენჯიხაში, გრანელის ქუჩაზე მოწყობილ ნგრევას და ცეცხლის ალებს მექანიკურად მახსენებს... მას მერე ვერ დადგა ფეხზე ჩემი ოდაბადე... მიკვირს, ბევრი რამ მიკვირს ჩვენი ავ-კარგიანობისა....“ – განუცხადა „Frontnews“–ს მამა პეტრემ.

ჩვენი ჯემალი 65 წლის გაბვიხდა

კეთილგონიერი, პატრიოტი, მოქალაქე, პოეტი, მოაზროვნე, იუმორისტი – ასე იცნობენ ჯემალ (ალექსანდრე) ჯღარკავას.

სამეგრელოს ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში – ნაგვაზაოში (მარტვილის რაიონი) დაბადებული ბავშვობიდანვე ეზიარა უფლის, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულს.

სკოლა და უმაღლესი წარჩინებით დაამთავრა. იყო სპორტის ოსტატი ჭადრაკსა და შაშში.

1978 წელს ქართული ენის სიწმინდის დასაცავად მდგარი იმ დონეზე აღელვებულა და შეშფოთებულა, რომ მილიციელებს მისი დაკავება მოუხდათ, რის გამოც პოლიტპატიმარი გახდა.

გამოცემული აქვს 4 წიგნი: **„მხოლოდ მამული“, „ქალებს“, „სხვადასხვა“, „დრო“.**

მისი პოეზია – იგივე სულის სიმფონია – მრავალფეროვანია. ერთმანეთს ენაცვლებიან ლექსები, სონეტები, სიმღერები და ოდები სიყვარულზე, სამშობლოზე, მეგობრობაზე... ასევე მრავალფეროვანია მისი ბრძნული აზრებიც, რომლებიც უხვადაა წარმოდგენილი ზემოთხსენებულ გამოცემებში.

გულანთებულმა ადამიანმა ახლახანს გულის ოპერაცია გადაიტანა.

ვუსურვებთ ჯემალს, არ სტკიოდეს გული, ეღვაწოს ქვეყნის სიყვარულით, კიდევ ბევრჯერ გაეხარებინოს მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები და, რაც აუცილებელია ნორმალური ადამიანისათვის, შეექმნას ოჯახი.

მეგობრები

ჩემი ფიქრი, ჩემი გზა

ჩემი ფიქრი, ჩემი გრძნობა, ჩემი გულის მხურვალება
ლექსებში მაქვს ჩანაღმული – განცდა, ღელვა, მდუღარება.
სულის სითბო, სიამაყე – სიყვარულით ნაფერები.
ჩამწვარ-ჩაფლულ-ჩასირმული, ეშხის ალით ნაშენები!

ვიმღერ გულით, ვამბობ ნაგრძნობს, არ ვივიწყებ არც ძველ ნაცნობს.
ვნებით, გზნებით ანთებული, ვიკვლევ იმ გზას, რაც რომ მაკრთობს.
ვიკვლევ სულის ღრმა ფესვებში თუ რა ცეცხლი დანავარდობს,
ამით ვტკბები! ამით ვთვრები! ამით ჩემი გული ლაღობს!

გავალ, სივრცეს ჩავეხვევი, მისანივით გავთქვამ სათქმელს,
წრთობით გამოცოცხლებული, აზრი ჩემი შეძრავს მთა-ველს.
კვალი, მისგან დანარჩენი, აღამაღლებს წმინდა სახელს,
მომავალი მხარს ამიბამს და მორჩილად გამიწვდის ხელს!

ამ იმედით, ამით ვცოცხლობ, ამით ვამსხვრევ ფიქრთა ხუნდებს,
ვერ ჩამიკლავს (ან რა ჩაკლავს), რაც რომ სულში დაიბუდებს!

ლახვარს ჩავცემ და გავაქრობ წინ აღმართულ ღვარძლის გუნდებს!
გულისძახილს მივცემ სავალს, გაჯდება და ღრმად იბუდებს.

ჩემი ფიქრი, ჩემი გრძნობა, ჩემი გულის მხურვალება
ლექსებში მაქვს ჩანაღმული – განცდა, ღელვა, მდუღარება.
სულის სითბო, სიამაყე – სიყვარულით ნაფერები.
ჩამწვარ-ჩაფლულ-ჩასირმული, ეშხის ალით ნაშენები!

სულის სიმფონია
(სონეტი)

ნება ფიქრები ლაციცებენ ღრუბელ ლანდივით,
რა მომნუსხველი, ღვთაებრივი დგება აისი...
გაკრთა, იელვა, გაიფანტა ყველა ბურუსი,
მოლივლივე მყის აზვირთდება ვნებით ფუსფუსი!

ერთბაშად სწყდება რითმასავით ელვად ენები,
მრავალხმიანობს შთაგონება, ღრმად ნასვენები,
ანაზდეულად შორეული ირევა ხმები,
დიდ წარმოსახვას მრავალფერი ესხმება ფრთები!

ფიქრთა მდინარე გამალებით ივსება უხვად,
აზრთა სიმრავლე, შთაგონება მალაღებს მდუმარს,
ბჭენი კი ეშხით იმოსება ფერიულ სულთა.

მშვენიერდება ყოველივე, ბრწყინავს ფერები,
დაფარფატებენ მაღლა ცაში თეთრი მტრედები,
მაცნე მშვიდობის, გამარჯვების – ბედნიერების!

1983

***

ძველი ვნახე მეგობარი, შემომჩივლა: „სად ხარ, კაცო,
ასე დიდხანს შეიძლება, შენი ძმა რომ არა ნახო?“
გავიფიქრე: ეჰ, რას იზამ, ალბათ ისე არ ვარ სარგო,
თორემ თავად მომძებნიდა!.. დრო ბრძენია, ჩემო კარგო!

მიდი გასწიე!

რა დროს დარდია,
რა დროს სიბერე,
მიდი, გასწიე!
მიდი, ინებე!
უღელი გაწევს,
გაინ სიბეცეს!
არ დაიხარო,
ხარო, ვიდრემდე
სიქა არ გაგძვრეს
სულ მთლად კიდემდე!
გასწიე, ხარო,
მკერდი სიკეთეს, –
ბოროტი მუდამ
ფეხით მისრესე,
დინჯად იარე,
ხანაც იელვე –
მუხლჩაუხრელად,
კიდით კიდემდე!
შენ გენაცვალე,
მამულს მიხედე!

ნუთუ

თახსირდება საქართველო,
ვხედავ ეშმა ღრეობს,
ნუთუ ერის გამყიდველნი
გაიტანენ „ლელოს“?
ნუთუ ენას რუსთველისას
მოედება ხავსი?
ისიც, ნუთუ რაც გადარჩა
შთაინთქმება ხანძრით?

ეჰ, ქართველნო, ეჰ, ქართველნო,
ეს რა მოგდით ერთი?
თვისტომს, თვისტომს რომ ეკვეთეთ
მახვილით და ცეცხლით?

ნუთუ სულ მთლად დაგავიწყდათ
თქვენ ნამუსის ძარღვი
და ჯალათის ნაჯახით გსურთ
დააჩოქოთ ხალხი?

ქართველებო, ქართველებო,
ეს რა მოგდით, ღმერთო!
ნუთუ თქვენში ეშმას სისხლი
და სიდამპლე მზეობს?

ნუთუ სულ არ გირევიათ
თქვენ ქართველის სისხლი?
და მოხვედით აქობამდე
ნიღბით, ნიღბიღ, ნიღბით?!

ყველას ერთად

ჩამოზვავდა ფიქრი გზნებად,
ჩამეხი და სასულე,
ყელთან ჩამწყდარ სალამს გითვლით
მირონცხებულ ასულებს.

ყველას ერთად, განურჩევლად,
არ გიმალავთ ხვაშიადს,
ეგებ კვლავაც შევხვდეთ ერთად
ალისფერად განთიადს!

ნებისყოფა, ჭირთა თმენა,
აი, ჩემი საძვალე!..
თავს მსურს მივცე ბრძოლის ნება,
ეყოს რაც რომ ვაწვალე!

აი, ჩემი საიდუმლო,
აი, ჩემი სტიქია,
ნეტარება, სული ჩემი
თქვენთვის გადმომიცია!

ყველას ერთად განურჩევლად,
არ გიმალავთ ხვაშვიადს,
ეგებ კვლავაც შევხვდეთ ერთად
ალისფერად განთიადს!

ფა... ფანრები

ცეცხლისფერ ბაგეთ დავწაფებივარ
ათრთოლებული ხარბი ტუჩებით,
მაგ ღვთაებრივთან სად გაგონილა
ბადაგის გემო, თუნდაც სურნელი...

ლივლივ ზღვაში ვეშვები შლეგი
დაუოკებელ ჟინით და ხვნეშით,
ტალღებს როს ვიწვევ აზავთდით-მეთქი,
მყისვე ზვირთებში ჩამითრევს ხეთქით...

მაგიურ ძალთა დარ საფანელი
ფანტასტიური იხსნება ხედი...
ფა... ფანფარები, ფარშავანგები,
ათასნაირი ირევა ხმები.

ზღვა კი ირწევა, როგორც აკვანი,
მზეს ჩამოშლილი ოქროს ფაფარი,
ყრუდ ჩამხითხითებს ვიღაც „ფანტასტი“,
ფანტასტიურად გაურინდავი...

ფა... ფანფარები, ფარშევანგები...
ათასნაირი ირევა ხმები...
ცოტაც და ისევ აზვირთდებიან
ერთმანეთისთვის გაჩენილები.

1982 წელი

პოეზიის კუთხე

ჭიჭე სამარგალოშ სქუა
(დიდი ფალავანი ნესტორ ესებუა)

დიდ სახელი ძირაფილო
ის დურთინუ პარიზიშე,
მთელ მსოფლიოშ მარკინეშა
ნესტერს გუმნუხუნუ ჟიშე.
საჩუქარეფით ეფშაფე,
მიდომიშე, მუდანერო,
სასახელოთ დოურთინინუ
ოქრო-ვარჩხილიშ ხარგელო.
ჭიჭე სამარგალოშ სქუას
მი იფიქრენდ ათენერო,
მორკინე ვარ ჩქინ ნესტორქ,
გინირთ გვალო ალაგერო.
ართშა, ორჩინელს სოხუმშე
წერილ შიბუ ათენერი:
ნესტორ, ქორთხინთ მუმანჭუათ
დღაში რდას დო გოკონ სერი.
მიხაილოვქ ქაშმაკათეს,
დოფჩაბახეს არძა ართო,
რყინტუაშათ მოშკურუნა,
ნოყორ უნჯანც ძალამ ფართო.
მუშიანეფქ გილუვარეს,
უწის: ვერგუ სქანი ულა,
დიდ სახელცუთ მიოოთა,
უკულ თეს ქაჯგვენუ ღურა.
ეს იშენით ვამოთმინებ დო
მიდურთუმუ თექ,ძალო,
რუსიქ ნესტორ ქოძირუნი,
გოციგან დუჭყაფუდუ გვალო.
რჩინ კოჩს მუჭო ვერკინავა,
ხუგეგ აკოცენსი გვალო,
ეშ ცოდა თქვა გიღუდანი,
მოვილაფუანთო ძალო.
მარა ნესტერს გიშულებ დო
გოდირგაფუ ვეფხვიშნერო,
მასმა წუთის ქაშუქოსაფ,
მუს ღოლანდუ, აბა მორო.
ეს ველუდუ რუს მარკინე,
მიხაილოვ მაცქვაფელა,
ონჯღორე დოგურაფუ დო
გეგთუტყობუდ მუჭო მელა.
მთელ მსოფლიოს ჟარნეჩ წანას
ნესტორ მეფედ რკინებაშ,
გვალო თეცალ სათოლსერო
მითინს ვაგუგონებ დღას.
ჩხონაფილი ეთიშ დიდა,
ნამუშ ძუძუ თის უწუნი,
ნესტორ უბირ სისა-ტურა
დო კართეშა ეწირდუნი.
თაქ ას ახელ საქორთუო
დო მუშ სქვამი სამარგალო,
სენაკი დო ჭიჭე სორტა
ცაშა გაფურინუ გვალო.
ვავოოთათ თიშ სახელი,
თიშ კოჩანა სასახელო,
აშოჭყოლიდაფა იშენ
ნესტერს ვახვად მუთუნფერო.
მა თე ამბე ლექსო ბჭარი,
ნესტორ ქოფშინუათ თაში
დო გინაჩას თიშ გმირობაქ
ჩქინ თაობას ვიშო-ვიშო.

ივანე შონია

მღვდელმონაზონი ილია ვაშაკიძე ჰომოსექსუალებს, მეძავებსა და მკვლელებს მიმართავს

მღვდელმონაზონი ილია ვაშაკიძე ერთ-ერთია სასულიერო პირთა შორის, რომელიც მრევლთან ურთიერთობისთვის აქტიურად იყენებს Facebook-ს. ის არ ერიდება საზოგადოებისთვის აქტუალურ სხვადასხვა თემებზე მოსაზრებების საჯაროდ დაფიქსირებას, ამჯერად კი მორიგ მიმართვაში ჰომოსექსუალებს, მეძავებს, ნარკოტიკების მომხმარებლებს, მკვლელებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულ პირებს მიმართავს. ტექსტს უცვლელად გთავაზობთ.

“ჰომოსექსუალებო, დადექით ჰომოსექსუალიზმზე მაღლა! მეძავნო და მრუშნო, დადექით მეძავობაზე და მრუშობაზე მაღლა! ნარკოტიკების მომხმარებელნო, დადექით ნარკომანიაზე მაღლა! ლოთნო, დადექით ლოთობაზე მაღლა! მპარავნო და მკვლელნო, დადექით მპარავობაზე და მკვლელობაზე მაღლა!

ეს ყველაფერი, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, სინანულსა და წარსულის დატოვებას გულისხმობს.

სინანული და წარსულის დატოვება ქრისტეში ყოფნაა და პარალელურად, მათთან ყოფნას ნიშნავს, ვინც იმ ცოდვაშია, რა ცოდვაზე მაღლაც დადგა ვინმე.

ცოდვაში მყოფთან თუ არ ჩახვედი, მას ვერ ამოიყვან იქიდან, ჩამოკიდებულს თუ ვერ მისწვდი, მას ვერ ჩამოხსნი, ყველაფერზე მაღლა დგომა და, ამავე დროს, ყველაზე და ყველაფერზე მსახურება ქრისტეში ყოფნა და ქრისტეს მსახურებაა. ვისაც სიყვარული უყვარს, მას ქრისტე უყვარს, ვისაც ცოდვა სძაგს, მას ქრისტე უყვარს, ვისაც ქრისტესთან მისვლა უნდა, მას ქრისტე უყვარს, ვისაც სხვისი ქრისტესთან მიყვანა სურს, მას ქრისტე უყვარს. ქრისტეს სიყვარული სიყვარულის სიყვარულია! ღმერთმა დაგლოცოთ, მომიხსენიეთ ლოცვებში” – წერს მღვდელმონაზონი.

ამბები სამეგრელოდან

ფოლკლორის (ქორეოგრაფიული) საერთაშორისო და ახალგაზრდული ფესტივალი "კავკასია – 2014"

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ორგანიზებით 3-დან 9 ივლისის ჩათვლით ჩატარდა ფესტივალი "კავკასია – 2014".

4 ივლისს ფესტივალს დადიანების სასახლის ეზოში ზუგდიდმა უმასპინძლა.

"კავკასია-2014"-ში მონაწილეობას დებულობდნენ სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივები რუსეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან,ისრაელიდან და საქართველოდან.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მონაწილეებს მოწვეული ქვეყნებიდან სასაჩუქრე სუვენირები გადასცა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მიმდინარეობს.

ორსანტია – დაიწყო ორსანტია-ოქტომბრის გზაზე რკინა-ბეტონის საფარის დაგება, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ არის დაფინანსებული. გზის 4 500 მეტრ მონაკვეთზე, ოტობაიის ხიდამდე ბეტონის საფარი დაიგება. მიმდინარეობს გარე განათების მონტაჟი;

ერგეტა – ხორციელდება შიდა გზების მოხრეშვითი სამუშაოები. გარე განათების მონტაჟი;

დიდინეძი – ნაპირსამაგრები მდინარე ჯუმზე. გარე განათების მონტაჟი;

ცაიში – რკინიგზისპირა ზოლისა და საყანე ფართობის შემოღობვა;

დარჩელი – მინი საფეხბურთო მოედნის მშენებლობა ქვემო დარჩელის უბანში.

ოდიში – ხიდ-ბოგირის მშენებლობა რუსთაველის ქუჩაზე, ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩხოუშიის უბანში, სასაფლაოს შემოღობვა.

მარტვილის განახლებული მუზეუმი

7 ივნისს, მარტვილის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გაიხსნა. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2009 წლიდან მიმდინარეობდა და მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბი-

უჯეტიდან დაფინანსდა. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი უნიკალური ექსპონატების ბაზაზე განახლებული ექსპოზიციით, ახლადშექმნილი გიორგი ჭყონდიდელის სახელობის საგანმანათლებლო ცენტრით, სამეცნიერო ბიბლიოთეკითა (რომლის ნაწილიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლების მიერაა შეგროვებული) და ადგილობრივი ყურძნის ჯიშებისაგან დაყენებული ღვინის სადეგუსტაციო დარბაზით სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტებს. მუზეუმის გახსნას ესწრებოდნენ: ანთროპოლოგი და არქეოლოგი, მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, ბატონი დავით ლორთქიფანიძე, საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, მარტვილის მკვიდრი, ბატონი ბუბა კუდავა, ეროვნული მუზეუმის თანამშრომელთა ჯგუფი და სხვა მოწვეული სტუმრები.

სერგი ჭილაიას 100 წლის იუბილე

12 მაისს, მარტვილის მუნიციპალიტეტში, ჭყონდიდელი მიტროპოლიტ პეტრეს ლოცვა-კურთხევით აღინიშნა ჩვენი რაიონის სახელოვანი შვილის, შესანიშნავი მწერლის ბატონი სერგი ჭილაიას 100 წლის იუბილე. მშობლიურ კუთხეს ესტუმრნენ ბატონი სერგის შვილები, მწერალი რევაზ მიშველაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა, ლიტერატურის კრიტიკოსი, პროფესორი სოსო სიგუა, რეჟისორი და საქვეყნოდ ცნობილი ფილმების – **„ვედრება“** და **„მონანიება“** – სცენარის ავტორი რეზო კვესელავა. ბატონი მალხაზ ბაძაღუა და სხვები. მწერლის ხსოვნას პატივი მიაგეს ჩვენმა ახალგაზრდებმა, სწორედ მათი მონაწილეობით გაიმართა ლიტერატურული სპექტაკლი,რომელშიც მონაწილეობა მი-

იღო ესპანეთში მოღვაწე მეცოსოპრანომ ქალბატონმა ლალი ჭილაიამ. ღონისძიება ჩატარდა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით.

იოანე ნათლისმცემლის შობის დღესასწაული

იოანე ნათლისმცემლის შობის დღესთან დაკავშირებით საქართველოს ეკლესია-მონასტრებში საზეიმო წირვა აღევლინა მათ შორის ხობის მუნიციპალიტეტის ხორგის თემში მდებარე იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში, სადაც საზეიმო წირვა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად აღავლინა.

საზეიმო წირვა-ლოცვას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ცენტრ „ოდიში"-ს კულტურის სახლის რეაბილიტაცია

ფაზაში მიმდინარეობს მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ცენტრ „ოდიში"-ს კულტურის სახლში. ამ ეტაპზე შეცვალა სავარძლები, ხალიჩა. მიმდინარეობს სცენის რეკონსტრუქცია. მოწესრიგდა სველი წერტილები, შეიცვალა კარები.

სარემონტო სამუშაოები მაღალი სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს. სრული რეაბილიტაციის შემდეგ ქორეოგრაფიულ ანსამბლებს საშუალება მიეცემათ თანამედროვე ტიპის რეაბილიტირებულ ცენტრში ფუნქციონირება.

გიორგი მარგველაშვილი გადადგომას აპირებს?

"შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილთან დაძაბული საუბრის შემდეგ, როცა საკითხი მოწმის სასამართლოში დაკითხვას ეხებოდა, მარგველაშვილმა პრინციპულობა გამოიჩინა და თქვა, რომ ეს კანონი უნდა ამოქმედებულიყო, სხვა შემთხვევაში, ის პრეზიდენტობიდან გადადგებოდა. როგორც ვნახეთ, მან თავისი ვერ გაიტანა. მუქარა, მუქარად დარჩა. მას შემდეგ პრეზიდენტს იმდენი უფლებები მოუხსნეს, პრეზიდენტობა ფორმალობის ზღვარსაც სცდება, მაგრამ ისიც იგრძნობა, რომ ივანიშვილთან დაპირისპირებიდან გასული დროის შემდეგ, სულაც აღარ ეტყობა რომ უსუსურია და დამოუკიდებელი მოთამაშის შთაბეჭდილებას ტოვებს. რატომ უნდა გადადგეს ასეთ შემთხვევაში? შეიძლება იქნებ მას ისეთი კომპრომატი დაუდეს, რომ წასვლას აიძულებენ? ეს მხოლოდ ვარაუდია და დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ რადგან დაიწყო საუბრები პრეზიდენტის ვადამდე ადრე გადადგომის შესახებ, შესაძლოა, ეს რეალობასთანაც იყოს ახლოს. ამ ნაბიჯს როდის გადადგამს პრეზიდენტი, ან გადადგამს თუ არა, ეს ალბათ დამოკიდებული იქნება შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე", – წერს პრესა.

"27 ივნისს, საქართველომ ხელი მოაწერა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას. ამ დელეგაციაში პრეზიდენტი "მოტეხილი" იყო, თუმცა ასოცირების ხელმოწერასთან დაკავშირებულ დაგეგმილ კონცერტზე, მოსახლეობას სიტყვით საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ერთობლივად მიმართეს. ნაკლები შანსი იყო, რომ პრეზიდენტი დათქმულ დღეს სიტყვით არ გამოსულიყო და არ გაეზიარებინა სახელმწიფოს "სიხარული", თუმცა მის გარშემო მაინც შეიმჩნევა კონკრეტულ ძალთა გააქტიურება, რომლებიც არ წარმოადგენენ "ქართულ ოცნებას". ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად დაარწმუნებენ მარგველაშვილს, რომ იფიქროს ახალი პოლიტიკური ძალის შექმნაზე, არ გადადგას დაუფიქრებელი ნაბიჯი და არ დატოვოს პრეზიდენტის პოსტი", – დასძენს წერილის ავტორი.

ისე, არა გვგონია, რომ მარგველაშვილის გადადგომით ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა დიდი ზარალი ნახოს, მაგრამ გამუდმებული არჩევნებისაგან გაწამებული ხალხი ნამდვილად აღარ წავა კიდევ ერთ არაფრისმთქმელ არჩევნებზე და შეიძლება საქართველო თუნდაც იმ ფუნაციადაკარგული პრეზიდენტის გარეშე დარჩეს, რომელიც მას დიდად არც სჭირდება!

ვინ არის 27 წლის ქართველი, რომელიც ჯიჰადის ლიდერი გახდა – მამა შვილის არჩევანში "ნაციონალურ მოძრაობას" ადანაშაულებს

ყოფილი სერჟანტის, ახლა კი რადიკალი ისლამისტების მეთაურის ომარ აშ შიშანის (თარხან ბათირაშვილი) მამა თემურ ბათირაშვილი მისი შვილის არჩევანში **"ნაციონალურ მოძრაობას"** ადანაშაულებს.

თემურ ბათირაშვილს BBC-ს რუსეთის ბიუროს ჟურნალისტი ესაუბრა და გამოაქვეყნა სტატია, სათაურით **"როგორ გახდა ქართველი სერჟანტი ჯიჰადის ლიდერი?"**. სტატიაში ნათქვამია, რომ უკვე რამდენიმეა თვეა, 28 წლის ომარ აშ შიშანის სახელი ყოველთვის ჟღერს სამხედრო ანგარიშებში სირიიდან.

"მწითური გენერლის" ფსევდონიმით ცნობილი შიშანი დიდი ხანი არაა, რაც "ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს" ჩრდილოეთ სექტორის, ერაყსა და სირიაში მებრძოლი რადიკალი ისლამისტების მეთაურია. სხვათა შორის, პანკისის ხეობაში – ისლამისტების მეთაურის სამშობლოში – მას სხვა სახელით – თარხან ბათირაშვილი – იცნობენ. სირიაში გამგზავრებამდე ბათირაშვილი სოფელ ბირკიანში ცხოვრობდა და საქართველოს ჯარში მსახურობდა", – წერს BBC.

ჟურნალისტი ესაუბრა ომარ აშ შიშანის მამას თემურ ბათირაშვილს, რომელიც აცხადებს, რომ მისი შვილი, რომელიც 2008 წელს რუსეთთან ომის მონაწილეა, რადიკალური ისლამისგან შორს იყო. იგი რელიგიით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ჯარიდან ტუბერკულოზის დიაგნოზის გამო გამოუშვეს, სახელმწიფომ კი ოპერაციისთვისაც არ გამოუყო თანხა. თემურ ბათირაშვილის თქმით, მის შვილს თავისი სახსრებით მოუწია ოპერაციის გაკეთება, შემდეგ კი მას თელავში სამსახურს დაჰპირდნენ, თუმცა უშედეგოდ. მისივე ინფორმაციით, თარხან ბათირაშვილს სახლში იარაღით სავსე ყუთი ჩაუდეს და დააპატიმრეს.

"თარხანი ციხიდან შეცვლილი გამოვიდა. მას თავისი ნივთებიც კი არ დაუბრუნეს – მხოლოდ პისტოლეტი. არ მახსოვს, რომელი წელი იყო, ერთ საღამოს ჩემთან მოვიდა და მითხრა: "მამა, როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში მე არავის ვჭირდები". იმ დღის შემდეგ თარხანი აქ არავის უნახავს", – განაცხადა თემურ ბათირაშვილმა.

მისივე თქმით, სამივე მისი ვაჟი მუსულმანი გახდა.

"ჩემი სამივე შვილი მუსულმანი გახდა. მე თვითონ ქრისტიანი ვარ. არც ერთი ჩვენი წინაპარი მუსულმანი არ ყოფილა. ესენი კი უცებ ვაჰაბისტები გახდნენ. გამოდის, ჩემს შვილს საერთოდ არ ვიცნობდი, არ მესმოდა მისი. ამ ჩანაფიქრიდან კარგი არაფერი გამოვა. ყოველდღე საშინელი ახალი ამბის მოლოდინში ვარ. ერთი ინფარქტი უკვე გადავიტანე და ზუსტად ვიცი, თუ რამე ცუდს გავიგებ მის შესახებ, ვერ გადავიტან, უბრალოდ მოვკვდები. არ მჭირდება მე მისი ასეთი ცნობადობა. უკეთესი იქნებოდა, სახლში მჯდარიყო. შიმშილით ჩვენთან არავინ მომკვდარა. შეიძლება, იმისთვის დაიბადა, რომ იბრძოლოს. ის ჭკვიანი და კარგი ბიჭი იყო, არ ვიცი ეს ყველაფერი როგორ მოხდა. ამ ყველაფერში "ნაციონალები" არიან დამნაშავეები. მიეცათ მისთვის სამსახური, არსად წავიდოდა. განა საქართველოს არ სჭირდება ისეთი მეომარი, როგორიც ისაა? განა ჩვენს ჯარში არ გამოადგებოდათ?", – აცხადებს ომარ აშ შიშანად წოდებული თარხან ბათირაშვილის მამა.

საპ. ინფ.

ქართული ფენომენი და მსოფლიო ცივილიზაცია

„ახ. წ. IV ს. 80-იანი წლებია, კონსტანტინოპოლში თავის სამუშაო ოთახში ზის მთელი ბიზანტიის იმპერიაში სახელმოხვეჭილი ფილოსოფოსი და ორატორი თემისტიოსი. საიმპერიო კარზე გავლენიან პირს, ცნობილ მეცნიერს, არისტოტელესა და პლატონის მიმდევარს – თემისტიოსს ბევრი სთხოვს დახმარებას, რჩევა-დარიგებას. ამიტომ მისი მაგიდა ყოველთვის სავსეა იმპერიის სხვადასხვა მხრიდან მოსული წერილებით. აი, ახლაც მხცოვანი ფილოსოფოსი წერილს ჩასჯდომია, ამჯერად ვიღაც პროვინციელი ახალგაზრდა სწერს: – „ჩემი ცხოვრების მიზანი ფილოსოფიის შესწავლაა, პროვინციაში კი ჭეშმარიტი განათლების მიღება შეუძლებელია, ნამდვილი სწავლა მხოლოდ დედაქალაქში, კონსტანტინოპოლში, შეიძლება, გთხოვთ როგორმე დედაქალაქში გადმომიყვანოთ“.

მეცნიერს გაეღიმა და მისწერა პასუხი: – **„მეც, ჩემო კარგო ახალგაზრდავ, რიტორიკის ნაყოფი მოვწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას და არა ელინთან, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა, ეს ადგილი გახდა ელინური და იქცა მუზების ტაძრად. იქ მივედი მე არა ჩემი საკუთარი მისწრაფებით და გადაწყვეტილებებით, არამედ მე გამგზავნა იქ ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორიც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი და მამა, მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია იქ შეიძინა.“**

მინდა მოწიწებით ვისაუბრო მეცნიერულ-რელიგიურ თემაზე ქართულ-იბერიული ეთნოსის ჭრილში, რომელსაც ქართველთა სულიერი მისია ეწოდება.

დღევანდელი **„საქართველო“** და **„ქართველი“** ერი მიზნობრივად სხვადასხვა ცნებებია, ცნება **„საქართველო“ და „ქართველთა ჰეგემონია“** VIII-IX სს. იმკვიდრებს ადგილს მსოფლიო ისტორიაში, მხოლოდ ჭეშმარიტ აზროვნებას შეუძლია გამიჯნოს წარსული ეპოქის ისტორიული ფაქტები, რომ ჩვენგან 2500 (ორი ათას ხუთასი) წლით ადრე იღებს სათავეს ქართლის სამეფოს ჩამოყალიბებისა და შექმნის ისტორია. (მეფე ქუჯის მიერ ფარნავაზის გამეფება).

ქართლის სამეფოს შექმნამდე 5000 (ხუთი ათასი) წლით ადრე თანამედროვე საქართველოს დასავლეთი ნაწილის ტერიტორიაზე არსებობს სრულყოფილი ლაზ-იბერთა სახელმწიფო, პირველი ლეგიტიმური მეფე **„სემის“** სახით, სწორედ ამ ფაქტზე მოგვითხრობს თამარ მეფის მემატიანე ბასილ ეზოსმოძღვარი:

„დაჯდა ნებითა ღმრთისათა თამარ მეფედ დასაბამითგან წელთა ექვსი ათას ექვსას ოთხმოცდაექვსსა“. („ქართული მწერლობა“, გვ. 382 „ცხოვრებაი მეფეთ-მეფე თამარისა“) ე.ი. თამარ მეფე გამეფდა ქვეყანაზე პირველი მეფე **„სემის“** გამეფებიდან 6686 წელს, ამინ!

– ხოლო მეფე სემამდე ლაზ-იბერთა სახელმწიფოს, კერძოდ კოლხური სამყაროს, შექმნამდე დედამიწაზე ფუნქციონირებს ქამიტური ეპოქა, რომლის არსებობაც მოიცავს მეფე სემამდე 8000 წელს (რვა ათასი).

„ესენი იყვნენ ნოეს შვილები, კიდობნიდან რომ გამოვიდნენ: სემი, ქამი და იაფეთი. ქამი იყო ქანაანის მამამთავარი“.

ამ სამი ცნობიერების ნაზავი ეთნიკური ადამიანთა ჯგუფი შეიძლება იყოს მხოლოდ ქართველი. ქართული ცნობიერების წიაღმა შვა კაცობრიობის გენიალური ადამიანები, რომლებმაც გარდატეხა მოახდინეს მიმდინარე ცივილიზაციის ტექნიკურ-კულტურულ თუ სულიერ ცხოვრებაში.

მოვუსმინოთ მსოფლიო ისტორიას:

„მხოლოდ კავკასიურ ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას, ერთიანობას, საკუთარ თავთან აბსოლუტურ დამოუკიდებლობას – აღწევს თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და ამით წინ მიჰყავს მსოფლიო ისტორია.

მსოფლიო ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიური რასის წყალობით ხდება“ – ჰეგელი.

„კავკასიური ტომის ხალხებს ეკუთვნის ყველაფრის მეცნიერებასა და ხელოვნებაში სრულიად კათილშობილური გამოგონებები, ყველაფრის, რაც გონივრული არსებობის ღირსია“ (ფრიდრიხ ქრისტოფ შლოსერი. მსოფლიო ისტორია, სანქტ-პეტერბურგი 1861 წ. გვ. 66).

ლაპარაკია კავკასიურ რასაზე, პროტო ქართულ, ლაზ-იბერიულ ეთნოსზე და არაშემდგომში შემოხიზნულ ხალხებზე.

დედამიწაზე მიმდინარე კაცობრიობის წარმოშობა, მისი ევოლუციური განვითარების გზა, წარსული, აწმყო მომავლისა და ჩვენ გარშემო (პლანეტა დედამიწაზე) არსებული უსასრულო კომისიის შემსწავლელი-გადმომთარგმნელი, უზუსტესი მეცნიერულ-რელიგიური ინფორმაციული წყარო ხელთა გვაქვს ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმის სახით.

ზებუნებრივი, ღვთიური ნიჭით შედგენილი ბიბლია, სახარება და წმინდა წერილები, მოგეხსენებთ, არ არის მსოფლიო ხალხთა ფართო მასისათვის შედგენილი, თუმცა ხსენებული ღვთიური მეცნიერება მსოფლიო ხალხთა საკუთრებაა და მასზე სულიერი ზიარება ნებისმიერი ეროვნების ხალხისათვის ნებადართულია, თუმცა არსებობენ ერები და ეთნოსები, რომლებიც როგორც გენეტიკურად, ასევე სულიერ-ცნობიერად მოუმწიფებელი არიან, ანდა მომწიფების სტადიაში იმყოფებიან, რომლებისთვისაც ცნობიერად მიუწვდომელია ბიბლია, სახარება და სხვა წმიდა წერილთა ღრმა შინაარსი.

აქედან გამომდინარე, მკითხველთა დაინტერესებული წრისათვის საკუთარი თავის შესაცნობად მოგვყავს ბიბლიიდან შემდეგი პარაგრაფები, რომლებშიაც ასახულია ის ერი და ის ხალხი, რომლებშიაც აღმოჩენილია გენიალური-უნიკალური გენოფონდი.

„ყველა მრავალრიცხოვან ხალხთა შორის ერთი ხალხი შეიძინე და ყველასაგან მოწონებული რჯული მიეცი ხალხს, რომელიც შეიყვარე, ხოლო დანარჩენ ხალხებს, ადამისგან წარმოშობილთ, უთხარი, რომ არარანი არიან ისინი და ნერწყვის მსგავსნი არიან ისინი. ჭურჭლიდან გადმოცვენილ წვეთებს მიამსგავსე მათი სიმრავლე (III ეზრა, 5. 27, 6, 56)“.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: – რომელ ხალხთა ეთნოსს და ვის ჰქონოდა პირველად დედამიწაზე რჯული?

წამოჭრილი თემა არ შეესაბამება იმ თემათა ჯგუფს, რომლებიც ექვემდებარება ერთი თვალის გადავლებით განხილვასა და შესწავლას. აქ ლაპარაკია სამყაროსა და ღმერთის შესახებ ცოდნაზე, რომელიც თავისთავში მარადისობასა და უსასრულობას მოიცავს.

XX საუკუნისა და XXI საუკუნის გასაყარზე კაცობრიობის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია ღმერთის ცოდნის გარეშე, მსოფლიოში არ არსებობს ადამიანი, რომელიც შეძლებს არსებული პრობლემის დამძლევი კანონ-პროექტის წარდგენას, ხსნა მხოლოდ **„იესო ქრისტეშია“,** რომელიც სასიკვდილოდ, ჯვარზე გასაკრავად გაიმეტა კაცობრიობამ, თვითონ კი ძის მკვლელი კაენის გზით სიარული ირჩია და რომელზეც დღემდე აგრძელებს სვლას.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ პირველმა ჭეშმარიტმა ქართველმა მოუწოდა მსოფლიოს ბარაბასა და ქრისტეს გზის გარჩევა, – სამწუხაროდ, არჩეული გზა სახეზეა.

ბოლო ჟამს მსოფლიოში მიმდინარე დაძაბული მოვლენები, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ასევე სეისმურ-კატასტროფული ცვლილებები უზუსტეს ცდომილებად, იდენტურ პლანში მიმდინარე ქმედებებია ბიბლიურ წინასწარმეტყველებათა მიმართებაში.

მოვუსმინოთ ბიბლიური წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველებას:

„მოვედი, რომ გაგაგებინო, რა ბედი ეწევა შენს ერს უკანასკნელ დღეებში (დან 10.14).“

„ბაბილონის მეფის მორჩილებაში იქნებიან სამოცდაათი წელიწადი (იერემია 25.11).“

„სამოცდაათი წელი შეუსრულდება იერუსალიმის ნანგრევებს (დან. 9. 21)“.

კომენტარი: 1921 წელს შეიქმნა საბჭოთა კავშირი და 1991 წ. დაიშალა, წინასწარმეტყველება აღსრულდა.

„სამოცდაორშვიდეულში (62X7=434 დღე) მოიკვეთება ცხებული, მაგრამ ბრალი არ ექნება“. (დან. 9. 26)

კომენტარი: 1990 წლის 28 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა აირჩია კანონიერი პრეზიდენტი, რომელმაც 1992 წ. 6 იანვარს დატოვა საქართველო, ე.ი. ზუსტად 434 დღეში მოიკვეთა.

„ამის ნაცვლად საძულველი დადგება მზაკვრობით დაეუფლება სამეფოს“. (დან. 11. 21).

„შეუდგება საშინელ გაპარტახებას, გაწყვეტს ძლიერებას და წმიდათა ერს, სამ ძლიერ მეფეს დაამხობს“. (დან.7. 24).

მურმან ხუბულავა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ქარი

“ილორი” სტუმრად წყალტუბოში

წყალტუბოს კოლხურ წარმოავლობაზე რომ მისი სახელწოდება ღაღადებს, ამ ფაქტს წინ ვერაფერი დაუდგება. “წყალტუბო” – (“წყარი ტიბუ”) თბილ წყალს ნიშნავს, ხოლო აქ მცხოვრები “გაიმერლებული” მეგრელები: ჯალაღანიები, ჭანტურიები, გადელიები და სხვანი და სხვანი კიდევ უფრო თვალნათელს ხდია საქართველოს ამ ულამაზესი საკურორტო ადგილის კოლხურ წარმომავლობას. სწორედ წყალტუბოს ესტუმრა გაზეთი “ილორი”, სადაც ჩატარებულ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე ინფორმაცია გამოგვიგზავნა ჩვენმა მეგობარმა, გაზეთ **„ახალი წყალტუბოს“** მთავარმა რედაქტორმა **მურთაზ კანკაძემ.**

ამ ბოლო დროს კურორტ წყალტუბოს ნელა, მაგრამ თანდათან უბრუნდება სიცოცხლის ნიშატი. ეს არა მარტო იმ ქუჩებში იგრძნობა, რომლებსაც უკვე ასდით ახალდაგებული ასფალტის ოხშივარი, არამედ უამრავ სხვა წვრილმანსა თუ მსხვილმანშიც. მათ შორის იმ რამდენსამე ახალაშენებულ სასტუმროშიც, რომლებსაც დამსვენებლები დღითიდღე ემატება. ამ მხრივ გამონაკლისი არც **„წყალტუბოპლაზაა“**, რომელმაც თავის სტუმრებთან ერთად რიონისპირა ქალაქის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მრავალრიცხოვან ოსტატსა და მოყვარულს უმასპინძლა და უნიჭიერესი მრავალმხრივი შემოქმედის – თემურ ძიძიგურის მხატვრობა და გამოყენებითი ხელოვნების აღიარებული ოსტატის – თევდორე ბიჩინაშვილის ნაწარმოებები გააცნო.

გამოფენის დამთვალიერებლებს დიასახლისობდა სასტუმროს მენეჯერი თამარ ურუშაძე. მასთან ერთად საინტერესო **„ტანდემის“** შემოქმედებასა და მრავალმხრივობით გამორჩეულ მოღვაწეობაზე ისაუბრეს დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სამხატვრო გალერეის დირექტორმა ელისო ჩოგოვაძემ, წყალტუბოში ბევრი საინტერესო ნაგებობის ხუროთმოძღვარმა, არქიტექტურის რაინდმა გივი თოდაძემ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსულმა სტუმარმა ელენე შროდერმა, რომელმაც სიტყვა ქართულად წარმოთქვა.

– იმ დღეებში, როდესაც მავანი შეეცადა, რომ ჩვენი წინაპრები დაგვვიწყებინა და პასპორტებიდან მამის სახელი ამოგვიგდო, **„გვიშტიბელმა ბოკაჩომ“,** სულგანათლებულმა ოტია იოსელიანმა მთხოვა: **„იმ უმსგავსობისა გამო, ჩვენი ვაიპოლიტიკოსები რომ ეროვნებასა და მამის სახელს გვედავებიან; წარმომავლობის შეუვალობისათვის, გალაკტიონის არ იყოს: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული“,** გთხოვთ ამიერიდან ასე მოიხსენიოთ ჩემი პიროვნება: **“ოტია შალვას ძე, შალვა ფარნაოზის ძე, ფარნაოზ ბიჭიას ძე იოსელიანი“.** – შემთხვევით არ გაიხსენა გაზეთის **„სარკმელი საქართველოსი“** რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე შენგელიამ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა რომ ორივე ავტორის შემოქმედება ღრმა ეროვნული ფესვებით საზრდოობს, ამიტომ თვალნათლივია საით მიდის მათი გზა, რომელიც ქართულია და კარგია.

როგორც ამ საინტერესო ღონისძიების პროექტის ავტორმა პაატა ცივაძემ აღნიშნა, ეს გამოფენა თვის ბოლომდე გასტანს, ამასთან გამონაკლისი არ იქნება. მას ჩაეწერება ასლან მუშკუდიანის ქანდაკებები, რომეო ლეკვეიშვილის ფერტილოები, გიორგი გამთენაძის გრაფიკა, აგრეთვე ბერძნული და იტალიური სამზარეულოს კვირეულები...

* * *

ზუსტად ასი წლის წინათ ქუთაისმა და მისმა შემოგარენმა ახალი სისხლი გადაუსხეს საქართველოს და **„ცისფერი ყანწებით“** შესვეს მისი მარადიულობის საღღეგრძელო.

ღმერთმა ინებოს, ამჯერადაც ჭეშმარიტად ეროვნული სიტყვა გეთქვას, წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო!

მურთაზ კანკაძე,
გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ მთავარი რედაქტორი

როგორ გადაიღო კუდ-მა, ჩოხა-ახალუხსა და ფაფახში გამოწყობილი პეტრე მამრაძის სექსი კუდ-ის აბენტთან?

მიხეილ სააკაშვილის ძალადობრივმა რეჟიმმა ცხოვრება უამრავ ადამიანს ჯოჯოხეთად რომ უქცია, უცხო არავისთვის არ არის. სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის პერიოდი, ქართველმა ერმა შიშსა და მუქარაში რომ გაატარა, ესეც კარგად ცნობილია. მაგრამ ის, რაც შევიტყვე და უნდა გიამბოთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

არაერთმა პოლიტიკოსმა, ჟურნალისტმა, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ექპერტებმა თუ პოლიტოლოგმა, ის პოლიტიკური შეხედულებები, რაც, ერთი წლის წინათ ჰქონდათ, მკვეთრად შეიცვალა და რატომღაც ხელისუფლების კრიტიკასა და განქიქებაზე გადავიდნენ. ისინი ყოფილი ხელისუფლების მიმართ მეტად ლოიალური გახდნენ. ამ ყველაფერში უცნაური არაფერია. არსებული ხელისუფლების მიმართ კრიტიკა, შესაძლოა, სამართლიანიც იყოს, მაგრამ ისე, კონკრეტული პიროვნებისგან მსგავს განცხადებას რომ არავინ ელოდება, და მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილს ატეხავს – ეს რას ჩადის ახალი ხელისუფლება, ყოფილი ხელისუფლების დროს ასეთი რამ არ ხდებოდაო; გაგიჩნდება უნებლიე კითხვა, რა მოხდა?

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოგიყვებით იმას, რაც სანდო წყაროსგან შევიტყვეთ:

„ექსკლუზივ ნიუსს“ ცნობილი პიროვნებისა და პოლიტოლოგის, პეტრე მამრაძის შესახებ სკანდალური ინფორმაცია მიაწოდეს:

“ბატონი პეტრე, ინტელიგენტი და ცნობილი ოჯახის შვილია, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის ძალადობრივი რეჟიმის მსხვერპლი ისიც გახდა.

ბატონ პეტრეს კუდ-მა ახალგაზრდა, მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონი მიუგზავნა. პეტრე მამრაძის დისკრედიტაცია და მისი კომპრომეტირება, უშუალოდ პრეზიდენტ სააკაშვილის დავალება იყო. სულ ცოტა ხანში, კუდ-ელმა ქალბატონმა, პეტრე მამრაძე „საწოლში“ შეიტყუა და მთელი ეს ურთიერთობა თავიდან ბოლომდე გადაღებულია. რამდენად დაუჯერებელიც უნდა იყოს, პეტრეს სექსუალური ურთიერთობისას ჩოხა-ახალუხი აცვია და თავზე ფაფახი ახურავს. კუდ-ელმა ქალბატონმა ეს ყველაფერი თავიდან ბოლომდე გადაიღო.

პეტრე მამრაძემ როგორც კი სააკაშვილისა და მისი გუნდის წინააღმდეგ პოლიტიკური განცხადებების გაკეთება დაიწყო, ნაციონალებმა ეს კომპრომატი წინ დაუდეს. პეტრე მამრაძემ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებაზე ის ინფორმაციები გააჟღერა, რაც ნაციონალებს ხელს აძლევდათ, იმხანად ყველა ტელევიზია პეტრე მამრაძეს იწვევდა. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ ბატონი პეტრე კარგი ადამიანია, მაგრამ ნაციონალების შანტაჟის მსხვერპლი გახდა და მისი პოლიტიკური შეხედულებებიც, უკვე ობიექტურობას მოკლებული იყო. დაშანტაჟებული კაცი სიმართლეს არასოდეს იტყვის, მან პოზიციაც ამიტომ შეიცვალა. გარდა პეტრე მამრაძისა, ანალოგიურ სიტუაციაში, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი სხვა პოლიტიკოსებიც აღმოჩნდნენ და კუდ-ის მიერ მიგზავნილ ქალებთან იგორავეს, რომელიც ასევე გადაღებულია. ეს პოლიტიკოსები, აქტიური პოლიტიკიდან წავიდნენ, რადგანაც კუდ-მა მათ ეს ფარული ჩანაწერები აჩვენა და მკაცრად გააფრთხილა: ჭკვიანად იყავით, თორემ გავასაჯაროებთ და თქვენს ცოლებსაც გავუგზავნითო. ამით დატერორებულმა ზოგიერთმა პოლიტიკოსმა პარტია დაშალა, ზოგმა სხვადასხვა სექტორში გადაინაცვლეს. ერთ-ერთ ცნობილ, ვითომ ოპოზიციონერ პოლიტიკოსს, რომელიც ხალხსაც უყვარს, ამ ხელისუფლებისა და მისი მეთაურის, პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის მიწასთან გასწორება აქვს დავალებული.

კომპრომეტირებულ პოლიტიკოსს, რომელიც ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი, აღვირახსნილ განცხრომას მიეცა და კუდ-ის მიგზავნილ ქალებთან ერთობოდა, “ნაციონალური მოძრაობა” ამ ავადსახსენებელი ფარული ჩანაწერებით დღემდე მართავს და საზოგადოებას თვალებში ნაცარს გვაყრის.

მოკლედ, “ნაციონალური მოძრაობა” ძველ მეთოდებს, შანტაჟსა დაკომპრომეტირებას დღემდე აქტიურად იყენებს და შედეგიც სახეზე გვაქვს. ვერ ვეღირსეთ სამართლიანობის აღდგენას. “ნაციონალურ მოძრაობაშიც” დღემდე ხალისობენ – როგორ მრუშობდა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ოპოზიცია კუდ-ელ ქალბატონებთან“.

P.S. არის თემები, რაზეც კომენტარი ზედმეტია. გაოგნებული და შოკირებული, ვერაფერს ვამბობ, გარდა ერთისა: სადამდე უნდა გაგრძელდეს ეს ყველაფერი ამ ქვეყანაში?

საქინფორმი,
დარეჯან ლიპარტელიანი

გაზეთ “ილორის” კომენტარი: ნაციონალები რომ “ხანჯლისა და საწამლავის” შუასაუკუნეობრივი მეთოდებით მოქმედებდნენ, ეს არაერთხელ დაამტკიცეს ამ გადაგვარებულებმა. იმაშიც არავის ეპარება ეჭვი, რომ ნაციონალთა “მკვლელობისა” და შანტაჟის მანქანის მთავარი “მექანიკოსები” სულიან-ხორციანად მახინჯი გიგა ბოკერია, ზურაბ ადეიშვილი, გივი თარგამაძე და სხვა ნაცი მკვლელები იყვნენ.

შეგვიძლია დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ პეტრე მამრაძეს აშკარად ბედმა გაუღიმა, რომ მხოლოდ შანტაჟი აკმარეს და ჟვანიასა და შარაძის გზას არ გაუყენეს. თანაც, “ნაციონალი” არაკაცები მკვლელობას არ აკმარებდნენ ხოლმე მსხვერპლს და ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ განწირული ადამიანების სახელი ლაფში ამოეთხვარათ.

ასე “სახელშელანძღულად” მოკლეს სააკაშვილის ზონდერებმა შესანიშნავი ადამიანი და სახელმწიფო მოღვაწე ნუგზარ საჯაია, ასე მიუწვინეს მათ მიერვე მოკლულ ზურაბ ჟვანიას ასევე მათ მიერ მოკლული რაულ უსუფოვი და გაზით გაგუდვის სცენა გაითამაშეს.

ასე რომ, ამ მხრივ, ბატონ პეტრეს აშკარად მოსალოცად აქვს საქმე!

თავისუფალი საქართველოს მეცხოვნენი

უფალმან „მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ“ (რომაელთა, 2თ. 6) ანუ „რაიცა სთესოს კაცმან, იგი მოიმკოს“ (გალატელთა, 6თ.7)

“თუ გსურს ერი, ან ადამიანი გახრწნა და გადააგვარო, მას არა მხოლოდ უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც იგი. თავისი ჭეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროვენი და მოღალატენი კი – გმირებად”.

ზვიად გამსახურდია

“მეწყალის ერი ესეო” (მარკ. 8,2). “ნუ დაიდუმებთ ერისთვისაო,” გვეუბნება ჩვენი მოძღვრება და ამის აღსრულებას პირნათლად მისდევდა სამღვდელოება. გადაათვალიერეთ ისტორია და თქვენ იქ დაინახავთ ამის აუარებელ მაგალითებს. მოიგონეთ ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი და მათი გამოსარჩლება ხალხის კეთილდღეობისათვის, მათი ბრძოლა ამ ქვეყნის ხელისუფლებასთან, მის უსამართლობასთან, მოიგონეთ ამბროსი მედიოლანელი, რომელმაც მრისხანე იმპერატორი თეოდოსი არ შეუშვა ეკლესიაში მისგან თესალიაში მოხდენილი სისხლისღვრის გამო და მრავალი სხვა. გადახედეთ საქართველოს ისტორიას და აქაც დაინახავთ უამრავ მაგალითს, სამღვდელოების ბრძოლას არსებული წყობის და ერის ინტერესების დასაცავად ამქვეყნიურ ხელისუფალთა მძლავრებისაგან. სამღვდელოება ყოველთვის იყო დამცველი საქართველოს თავისუფლების იდეისა. რამდენად მოურიდებელნი იყვნენ მღვდელმთავარნი ამ შემთხვევაში, გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი. იმერეთის მეფე სოლომონ დიდის მემკვიდრე, ალექსანდრე, ურწმუნოებისა და სხვა დანაშაულობებისათვის სამღვდელო კრებამ განკვეთა ეკლესიიდან და, როდესაც ის მიიცვალა, აუკრძალა მისი ქრისტიანული დამარხვა. ის დაასაფლავეს წესის აუგებლად ეკლესიის და სასაფლაოს გარეშე. თვალცრემლიანი მეფე სოლომონ დიდის მუდარებამ და თხოვნამ ვერ გაჭრა, ვერ შეაშინა მღვდელმთავართა კრებული. მოიგონეთ ანტონ ჭყონდიდელი და მისი გამოსვლა ტყვეთა ყიდვის წინააღმდეგ, რაც იმერეთის მეფეს და გურია-სამეგრელოს მთავრებს გადაქცეული ჰქონდათ სახელმწიფოს მართვის სისტემად.

სასამართლო პროცესზე კათალიკოს-პატრიარქის წმიდა ამბროსის (ხელაია) მიერ წარმოთქმული სიტყვა

2014 წლის 7 ივლისს, წმიდა იოანე ნათლისმცემლის შობის დღეს, საქართველოში და მთელს მსოფლიოში, გავრცელდა ინფორმაცია ედ. შევარდნაძის სიკვდილის შესახებ. მყისიერად მოხდა მსოფლიოს მოქმედი, თუ ყოფილი პოლიტიკური ლიდერების შეფასებები, ამ სუბიექტის მიმართ და რასაკვირველია ეს შეფასებები, მისი პიროვნების დადებითად წარმოჩენაში, როგორც რუსეთის, ასევე დასავლეთის პოლიტიკური მოღვაწეებისა, იდენტური აღმოჩნდა, აღარას ვამბობთ ქართულ ე.წ. პოლიტიკურ სპექტრზე.

ჩვენი უდიდესი აღშფოთება გამოიწვია აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, ბატონ ჯონ კერის, განცხადებამ: **„ედ. შევარდნაძე იყო დიდი პოლიტიკოსი... მან უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში“,** რითაც მან სინამდვილეში, ქართველი ერისაგან, კატეგორიულად მოითხოვა, ედ. შევარდნაძის დადებითად შეფასება და ქართველ ხალხს მან, ამ საკითში ერთიანობა მოსთხოვა. ბატონ კერის შევახსენებთ, რომ ედ. შევარდნაძეს არათუ მიუძღვის რაიმე დადებითი წვლილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში, არამედ მისი პასუხი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თხოვნაზე, რომელიც ტელეფონით დაუკავშირდა მოსკოვში მყოფ ედ. შევარდნაძეს და სთხოვა საქართველოს სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოსვლაში დახმარებოდა, მან ასე უპასუხა: **„დამანებეთ თავი, მე ერთი პენსიონერი კაცი ვარ და ნუ მთხოვთ იმაზე მეტს, რაც შემიძლია“,** ბატონმა ზვიადმა აგრეთვე ჰკითხა: მისცა თუ არა ხმა შევარდნაძემ 31 მარტის რეფერენდუმზე საქართველოს დამოუკიდებლობას, რაზეც მან პასუხად დუმილი მიიღო. ხოლო რაც შეეხება 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმს, ედ. შევარდნაძემ, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ხმა მისცა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას. ასე რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივანს კარგად უნდა მოეხსენებოდეს ამ სუბიექტის **„ღვაწლი“** საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში. ამ და სხვა ფაქტორებმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ლეგიტიმური კონსტიტუციური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნულ კომიტეტს გადაგვაწყვეტინა პირუთვნელად და ობიექტურად შეგვეფასებინა საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ძირითადი **„შემოქმედის“**, ედ. შევარდნაძის მოღვაწეობა.

ვინ, თუ არა ქართველმა ერმა კარგად უწყის მისი მმართველობის შავბნელი ხანა, უფრო მეტიც, შევარდნაძე იყო ჩვენი თანამედროვე ეპოქის მრისხანე მურვან ყრუ და აღა-მაჰმად-ხანი.

ზოგადად პოლიტიკოსთა შეფასებების დაყდნობით, ვაკეთებთ რა ანალიზს, დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკაში იმპერიიდან წარმოგზავნილი ედ. შევარდნაძე და მისი, მოკლე თუ გრძელვადიანი გეგმა, რომლის უდაო მსხვერპლი გახდა დამოუკიდებელი, ქრისტიანული საქართველოს რესპუბლიკა, იყო მასონთა **„მწვანე“** და რუსულ **„წითელ“ დემოკრატთა, „გარდაქმნისა“** თუ **„ფერისცვალების“** ერთობლივი პროექტი.

ჩვენს კომიტეტს მიაჩნია, რომ აღნიშნული პროექტი-ოპერაცია რუსული და ევრო-ამერიკული იმპერიალიზმის, ანუ მასონთა კოორდინირებული სტრატეგიული გეგმის ნაწილია და ფაქტიურად, საქართველო ტრანსნაციონალური რეაქციული ძალების აგრესიის ობიექტი გახდა.

თავისუფლებისათვის შეწირული მართალთა სულები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ერთ დროს, ვის წინააღმდეგაც ისინი მშვიდობიანად იბრძოდნენ, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაში, მზაკვრული ხერხებით, კვლავ დაბრუნდებოდნენ, ხელში ჩაიგდებდნენ ქვეყნის ძალაუფლებას, საქართველო გაითელებოდა, გაიყიდებოდა და მასონთა სავალუტო ფონდებში დასაგირავებელი გახდებოდა.

ედ. შევარდნაძე გახლავთ 1992 წელს ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული გადატრიალების დაგეგმვა-ორგანიზების და მისი განხორციელების მეთაური. მან გააერთიანა ქვეყანაში არსებული ყველა ბოროტი და შავბნელი ძალა (მაფიოზურ-კლანური, კრიმინალური, ანტიეროვნული, კომუნისტურ-რევანშისტული, ანტიქრისტიანული ძალები), რომელთაც მოახდინეს არნახული დანაშაული, დაამხეს კონსტიტუციური ხელისუფლება, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელიც მისი უშუალო ბრძანებით იქნა განადგურებული და ასევე ყველა ის პიროვნება, რომელიც იცავდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციურ წყობილებას. მან საქართველოში უკანონობა – არალეგიტიმური, მახინჯი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა დაამკვიდრა. ამორალური ცხოვრების, მავნებლური – მტაცებლური წესებით. დიახ, მან მიზანმიმართულად უკანონოდ გაასხვისა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილები (სამაჩაბლო, აფხაზეთი) დაგომისის, სოჭის, მოსკოვის ხელშეკრულებებით, რითაც მან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დეფაქტოდ რღვევას ჩაუყარა საფუძველი. ქართველი ერისათვის, შევარდნაძის სახელთან არის დაკავშირებული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და საგანმანათლებლო-სამეცნიერო სისტემის დაშლა-განადგურება. ამ „პატივცემულმა“ გვამმა საზოგადოებრივი საწარმოო ფონდები კრიმინალური „პრივატიზაციის“ გზით კორუმპირებულ, კომუნისტურ ნომენკლატურასა და პრივილეგირებულ ერზაც-ინტელიგენციას გადასცა; აღარას ვამბობთ მის მიერ კანიბალურ-ტერორისტულ-რეპრესიული რეჟიმის შექმნაზე, რამაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

(გაგრძელება მე-11 გვერდზე)

ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ 5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲧᲐᲚᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ – ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲤᲠᲔᲜᲙ ᲐᲑᲘᲒᲜᲔᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲐᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ

ქართველი ავანტურისტის სოლომონ აშორდიას ამბავი მსოფლიოში ცნობილ გამყალბებელ ფრენკ აბიგნეილს გაგახსენებთ, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. მისი ისტორია საფუძვლად დაედო სტივენ სპილბერგის ფილმს, სახელწოდებით **"დამიჭირე, თუ შეძლებ"**, სადაც მთავარ როლს ჰოლივუდის ვარსკვლავი ლეონარდო დიკაპრიო ასრულებს.

"სოლომონ აშორდია ნიჭიერი ქართველი თაღლითი გახლავთ, რომელსაც მსოფლიოს ისტორიული მისტიფიკატორების ნუსხაში საპატიო ადგილი უკავია. ყალბი საბუთების შედგენის სფეროში ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე იყო. XIX საუკუნის მიწურულს, მისი წყალობით, ქუთაისის გუბერნიის 2 ათასამდე მცხოვრებმა თავადისა და აზნაურის ღირსებები მიიღო... საქართველოდან გაქცევის შემდეგ, სოლომონმა თავისი ავანტიურისტული საქმიანობა იმდროინდელ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში განაგრძო. ყალბი საბანკო საბუთებით, თავის თანამზრახველებთან ერთად, რუსეთის ბანკებიდან დაახლოებით ხუთი მილიონი მანეთი გაიტანა. მის შესახებ საქართველოსა და რუსეთში არაერთი ლეგენდა და მითი არსებობდა. წინააღმდეგობრივი პიროვნება იყო: ერთი მხრივ თაღლითი და ავანტიურისტი და მეორე მხრივ კი – ქველმოქმედი, ყურადღებიანი, პირნათელი, რომელიც სხვისას არაფერს შეირჩენდა. სოლომონს ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება დ საქმიანობა ჰქონდა", – ამბობს პროფესორი მალხაზ აშორდია, რომელიც ცნობილი ავანტიურისტის ძმის შვილიშვილია. მან წინაპარს წიგნი – **"სოლომონ აშორდია – ზუგდიდელი ქართველი ავანტიურისტის თავგადასავალი"** მიუძღვნა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲧᲐᲚᲑᲔ

გაკვეთილზე, თანაკლასელების თვალწინ, სოლომონს სუფთა ფურცელზე სამმანეთიანი დაუხატავს. შემდეგ კი ბაზარში წასულა და იმ **"ფულით"** ცხვარი უყიდია, რომელიც შინ მიუყვანია. მამა დიდხანს ცდილობდა, გაეგო, საიდან ჰქონდა ფული. სოლომონი ატყუებდა, რომ სამმანეთიანი იპოვა. საბოლოოდ კი ეს ამბავი პოლიციას გაუგია, სადაც დაუბარებიათ კიდეც მამა-შვილი. მამისგან ხელწერილი აუღიათ, რომ მისი შვილი – სოლომონი მსგავს საქციელს აღარ გაიმეორებდა. მაშინ პოლიციას იოლად გადაურჩა, მაგრამ შინ მამისგან საკმაოდ მოხვდა...

სოლომონი უნიჭიერესი ადამიანი იყო. ბავშვობიდან კარგად ხატავდა, მღეროდა. ჰქონდა კარგი კალიგრაფია. ადვილად ამსგავსებდა სხვების ხელმოწერებს. ჩინებულად შეუსწავლია რუსული ენა – შეუცდომლად წერდა და კითხულობდა. ჰქონდა ახლის ათვისების საოცარი უნარი. კითხვაც ჰყვარებია. თურმე საშინლად განიცდიდა იმას, რომ სწავლა-განათლება ბოლომდე არ ჰქონდა მიღებული. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მის ოჯახს უჭირდა და სკოლის დამთავრების შემდეგ, მას მატერიალურად ვერ ეხმარებოდა. ამიტომ იძულებული გახდა, სამსახური დაეწყო. მუშაობდა ზუგდიდის სამაზრო სამმართველოში და პარალელურად, მომრიგებელ მოსამართლესთანაც მწერლად მსახურობდა...

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲐ

პირველი სერიოზული დანაშაული, რომლის გამოც სოლომონი გაასამართლეს, 1893 წლის ოქტომბერში ჩაიდინა. ამ წელს, 18 წლის სოლომონი ქუთაისიდან ზუგდიდში დაბრუნდა, სადაც მომრიგებელ მაჭავარიანის თხოვნით, გარკვეული დროით, მასთან სამუშაოდ დარჩა. საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: ზუგდიდის სოფლის საზოგადოების 18 კომლი გლეხი, 1863 წლის აღწერით, ჩაწერილი იყო სოფელ ზუგდიდში, ხოლო 1886 წელს შედგენილი საოჯახო სიებით – დაბა ზუგდიდის მცხოვრებლებად. ამის გამო ისინი, როგორც სოფლისა და როგორც დაბის მცხოვრებნი ორმაგ გადასახადს იხდიდნენ. ორმაგი გადასახადისგან გათავისუფლების მიზნით, აღნიშნულმა გლეხებმა 1893 წელს თბილისის სახაზინო პალატას თხოვნით მიმართეს, რათა ისინი დაბა ზუგდიდის მცხოვრებლებად ჩაერიცხათ. პალატამ მათი თხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგანაც ამისათვის საჭირო იყო სოფლის საზოგადოების ყრილობის დადგენილება მათი ამ საზოგადოებიდან დათხოვნის შესახებ. ზუგდიდის მაზრის პოლიციის სამმართველოს მოხელე, სოლომონის თანაკლასელი, ვინმე პლატონ ქარდავა ამ გლეხების მეზობელი იყო, რომელთა შორის ავტორიტეტით სარგებლობდა. მან გაავრცელა აზრი, თითქოს იცოდა მთავრობის ახალი დადგენილება, რომ მსგავსი ჩარიცხვისათვის არ იყო საჭირო სოფლის მცხოვრებ გლეხთა ყრილობის გადაწყვეტილება. ქარდავამ მათ გარკვეული საფასურის (15 მანეთი) სანაცვლოდ, დახმარება აღუთქვა. გლეხებს ეჭვი არ შეუტანიათ მის სიტყვებში, ისე დათანხმდნენ. პლატონმა ამ საქმეში დახმარება სოლომონს სთხოვა. 1893 წლის 31 ოქტომბერს სანიკიძის დუქანში მათ შეადგინეს სოფლის ყრილობის ორი ყალბი დადგენილება, ზუგდიდის სასოფლო საზოგადოების 321 გლეხის ყალბი ხელმოწერით. ტექსტებზე ხელი სხვადასხვა პირმა მოაწერა... სოლომონმა დანაშაული არ აღიარა...

ის ადგენდა ყველა სახის ყალბ საბუთს, რაც მისთვის დიდი შემოსვლის წყარო იყო... აზნაურების საქმესთან დაკავშირებით, სოლომონის დაკითხვას აწარმოებდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი კლევენსკი. მისი განკარგულებით, სოლომონის მატარებელში დაპატიმრების მეორე დღესვე, 1900 წლის 22 იანვარს, სოლომონი ციხეში გადაიყვანეს, სადაც იგი წინასწარი გამოძიების დამთავრებამდე უნდა მჯდარიყო. სოლომონს ვერც კი წარმოედგინა, რომ ნაცნობ-მეგობრების თვალწინ ქუთაისი ფეხით უნდა გაევლო. მთელი ქალაქი იცნობდა და ყველა გაიგებდა მისი დაპატიმრების ამბავს. ამ საკითხზე პოლიცმაისტერ ლისოვსკისთან კამათის შემდეგ, სოლომონს დაუქირავებია ორი ეტლი და ყველა პოლიციელთან ერთად, ქუთაისის ციხეში გამგზავრებულა. 1900 წლის 26 აპრილს სოლომონს წაუყენეს ბრალდება – თავადაზნაურობის ყალბი საბუთების შედგენის გამო და პატიმრობა შეუფარდეს. ის როგორც საშიში დამნაშავე, ერთადგილიან, ნესტიან საკანში მოათავსეს, სადაც განსაკუთრებულად ფრთხილი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. აუკრძალეს გასეირნება, ნათესავებთან შეხვედრა და წიგნების კითხვა (მისთვის დასჯის უმაღლესი ფორმა ის იყო, რომ კითხვის საშუალებას არ აძლევდნენ). არაერთხელ სხვადასხვა ინსტანციის სახელზე შეიტანა თხოვნა-საჩივარი. ის ინტელექტუალური მონაცემების გამოყენებით, ყველანაირად ცდილობდა, ციხიდან თავის დაღწევას და თავისუფლების მოპოვებას. საჩივრების წერის პროცესი, შეიძლება ითქვას, მისთვის თავისუფლებისთვის ბრძოლის სულიერი გამოვლინება იყო. თავისუფლებისთვის ბრძოლის ასეთი შემართება დამახასიათებელი იყო მისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე. იგი საკუთარი თავგადასავლების შესახებ ჩანაწერებს აკეთებდა. ჩანაწერების დიდი ნაწილი დაიკარგა... მოკლედ, ქუთაისის ციხიდან თავდებით გათავისუფლების შემდეგ სოლომონი ზუგდიდში, მშობლების სახლში იყო. მაგრამ, მალე, ქუთაისის საოლქო სასამართლომ აზნაურების საქმის გამო, მისი კვლავ დაკავების შესახებ განკარგულება გამოსცა. მან იცოდა, რომ ამ საქმის გამოძიება რამდენიმე წელიწადს გასტანდა, ამიტომაც, მეორედ დაპატიმრების შიშით, 1902 წლის 9 ივლისს, ბათუმში საკუთარი დახრჩობის ამბავი გაითამაშა.

ᲖᲦᲕᲐᲨᲘ "ᲓᲐᲮᲠᲩᲝᲑᲘᲡ" ᲘᲜᲡᲪᲔᲜᲘᲠᲔᲑᲐ

სოლომონი გარკვეულ პირებს მოეთათბირა, მათ შორის ასლან-ბეგ აბაშიძეს, რომელმაც სპეციალურად შეარჩია კაცი, რომელმაც სოლომონის ტანისამოსი ჩაიცვა. მან, ხალხის დასანახად, ნაპირზე, გაიხადა ტანსაცმელი და ზღვაში შევიდა. შემდეგ ისარგებლა სიბნელით და წყლიდან სხვა მხარეს შეუმჩნევლად ამოვიდა. სავარაუდოდ, ასლან-ბეგ აბაშიძის წინასწარი დავალებით, ბერძენმა მარულიდიმ პოლიციას ყურადღება მიაპყრობინა იმ ფაქტზე, რომ ზღვაში მობანავე ერთი ადამიანი აღარ ჩანდა. მას ზღვაში სოლომონის დახრჩობის ფონის შექმნა უნდოდა. თავად სოლომონი კი იმ დროს ბათუმიდან ფაეტონით გაემგზავრა და თურქი ახმედის დახმარებით, თურქეთში ნავით გადავიდა... თუმცა ეს ამბავი საიდუმლოდ მაინც ვერ დარჩა... მალე გამოჩნდა იმდროინდელი საგაზეთო სტატიები. **"ჩერნომორსკი ვესტნიკი"**, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა სოლომონის ზღვაში დახრჩობის ამბავს... ბათუმის ინციდენტის შემდეგ, აშორდიამ დატოვა საქართველო და გარკვეული პერიოდი თურქეთში ცხოვრობდა;

ᲧᲐᲚᲑᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲔᲑᲘᲗ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ

გამოგონილი გვარებით (დაახლოებით 15-20 გვარზე მაინც ჰქონდა მისივე ხელით დამზადებული ყალბი პასპორტი – ანანიევი, ზედგინიძე, ზახაროვი, თავზაროვი...) ის სხვადასხვა ქალაქში (სარატოვში, ყაზანში, ორენბურგში, კიევში) ცხოვრობდა. აშხაბადში ვინმე პორუჩიკ ანანიევის გვარით იყო ცნობილი. აშხაბადიდან ბაქოში წასულა, რომ იქიდან ირანში გამგზავრებულიყო, სადაც მრავლად ყოფილან ქართველები, რომლებიც პირველი **"ამერიკული ტიპის"** კაპიტალისტ აკაკი ხოშტარიასთან მუშაობდნენ... მისი შუა აზიიდან წამოსვლის მიზეზი ის იყო, რომ იმ ქართველებიდან მას ბევრი იცნობდა. ზოგმა აზნაურობის საქმეში მისი მონაწილეობის შესახებაც კი იცოდა. ამიტომ შიშობდა, რომ ისინი პოლიციაში დააბეზღებდნენ. ამიტომ იქაურობა დატოვა.

ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲐ ᲑᲐᲥᲝᲡ ᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ

1905 წლის 27 მარტს, ბაქოს ნავსადგურში, საფოსტო გემ **"კნიაზ ბარიატინსკ"**-ის სპარსეთში გამგზავრების წინ, ნაბადსა და ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი სოლომონი სალაროსთან მივიდა და ბილეთის ურიგოდ აღებას შეეცადა. წესრიგისკენ მოუწოდეს. სოლომონმა ეს იუკადრისა და იქ მდგომებს აუწყა, რომ გადაცმული ოფიცერი იყო და ბილეთის აღება ურიგოდ ეკუთვნოდა. ამის მომსწრე უბნის ზედამხედველმა საბუთი მოსთხოვა. სოლომონმა ჟანდარმერიის როტმისტერ ვინმე ზედგინიძის სახელზე შედგენილი უვადო საბუთები წარუდგინა. ზედამხედველმა ბოდიში მოუხადა და წავიდა. გემის გასვლის შემდეგ, ზედამხედველთან შტურმანი – სპიროვსკი მისულა და უკითხავს – იცოდა თუ არა, ვინ იყო ის ქართველი. ზედამხედველს უპასუხია, რომ იგი ჟანდარმერიის როტმისტერიაო. შტურმანს სიცილით უთქვამს, რომ ის როტმისტერი კი არა, ცნობილი ყალბისმქნელი აშორდია იყო, რომელზედაც ძებნა იყო გამოცხადებული. ამის შემდეგ ლენქორანის მაზრის პოლიციის უფროსისთვის დეპეშა გაუგზავნიათ. იქაურ პოლიციას სოლომონი გემიდან ჩამოუსვამს და დაუკავებია. დაკავებისას სოლომონს პორუჩიკ ალექსი ანანიევის სახელზე ყალბი პასპორტი წარმოუდგენია, მაგრამ მაინც დაუპატიმრებიათ და ბაქოს ციხეში გადაუგზავნიათ... დაკითხვისას, კანტორაში, სოლომონის ყურადღება მიიპყრო ციხის ზედამხედველისადმი პოლიცმაისტერის ერთმა მიწერილობამ. მისი დანახვისთანავე, თავში ციხიდან გაქცევის აზრმა გაუელვა – დაყინებით დააცქერდა ბლანკს, თანამდებობის პირთა ხელმოწერებს და გაქცევის გეგმაც გაიაზრა. მოძებნა ქაღალდი, მელანი და კონვერტი. მან 1905 წლის 6 აპრილს პოლიცმაისტერის თანაშემწე გრეჩკოვის სახელით პორუჩიკ ანანიევის გათავისუფლებაზე ყალბი მიწერილობა და დადგენილება შეადგინა, რომელიც შეცდომით, თითქოს, აშორდიასთან მსგავსების გამო დააპატიმრეს, და რომ აშორდიას მიმართ სამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო. სოლომონს როგორდაც მოუხერხებია, რომ წერილი ციხის ზედამხედველის კანტორაში დაეტოვებინა... ძალიან მალე ამ წერილის საფუძველზე ის ციხიდან გაათავისუფლეს.

გაზეთი "ივერია", 1905 წელი, 14 აპრილი, ხუთშაბათი, 53.

"ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ"

ამას წინათ ვწერდით, რომ ბაქოში დაატუსაღეს ყველასაგან ცნობილი სოლომონ აშორდია. ეხლა, როგორც **"ბაკინსკიე იზვესტია"** გადმოგვცემს, აშორდია ციხიდან გაქცეულა. დაჭერის დროს აშორდიას უპოვნეს საზღარგარეთის პასპორტი ალექსი ანანიაშვილის სახელზე. ციხის უფროსი ამბობს: 6 აპრილს, საღამოს 6 საათზე, კანცელარიაში შევედი და მაგიდაზე ვნახე ჩემს სახელზე მოსული დაბეჭდილი საპოლიციო ქაღალდი, რომელზეც ეწერა: **"საჩქაროდ"**. ქაღალდი გავხსენი და წავიკითხე ბრძანება პოლიცმეისტერის თანაშემწის ბატონ გრეცკინისა, რომლითაც მე დაუყოვნებლივ უნდა გამენთავისუფლებინა ტუსაღი ალექსი ანანიაშვილი. მეც, რასაკვირველია, მაშინვე გავანთავისუფლე. ვინ მიიტანა ციხეში ეს ქაღალდი, – ჯერაც არ იციან. აშორდიას პოლიცია ბეჯითად ეძებს.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ერთხელ სოლომონი მეგობრებთან ერთად რესტორანში სადილობდა. იქვე მაგიდაზე ფულის კუპიურა 100 მანეთი დახატა. სადილობის შემდეგ რესტორნიდან გასვლისას, დაუძახა ოფიციანტს და ანიშნა, რომ ფული მაგიდაზე დატოვა. ოფიციანტი სწარაფად გაეშურა მაგიდისკენ, 100 მანეთი დაინახა და გახარებულმა მისი აღება დააპირა, მაგრამ ეს ვერ შეძლო. ფულის ნიშანი იმდენად ოსტატურად იყო დახატული მაგიდაზე, რომ ახლო მანძილიდანაც კი მისი გარჩევა შეუძლებელი იყო.

ერთხელ თბილისში ყოფნისას, სოლომონმა გაიგო, რომ მდიდარ სომეხ ვაჭარს ქალქში კარგი ბაღის ყიდვა სურდა. როდესაც ვაჭარი ბაღში სეირნობდა, მის გასაგონად დარაჯს დაუძახა, შეაქო იგი და გულისხმიერი სამსახურისთვის 10 მანეთი აჩუქა. ეს რომ ვაჭარმა დაინახა და გაიგო, სოლომონის პიროვნებით დაინტერესდა და ბაღში მოსეირნე ხალხისგან მასზე ინფორმაციის შეგროვება დაიწყო (ისინი ძირითადად სოლომონის თანამზრახველები იყვნენ). მათგან შეიტყო ვაჭარმა, რომ ეს ბაღი სოლომონის **"საკუთრება"** იყო. ვაჭარმა სოლომონს ბაღის მიყიდვა სთხოვა, რაზედაც აშორდია დათანხმდა და გარიგებაც შედგა – ქალაქის მმართველობის გაყალბებული საბუთების თანახმად, ალექსანდეს ბაღი ნამდვილად სოლომონ აშორდიას ეკუთვნოდა. მან ბაღი ვაჭარს რამდენიმე ათას მანეთად **"მიჰყიდა"** და გაუჩინარდა. შეძენილით გახარებულმა ვაჭარმა როდესაც ბაღის რეკონსტრუქცია დააპირა, ქალქის ხელისუფლებამ ამის საშუალება არ მისცა. რის გამოც იგი დიდხანს დადიოდა სხვადასხვა ინსტანციაში, სანამ არ დარწმუნდა, რომ იგი კლასიკურად გააბრიყვეს.

ვადივოსტოკში ცხოვრების დროს, 1907 წლის ზაფხულში, რესტორანში სოლომონმა საფრანგეთის ელჩის ქალიშვილი გაიცნო, რომელიც იქ მამასთან არდადეგებზე იყო ჩასული. მათი ნაცნობობა ინტიმურ ურთიერთობაში გადაიზარდა. გოგონამ სოლომონს პარიზში გამგზავრება იმ მოტივით შესთავაზა, რომ იგი იქ უკეთესად იცხოვრებდა, ვიდრე რუსეთში ცხოვრობდა. სოლომონმა უარი უთხრა და ეს იმით ახსნა, რომ მას მხოლოდ რუსეთში შეეძლო კარგად ცხოვრება, რადგანაც მიაჩნდა, რომ იქ ადვილი იყო მეფის სულელი ჩინოვნიკების გაბრიყვება. ქალიშვილისა და სოლომონის ურთიერობით უკმაყოფილო საფრანგეთის ელჩმა მეფის მთავრობაში იჩივლა, მაგრამ ეს საქმე მიფუჩეჩდა და სოლომონი გადარჩა.

აშორდიასა და **"აშორდიას აზნაურების"** თემამ ასახვა ქართულ მხატვრულ პროზაშიც პოვა, კერძოდ, მიხეილ ჯავახიშვილის **("კვაჭი კვაჭანტირაძე")**, შალვა დადიანის ნაწარმოებებში.

როგორც ბატონი მალხაზი ბრძანებს, სოლომონისა და კვაჭის საქმიანობა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. უბრალოდ, მიხეილ ჯავახიშვილმა ამ ყველაფერს მხატვრული სახე მისცა... სოლომონი ძარცვავდა საწყობებს, ბანკებს, საქონელი მაღაზიებიდან ყალბი ჩეკებით გამოჰქონდა. მოსაკლავად დასდევდნენ და ვერ იჭერდნენ. სამოქალაქო ომი რომ დაიწყო, მოსკოვში დიდძალი ფული იმ ბინაში დატოვა, სადაც ცხოვრობდა. ოქროს მონეტები პიანინოს ფეხებსა და ხალიჩებში ჰქონდა შენახული. შემდეგ მის ჩამოსატანად გაემგზავრა, მაგრამ როსტოვში რომ ჩავიდა (ბათუმიდან მოტორიანი ნავით გავიდა), იმის გამო რომ მოსკოვში დენიკინი იყო, იქ აღარ შეუშვეს... ამიტომ უკან დაბრუნდა, გზაში გაცივდა და რომ ჩამოვიდა, მალე 45 წლისა გარდაიცვალა. თუმცა მანამდე გეგმაში ჰქონდა, რომ საფრანგეთში წასულიყო...

სოლომონს ჰყავდა მეუღლე და ერთი ქალიშვილი, რომელსაც თავად ვერ მოესწრო.

ᲚᲐᲚᲘ ᲤᲐᲪᲘᲐ

პოლემიკა ფრიად აქტუალურ საკითხებზე

ახლა ისეთ სიტყვას შევეხოთ, რომლის წარმომავლობის დადგენა მეტადრე გაძნელებულია. ეს სიტყვა გახლავთ სეირი **"თავის შესაქცევი, გასართობი რამ – სანახაობა"** (ქ.ე.გ.ლ.). ესეც არაბულ ნასესხობადაა მიჩნეული. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მას გააჩნია სინონიმი – თვალის სეირი, რომელიც ამ ნასესხობას ეჭვქვეშ აყენებს:

სხვათა შორის, ჯამაათი\\ჯუმათი არაბ. **„საზოგადოება„** ამიერკავკასიაში **„სოფლის ყრილობა„** დაღესტანში **«თავისუფალი საზოგადოება»**, სამეგრელოში **„ხალხი, საზოგადოება„** ქართვ. ელემენტია არაბულში, რადგან მეგრ.\\ლაზ. ჯიმა\\ჯუმა = ძმას, ჯიმალობა = **„ძმობა„** ხოლო ჯიმათი\\ჯუმათი = საძმო ადგილს ანუ იმ ადგილს სადაც საზ. ყრილობები ტარდებოდა

ისტორიკოსი – მეგრულში არის სეირი-ს შესატყვისად თოისერი **"განსაცვიფრებელი რამ, სასწაული"**. უეჭველია, ამ უკანასკნელის წინაფორმაა ქართული თვალის სეირი-ს უზუსტესი მეგრ. შესატყვისი – თოლიშსერი, რაცზედმიწევნითუდრის **«თვალისღამეს»**.

ფსიქოლოგი – რა შუაშია თვალი იგივე თოლი ამ სიტყვებში?

ავტორი – საქმე იმაშია, როგორც ზემოთ ითქვა, მეგრ. სერი **"ღამე"**-დან ამომდინარე ქართ. სერი იგივე სერობა ნიშნავს **"საღამოს ვახშამს"** და საერთოდ **"ნადიმს, ლხინს"**. ეს ღონისძიებანი კი ჩვენში საღამოდან მთელი ღამე გრძელდება. მათი თავისებურებანი ქართველურ ყოფით წიაღში სრულიად ითავსებს იმ მნიშვნელობებს, რაც ტერმინ სეირს ახასიათებს: ქართველურ ნადიმთა თუ ლხინთა როლი განმაცვიფრებელი პოლიფონიური სიმღერებისა და ცეცხლოვანი ცეკვების შექმნაში, მჭერმეტყველების, ხალხური პოეზიის განვითარებაში შეუფასებელია: ქართველური სუფრა გახდა დახვეწილი, უაღრესად შემოქმედებითი, თეატრალიზებული სანახაობა. ამიტომაც გაგვაჩნია სენტენციები: თვალს წყალი დავალევინოთ, მეგრ. თოლი, შუნს, თოლიჭკუნც. **"თვალიჭამს, თვალი სვამს"**.

ფილოსოფოსი – უცხადესია: ქართველური სუფრა – სერობა ჩვენი წინაპრებისთვის ღრეობა – კუჭის სეირი კი არა, თვალის სეირი> (თვალის სერი) იგივე თოლიშ სერი, ანუ ზედმიწევნით თვალის საზრდო – სულიერი საზრდო გახლდათ.

ისტორიკოსი – რაც შეეხება შრომასთან კავშირში არსებულ ტერმინებს, ქართველური მდიდარია – ისეთებით, რომლებიც პირდაპირ დაღადყოფენ შრომის სათავეებთან კოლხების ყოფნას. თავად ტერმინი შრომა გახლავთ ფიზიკური დაძაბვისას (შრომისას) ადამიანის გახშირებული სუნთქვის გამოხატულება: მეგრ. შურ-ი უდრის სულს, შურ-ობაკი გახშირებული სუნთქვაა, მეგრულად. ხოლო შურობა > შრ-ომა ცვლილებები კანონზომიერიადა სტრ. ანალიზს არ მოითხოვს.

ანტროპოლოგი – გვაროვნული წყობილების რღვევიდან დაიწყო ქართვ. ნაცველსახელების წარმოქმნა და დამთავრდა პატრიარქალური ოჯახის შექმნის პერიოდში. .იმდროინდელნი გახლავან ტები: მუშა, მუშა-ობა, შენ-ონა.ეს უკანასკნელი (შენობა) დღეს ნაგებობაა, მაგრამ ძველად ის პირველი პირისთვის — შენ-თვის საქმიანობას აღნიშნავდა.

მეგრ. მუშო უდრის შენ-თვის, ამიტომ მეგრულივე მუშო-ობა რაც იგივე შენთვის ანუ პირველი პირისთვის საქმიანობაა პარალელია ქართ. შენობისა. ანუ ქართ. შენ-ობა და მეგრ. მუშო-ობა იმგვარი ურთიერთ დამოწმებები არიან, რომ – მუშა, მუშაობა და შენ-ობა-ს პატრიარქალური მონოგამიური ოჯახის დროინდელ ტერმინად მიჩნევის თაობაზედასკვნას, დამტკიცებულ ჭეშმარიტებად აქცევენ.

ავტორი – მოგვყავს შრომის პროცესის ამსახველი უძველესი ფაქტობრივი მასალა: **"....ლესვის პროცესის სპეციფიურ ს...ს... და შ...შ... ხმიანობათაგამომხატველ ს და შ სამეტყველო ბგერათა აფიქსაციებით, ხშირად ორმაგი სუფიქსაციებითაც, წარმოიქმნენ შემდეგი სიტყვები: ს2+უა> სუა; ლე + სუა> ლე-სუა> //ლესვა; ს+რ>სირ; ლა+სირ+უა>ლასირუა„ლესვა"**; ქართ. მეგრ. ა-ლე-ს-ილი//ლა-სირ-ელი; მეგრ.შ2+ლ>ლიში **„ნემსი"** (ნემსიც ლესვის შედეგია).

ა-ლე-სილ//ლა-სირ-ელ-ის სირ რ>ნ როტაცია გვაძლევს მეგრ. სინ-ა ფორმას, რომელიც ბევრ აღმოსავლურ ენებში რკინას ნიშნავს. დღევანდელი მეგრულით სინა//რსინა **„მავთულია"**, უეჭველია, წარსულში მნიშვნელობით დღევანდელი ქართ. (სინა >მსინა>ნამსი) ნემსი იქნებოდა, რადგან მავთულის დამზადების ტექნოლოგიაგვიანედელია. აქედანვეა (სინა>) მეგრ მისინა **„ჭიის პარკისგან დამზადებული ძაფი"**.

რაკი აღმ. ენებში სინა რკინაა, ამგვარი გადასვლები მომხდარა: ს...ს... **„ლესვა"; ს+რე>სირ//სინა„ნემსი"> სინა „აღმ. ენებში „რკინა» >მეგრ. „მავთული"**.

ანტროპოლოგი – როგორც ვხედავთ, აღნიშნული სიტყვები, უძველეს წარსულში, ლესვით ხის, ქვის, ძვლის, რქის იარაღების (ისრისპირების, დანების, ნემსების, ისრების და ა.შ.) დამზადებიდან ღებულობდნენ დასაწყისს. ამიტომ მათი, იმ დასახელებული ხმბ. ბგერების სახით არსებობის ძვ. პალეოლითის ეპოქებისთვის მიკუთვნება კანონიერია.

ავტორი – იქიდანვეა საწყისი მთელი წყება სიტყვებისა და მათი ფონეტიკურ-სემანტიკური განშტოებებისა:

ქართ. ი-სარ-ი(<ლი-სარ-ი); მეგრ. სა(გა)ნ-ი **"ისარი"** (სარ>სან);

ლათ. ასსერა **„სარი, პალო"**; ქართ. სოლ-ი//მეგრ. სალ-ი; ქართ. მე-სერ-ი//მეგრ. მა-სარ-ი;

ქართ. სალ-ი; მეგრ. ლა-სარ-ი "სალი"; შდრ. მეგრ. ლა-სარ-უა ზედმიწ. «დამესრვა», «მესრების დამზადება.» უნდა ვიფიქროთ, მნ-ბა სალი მიღებულია ძვ. პალეოლითში წაწვეტებული ქვების დამზადების პროცესში.

ქართ. ლურ-ს-მ-ან-// მეგრ. ლი-ს-მ-არ-ი...." (იხ. გ. თ.გვ.)

ფსიქოლოგი – პერშიცი, მონგაიტი და ალექსეევი ანთროპოგენეზში როცა ლინგვისტურ მონაცემებს იხილავენ, აღნიშნავენ, რომ „..სიტყვა სტრელიატ „სროლა" ამოსულია სიტყვიდან სტრელა „ისარი» და წამომავლობის კვალს იმ ეპოქამდე მივყავართ, როცა შვილდიდან „ისარს ისროდნენ" .... („პირველი საზოგადოების ისტორია" გვ. 26).

ფიზიოლოგი – კვალის თაობაზე სწორია, მაგრამ აქ არაფერია თქმული ამ სიტყვებისარქაულ ძირთა წარმოქმნის მექანიზმზე: „ნებისმიერ განათლებულ ადამიანს თვალში მოხვდება", რომ დასაბამისმიერი ს+რე> ლათ. ასსერ// რუს. სტრელა// ქართ. ი-სარ-ი; რუს. სტრელიატ// ქართ. სროლა მონათესავენი და მსგავსნი კი არა, შეიძლება ითქვას ინდენტურნიც კი არიან. ოღონდ, ამოსავლიანობის ავტორისეული მექანიზმი მხოლოდ ქართველურშია.

ენათმეცნიერი — ჯერ არს გავჩუმდე, მაგრამ არ ძალმიძს: თქვენი საოცარი წარმოსახვა... თქვნი საუცხოო ნიჭიერება... მაგრამ უფრო საკვირველია ის — ნუთუ ნამცეცსაც არ დატოვებთ სხვათათვის?...

ავტორი — ბ-ნო ენათმეცნიერო, რაც ჩვენ ჩამოგვითვალეთ განა შეედრება თქვენსას, მაგრამ ვაი, რომ სიბრძნე თქვენი შეუვალი ყრუ კედელია. რაც შეეხება ჩვენს წინ მდგარ საკითხს და ნაშრომის მონაცემების შეფასებებებს, თქვენი მხრიდან, არა თუ ობიექტური მიუკერძოებელი და არგუმენტირებულია, არამედ, პირიქით: თქვენს მიერ მათი იგნორირება ბატონო ენათმეცნიერო, არა მარტო „მძვინვარე" ნიჰილიზმი, არამედ საკუთარი უუძველესი ეთნოგენეზური კვალის მიჩქმალვაცაა, არაფერი რომ არ ვთქვათ სხვა ენებში ქართველურ ელემენტთა პოვნიერების იგნორირებაზე.

ამგვარად, **„აკადემიური საფუძველი"** არ არსებობს კი არა, არსებობს მათი თქვენმიერი ნიჰილისტური იგნორირება.

ისტორიკოსი – აქამდე არსებული და მათ შორის ავტორისეული «...ლინგვისტური დასკვნები ინდოევროპული ხალხების საერთო წარმომავლობის შესახებ, საერთო გარკვეული ხარისხით ფიზიკური წარმომავლობით და უფრო მეტად მათი ცივილიზაციით დამაჯერებელია..» (იხ. ზემოთ) ხოლო ...ცივილიზაცია მცენარეა, რომელიც უფრო გავრცელებადია ვინემ თავად ვითარდება... ე. ბ. ტაილორი «პ. კ.» გვ. 53. "აგრეთვე: «...გრეინერის მიხედვით, კულტურის თითოეული მოვლენა მხოლოდ ერთხელ წარმოიქმნება, ერთ ადგილზე. ერთ და იმავე მოვლენის არსებობა სხვადასხვა ხალხში ახსნილია მისი თავდაპირველი ცენტრიდან გავრცელებით..."(იხ. ქ.ს.ე. 6 გვ. 69). ამიტომ, დიდი ავტორისეული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ მის ლინგვისტურ თუ სხვა მონაცემთა საფუძველზე, იგივე შეიძლება ითქვას იბერიულ-კავკასიურ ენათა მფლობელ ხალხებზე და აგრეთვე ამ უკანასკნელთა და ინდოევროპელთა საერთო, როგორც ენობრივ ასევე კულტურულ წარმომავლობაზე.

ენათმეცნიერი – ბატონებო, როგორც ვხედავთ, ავტორმა აქვე დაასახელა შრომის პროცესიდან შობილი ხმაბაძვითი სიტყვები. ზემოთ კი საპირისპიროს ამტკიცებდით: შრომის პროცესიდან, როგორც ქმედებიდან, მხოლოდ ჟესტ-მიმიკის ენად აბა რა ბგერითი წარმოიქმნებოდაო, ბრძანებდით. მე არაფერს უარვყოფ, მაგრამ აქ აშკარა წინააღმდეგობაა...

ფსიქოლოგი – მხედველობაში გვქონდა აკუსტიკურ ფაქტს მოკლებული ქმედებები და ისეთნი, რომელნიც მუდმივად ერთიდაიგივე ხმიანობით კი არა, ცვალებადით მიმდინარეობენ: ქმედებაა მზისაგან ხელით მოიჩრდილო, ან თავი ატრიალო, მაგრამ ამ შემთხვევაში ჟესტ-მიიკის ნიშანი წარმოიქმნება და არა ბგერითი. ასეცაა: მტაცებლები, ნადირობისას, სხვადასხვა ორგანოების (თავის, ყურების, კიდურების, კუდის, თვალების, სახის ნაკვთების) მოძრაობებს სასიგნალოდ იყენებენ. ეს გახლავთ ჟესტ-მიმიკის ცხოველური ენა.

ჰ-ის პირველყოფილი ჯოგი, ასეულ ათასწლეულების მანძილზე, ნადირობას და შემგროვლებლობას მისდევდა, მაგრამ ბგერითი სიგნალი არ წამოქმნილა, ვინაიდან ამ პროცესს, ზემოთხსენებულ, შრომის პროცესთაგან (ლესვა და ა. შ.) განსხვავებით, სპეციფიური ხმიანობა არ გააჩნია.

ფიზიოლოგი – იმისათვის რომ გავიგოთ, თუ რატომ ნებისმიერი პრაქტიკული ქმედებიდან დასაბამისმიერი მეტყველება ვერ წარმოიქმნება (თუ არა არსებულის განვითარება) საჭიროა, უფრო ღრმად წვდომა საკითხის შინაარსისა: ბ-ნო ენათმეცნიერო, გთხოვთ, მიპასუხოთ: თქვენ, ენათმეცნიერს შეგიძლიათ კი უაქცენტოდ წარმოთქვათ ზოგიერთი რუს.ფონემა?.. საერთოდ შეძლებთ კი, ქართველურისაგან განსხვავებულ, ზოგიერთი აფხაზური ფონემის წარმოთქმას?.., რატომ ვერ შეძლებთ? გადაიკითხეთ ავტორის დამატების.... გვერდები.

ამის შემდეგ ნებისმიერი მიხვდება, რომ თუ თანამედროვე ადამიანს, განვითარებული აზროვნება-მეტყველების ცენტრებით, უჭირს უცხო ფონემათა წარმოთქმა, ამას, საწყის პერიოდში, ვერანაირად შეძლებდა იგივე ცენტრების არ მქონე თუ განუვითარებელი ცენტრებისა და ენის პატრონი ჰ. ამისათვის მას ჩვეული ფიზოლოგიური მოძრაობებით ენისა (წ და ყ ბგერათა ბუნებრივი წარმოთქმებით) უნდა განუვითარდეს თავის ტვინი და ენა.

ფილოსოფოსი – ჰ-ის უსიტყვო საგნობრივი აზროვნებიდან, რაც საგან-მოვლენათა აღქმა-ცნობასა და თვალსაჩინო წარმოდგენაში, ხოლო მოვლენის თანმხლები ბგერის ხატის მიერ პირობით რეფლექსთა აღძვრასა და ამავე ხატის მიერ საგან-მოვლენასთან გაიგივებაში გამოიხატებოდა, მივიდეთ ლოგიკური რეალობის აღნიშვნა. ანუ ხატმა შეასრულა სიტყვის როლი, რაც ვერბალური ინტელექტის გამოვლენაა.

ფსიქოლოგი – თუმცა დასაწყისში, საპირისპიროდ აზროვნების ამგვარი იშვიათი გამოშუქებისა, ჰ. ჯერ ოპერირებს (ძირითადში) არა ზოგადი ცნებებით, არამედ საგან-მოვლენათა თვალსაჩინო წარმოდგენებით – ხატებით.

ავტორი – საბოლოოდ, ჩვენს მიერ წარმოთქმულ მოსაზრებებს თუ დავაჯამებდთ – ასეთია, ძირითადში, ჰ-ის აზროვნების ის საფეხური – **"ხატოვანი აზროვნება"**, რომელიც წინ უსწრებდა ლოგიკური, ცნებითი აზროვნების ჩამოყალიბებას. იგი სრულიად, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ გარკვეულწილი ადეკვატურობით ესადაგება ვალონის ფსიქოლოგიური სკოლის კონცეფციას იმის თაობაზე, რომ ინტელექტი ყალიბდება მოქმედებიდან აზრზე გადასვლის პროცესში.(იხ. გვ 60).

ანთროპოლოგი —აქვე უნდა ვახსენოთ მონგაიტის, პერშიცის, ალექსეევის და სხვათა დებულება შრომის (ე.ი. ქმედების) პროცესში **"ცხოვრებისეული"** თუ **"ემოციური"** წარმომავლობის ბგერებიდან აზროვნება-მეტყველების წარმოქმნის თაობაზე.

ფსიქოლოგი – რა თქმა უნდა, ნაკლულოვანია ადეკვატურობა, როგორც ზემოთხსენებულ, ასევე მოსაზრებასთან, რომ: „...ადამიანურ-ვერბალურ აზროვნებას წინ უსწრებს მეტყველებამდელი გონიერი პრაქტიკული მოქმედების ჩამოყალიბება. სახელდობრ, ანთროპოიდების უნარი ფიზიკურ საგანთა (აღქმულის და არა წარმოდგენილის) შორის მიზნისა და საშუალების დამოკიდებულების დამყარებისა პრაქტიკული მოქმედების სახით, საათანადო გამოცდილების გარეშე, როგორიცაა ჯოხის გამოყენება ხელისათვის მიუწვდომელ საჭმლის მოსაზიდად; ყუთის გამოყენება მასზე ასასვლელად, მაღლა დაკიდებული საჭმლის მისაწვდომად და ა. შ."... (ზ.ფს .რ.ნათაძე გვ.454).

ფილოსოფი – მ. ე. ამ აღწერილ ხატოვან აზროვნებასა და ჰ-ის ხატოვან აზროვნებას შორის მთავარი მსგავსება განპირობებულია მათ საფუძვლად საათანადო ქმედებების არსებობით.

ფსიქოლოგი – დიახ, კერძოდ: პირველთაში პრაქტიკული მოქმედებით, მეორეში – ფიზაქტში ენის მოძრაობით, რომლის უპირატესობა, ბგერითი მეტყველების ჩასახვის თვალსაზრისით, უცხადესია; გარდა ამისა, პირველ შემთხვევაში, არაა ახსნილი მექანიზმი თუ როგორ იქცა პრაქტიკული მოქმედება ბგერით სამეტყველო პირობით რეფლექსად, ანუ თუ როგორ მოგვცა, ამ შემთხვევაში, ქმედებამ ნატურალური თუ პირობითი სიმბოლო, მაშინ როცა ბგერითი ხმიანობის მქონე ფიზაქტში, ენის მოძრაობიდან ამომდინარე, ავტორთან იგი გამოწვლილვითაა შესწავლილი თუ დასაბუთებული.

ანთროპოლოგი – ადამიანური ქმედება, ცხოველურისაგან განსხვავებით, არა მარტო წინასწარ ორიენტირებული, წინასწარმოტივირებულიცაა.ქმედების ყოველი ელემენტი ტვინში წინასწარაა გაკეთებული.

ფსიქოლოგი – სპეციფიური ხმიანობის გარეშე მიმდინარე (დიდ დროში) ცხოველური ქმედებიდან, როგორც ნერვულ-მუსკულარული მოძრაობიდან, შესაძლებელია მივიღოთ უპირობო რეფლექსი შესაბამისი სახისა, ასევე შესაბამისი ფსიქოლოგიური განვითარება და მეტყველება რომ მიგვეღო, თეორიულად, ესეც დასაშვებია, ოღონდ შედეგი ჟესტ-მიმიკის და არა ბგერითი ენა უნდა ყოფილიყო.

ფიზიოლოგი – სულ სხვა მდგომარეობაა აღწერილი ფიზაქტების შემთხვევაში: წოვისას ენის მოძრაობა, როგორც ქმედება და მეტყველება ხომ ერთიდაიგივე ორგანოს – ენის ხმიანი მოძრაობებია. მ. ე. ზემოთაღნიშნული მარტივი ფსიქოაქტების წარმოქმნა, როგორც შედეგი ამ მოძრაობებისა და უკვე სამეტყველო წ და ყ ბგერათაგან მეტყველების, ზემოთქმულისამებრ, ჩასახვა-განვითარება სრულიად სარწმუნოა.

ავტორი –ეს გახლავთ აბსოლუტურად უთავდაპირველესი(ა. უ.) პირველქმნადობა, როცა წ და ყ ბგერათაგან მოხდა გარკვეულ შინაარსთან დაკავშირება და აზრდა მათზე ამ შინაარსისა. ეს პირველქმნადობა ა.უ. იმიტომაა, რომ, პაულის სიტყვებით თუ ვიტყვით: იგი განხორციელდა, არამცთუ უკვე "ადრე გარკვეულ შინაარსთან დაკავშირებული ბგერათკომპლექსის (თუ ბგერის ე. ი.) შუამავლობის გარეშე", არამედ ყოველგვარ სამეტყველო რესურსთა სრული არარსებობის პირობებში.

ფსიქოლოგი – პირველქმნადობა ამგვარი პრინციპით, შემდეგაც გაგრძელდება, როცა "ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის დაკავშირება რაიმე უკვე სახელდებული შინაარსის მონაწილეობის გარეშე მოხდება, მაგრამ იგი არ იქნება ა.უ. პირველქმნადობა, რამეთუ დაფუძნებულ იქნება I და II პერიოდებში წ და ყ-ბგერათაგან თავის ტვინის და ენის განვითარებაზე.

ავტორი – ამგვარი (იმიტაციური) ლექსიკური მარაგის მომპოვებელია III პერიოდი, როცა იწყება გრადაცია: ბგერა აბსოლუტურიდან (აბსოლუტური გამომხატველი, აბსოლუტურად ადეკვატური ანუ აბსოლუტური ბუნებრივი სიმბოლოდან) ხდება სულ უფრო ნაკლებად ბუნებრივი სიმბოლო და ეს გრძელდება დღემდე, როცა "ფუძე" ქართველური ენებისგან განსხვავებით, სხვა "ნაწარმოებ ენებში" სიტყვას თითქმის სრულიად აქვს დაკარგული ნატურალური სიმბოლიზაცია.

(გაგრძელება იქნება)

თავისუფალი საქართველოს მეცნიერები

(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)

მან, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა, საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში დაამკვიდრა წამების არნახული, შუა-საუკუნოებრივი ინკვიზიციის მეთოდები და შემოიღო მამაკაცთათვის პატივის აყრა, რომელიც მისმა მოწაფემ, პოლიტიკურმა მემკვიდრემ, მ. სააკაშვილმა სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით ლეგალიზაცია მოახდინა.

1937 წლის, სისხლიანი რეპრესიების დროს, იმ ავადსახსენებელ ბოლშევიკებსა და შინსახკომის ჯალათებსაც კი არ უკადრებიათ მამაკაცებისათვის პატივის აყრა, მან კი ეს „პირნათლად“ განახორციელა, რასაც დღესაც, მისი მიმდევარი ე.წ. ხელისუფალნი წარბშეუხრელად ანხორციელებენ.

ასევე მიუტევებელია მისი ერთ-ერთი მომაკვდინებელი ცოდვა, და ეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ყველა იერარქმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ედუარდ შევარდნაძემ მთელი საქართველოს თვალწინ კრავივით შესწირა ეშმას მართალი მღვდელი – თევდორე ჩიხლაძე. (ხ. ე.წ. თითმფრინავის საქმე), ასევე, უკვე **„გადემოკრატებულმა“** ედ. შევარდნაძემ მამა რომანოზ ჩიქობავა, 1992 წელს აწამებინა თავის ხელქვეით მხედრიონელებს, რომლის საპატიო წევრიც, შემდგომში გახდა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი – ჯეიმს ბეიკერი და ყოველგვარი ბრალდების გარეშე, დააპატიმრებინა.

ედ. შევარდნაძე არასოდეს არ ყოფილა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, იგი იყო პუტჩისტი, ოკუპანტი, უზურპატორი მმართველი ჩვენი ქვეყნისა. როგორც სადისტურ-მამათმავლური რეჟიმის შემქმნელმა მ. სააკაშვილმა განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ, მას არ აღუძრავს სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. მისი თქმით, იგი თურმე პრეზიდენტის სახელს გაუფრთხილდა და არ მოახდინა მისი დისკრედიტაცია. ჩვენ კი აქვე დავსძენთ, რომ სწორედაც მან მოახდინა პრეზიდენტის ინსტიტუტის ფაქტობრივი გაუქმება, შევარდნაძემ სისხლში ჩაახშო ლეგიტიმური პრეზიდენტის ინსტიტუტი და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, ეს ვანდალი ფიზიკურადაც გაუსწორდა და ამ დანაშაულს იგი ვერასოდეს ჩამოირეცხავდა და ახლაც ვერ ჩამოირეცხავს. 1993 წლის დეკემბერში ე.წ. პარლამენტის სესიაზე წარმოთქმული მისი სიტყვებით: **“ვიდრე ზვიად გამსახურდია დადის ცოცხალი ამ ქვეყანაზე, მანამდე საქართველოში მშვიდობა არ იქნება”,** ამით მან სახალხოდ პრეზიდენტის ლიკვიდაციის ბრძანება გასცა. სააკაშვილის ცრუობს, რამეთუ მან 2008 წლის აგვისტოს ე.წ. რუსეთ-საქართველოს ომში მედვედევმა საქართველოს გარდაცვლილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ომის დაწყებაში დაადანაშაულა.

– ედ. შევარდნაძეს სამართლიანად ვდებთ ბრალს ქართველი ერის მიზანმიმართულ გენოციდში და საერთოდ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულში. ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული ტრაგედიაა ის, რომ ამჟამად არარსებულ ქართულ მართლმსაჯულებას ედ. შევარდნაძე, მისი დანაშაულების გამო, სასამართლოს წინაშე არ წარუდგენია; დღეს საქართველოში მართლმსაჯულება ფაქტიურად არ არსებობს, რაც მომავალ თაობებს, უდაოა, მძიმე ტვირთად დააწვება და სათუოდ გახდება დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალ-ეკონომიკური სახელმწიფოს ფორმირება; ჩანს შავბნელი ძალების მიზანიც ეს არის. ედ.შევარდნაძემ და მისმა პოლიტიკურმა მემკვიდრეებმა ჩვენს ქვეყანაში **დემონოკრატია** დაამკვიდრეს.

დადგება დრო და ისტორია კიდევ უფრო მეტად გამჟღავნდება და ნათელს მოჰფენს მისი და მისი თანამოსაქმეების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს!

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ლეგიტიმური კონსტიტუციური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნულ კომიტეტი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ქვეყნის მაოხრებელთა შესვენებასა და გაპატიოსნებას საქართველოს ეკლესიის ძირითად საკათედრო ყოვლადწმიდა სამების ტაძარში. სჯულის კანონისა და ეკლესიის სამართლით დაუშვებელია ღვთის სახლში დასვენება იმ პირისა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. ღმერთის სიტყვა გვიმოწმებს, რომ **„მთელი მსოფლიო ბოროტსა ზედა დგას“,** ამიტომ ისეთი ადამიანები, რომლებიც იძლევიან ბოროტისაგან, მისი ტყვეები და მონები გახდებიან და როგორც ბოროტების მოშურნეები წარმოსდგებიან ზნეობრივი უწესრიგობის მოყვარულებად, ჭეშმარიტების მხდომებად, კაცობრიობის მტრებად. აი, ასეთია ედ. შევარდნძის მოკლე ბიოგრაფია და მისი დასვენება ყოვლაწმიდა სამების ტაძარში ყოვლად დაუშვებელია, ხოლო ამ ქვეყნის მაოხრებელთა მაკურთხეველნი ვერას უშველიან მის ბოროტ სულს და როგორც წმიდა მამა ეფრემ ასური ღაღადებს: **„არა აქვს შესვენებულს სარგებლობა, არც ცრემლებში, არც გლოვა-მწუხარებაში, არც გარეგან ღაღადებაში, მას თან მიჰყვებიან მისი საქმეები და ქმედებები ახლავენ თან“,** და როგორც წმიდა წერილი გვასწავლის, უკუნი წყვდიადი, კბილთა მწარე ღრჭენა, მოუშორებელი ბორკილები, დაუძინარი მატლი, ჩაუქრობელი ცეცხლი, ურვა-წუხილი, შევიწროება და ტანჯვა – აი, შეუნანებელი ცოდვილის (მითუმეტეს ღვთისა და ერისა წინაშე ჩადენილი დამნაშვის) მომავალი მარადიული ხვედრი.

მაცხოვარმა ბრძანა: „ფართო არს გზა, რომელსაც მიჰყავს წარსაწყმედელად და მრავალნი ვლენან მასზედა“ (მათე. 7თ. 13.) ჩვენ ვშიშობთ, რომ მაოხრებელთა მაკურთხეველნი, მათე მახერებელის ამ სიტყვებიდან გამომდინარე, არ გაუყვნენ ამ წარსაწყმედელის გზას და გზააბნეული ცხოვარნი ქრისტეს მცნებებისაკენ მიმავალი გზის ნაცვლად, ჯოჯოხეთის სანახებში არ გაისტუმრონ, რამეთუ მაგალითი ეკლესიის მსახურთა საბედისწერო არ გამოდგეს მათთვის.

ასევე ყველას შეგახსენებთ ესაია წინასწარმეტყველის შეგონებას: **„ოდეს განიპრყნეთ ხელნი თქვენნი ჩემდამო, მივაქცინე თვალნი ჩემნი თქვენგან და, უკეთუ განამრავლოთ ვედრებაი, არა შევისმინო თქვენი, რამეთ ხელნი თქვენნი სისხლითა სავსე არნ”.** (9ესაია 1თ. 15)

შევარდნაძის სიკვდილით, საქართველოში საბოლოოდ ფარდა აეხადა ამა ქვეყნის ძლიერთა, ქართველი ერის დაუძინებელ მტერთა და ეკლესიაში მოკალათებულ ფარისეველთა ერთობას.

როდესაც ანჩის ეპიკოპოსი, ქვეყნის მოღალატე ცქირი საჰაკ ამირას მონამორჩილი გახდა, და საქართველოსა და ჩვენი დიდი მამის გრიგოლ ხანძთელის მტერობა (მოკვლა) ჩაიდო გულში: **„მაშინ შეკრიბა ერი ანჩისაი და ჰრქვა მათ: შვილნო, დრო მეცით მე და ძმათა ჩემთა ვიდრე შუადღემდე, რაითა წმიდასა შინა ეკლესიასა ვყოთ ვედრებაი წინაშე ქრისტესა და შევიწიოთ წმიდაი გიორგი და ყოველნი წმინდანი.. და ყოს უფალმან სასწაულ კეთილ.“ – და ბოროტ საქმეთა ჩამდენი ცქირი „უფალმან რისხვით მოკლა“.**

საქართველოს ეკლესიის მსახურებს და მრევლს იოანე ღვთისმეტყველის სიტყვებით მოუწოდებთ:

– **„და მოვისმინე ხმა ციდან, რომელიც ამბობდა: გამოდით მისგან, ჩემო ხალხო, რომ არ ეზიაროთ მის ცოდვებს და არ მიღოთ მისი წყლულებისაგან.**

ვინაიდან მისმა ცოდვებმა ცამდე მიაღწია და გაიხსენა ღმერთმა მისი უსამართლობანი.

მიუზღეთ მას, როგორც მან მოგიზღოთ და ორმაგად გადაუხადეთ მისი საქმეების მიხედვით; სასმისში, რომელშიც მოამზადა, ორმაგად მიუზღეთ მას.

რამდენადაც განდიდდებოდა და ნებივრობდა, იმდენად მიაგეთ ტანჯვა და გლოვა. ვინაიდან თავის გულში ამბობდა: დედოფლად ვზივარ, ქვრივი არა ვარ და გლოვას არ ვნახავ.

ამიტომ ერთ დღეს მოვა მისი წყლულები და სიკვდილი, გლოვა და შიმშილი, და დაიწვება ცეცხლში, რამეთუ ძლიერია უფალი ღმერთი, რომელიც გაასამართლებს მას“. (იოანეს გამოცხადება, 18 თ. 4-8)

მოგახსენებთ, რომ ჩვენ შეგნებულად არ ვიხმარეთ სიტყვა გარდაცვალება, ვინაიდან გარდაცვალება ქართული ენის ცნობიერებით და სახარებისეულად, განსაკუთრებული მცნებაა და ვიხმარეთ სიტყვა სიკვდილი; ვინც არ ყოფილა ამქვეყნიურ ცხოვრებაში, ჭეშმარიტი ღმერთის მსახური, ის ვერ იქნება საიქიოში ღმერთთან ერთად.... ანუ მათი ყოფნის ადგილი იწოდება გეენიად, **„სადაც მატლი არ კვდება და ცეცხლი არ ნელდება“** (მარკოზი, 9თ. 9) სიკვდილი არის მოშორება ღმერთისაგან, ცათა სასუფეველისაგან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შევარდნაძე, რომელიც არასოდეს ყოფილა პრეზიდენტი, არამედ გახლდათ ოკუპანტი, თავის საოკუპაციო ადმინისტრაციასთან ერთად, შესაბამისად არანაირად არ იმსახურებდა დაკრძალვას არც პრეზიდენტის პატივით და არც მის მიერ უფსკრულის პირამდე მიყვანილი ჩვენი სამშობლოს – საქართველოს სახელმწიფო ხარჯებით.

დაბოლოს, დავამთავრებთ სულმნათი ზვიად გამსახურდიას სიტყვებით: **„შევარდნაძეზე დიდი მტერი საქართველოს არ ჰყოლია და არც ეყოლება.“**

„ჩვენ, ძმანო, ვდგავართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედიღბალს და გაგვთელავს ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი – ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგება და გვეუბნება: აი ეროვნული მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის ნიღბით და საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება.

გაუმარჯოს ილია მართალის გზას, მერაბ კოსტავას გზას!“

კურთხეულ იყოს ილია მართალის გზა!

გაიღვიძე, ქართველო ერო! გაიღვიძე და გაჰყევი გზას ჭეშმარიტებისას, სიკეთისას, ღვთისას, ამინ!

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ლეგიტიმური კონსტიტუციური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნულ კომიტეტის სახელით:

გიორგი კავკასიელი (კერვალიშვილი), კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი;

ბესო (ბესარიონ) მიქავა, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;

მღვდელი – მამა ილარიონი (ჯანელიძე);

გურამ პეტრიაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი;

ნანა კახიანი, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი;

მანანა ჯიჯეიშვილი, ექიმი:

ზურაბ ქობალია, ჟურნალისტი;

გოჩა ხარებავა, ჟურნალისტი;

ნუგზარ კობახიძე, ადამიანის უფლებათა დამცველი;

გიორგი თევზაძე, პატიმართა უფლებების დამცველი.

თბილისი, 2014, 10 ივლისი,

სამშობლისათვის შეწირული წმიდა კირიონ კათალიკოსის ხსენების დღე

საიდუმლო შეხვედრა წყნეთში – რა მოხდა “ნაციონალების” ლიდერებსა და მათ მოკავშირე ბიზნესმენებს შორის?

ქართულ მასმედიას სანდო და კარგად ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, რომ რამდენიმე დღის წინ **“ნაცმოძრაობასთან”** დაახლოებული ბიზნესმენებისა და ამ პარტიის ლიდერთა ფარული შეხვედრა გაიმართა. ამ შეხვედრის ინიციატორები ბიზნესმენები ყოფილან, ეს ფარული თავყრილობა წყნეთში, ერთ-ერთი ბიზნესმენის აგარაკზე შედგა და მას, დაახლოებით, ოცი მსხვილი ბიზნესმენი ესწრებოდა. მათი ვინაობის დაზუსტება წყარომ ჯერჯერობით ვერ მოახერხა. **“ნაცმოძრაობას”** კი გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე და გია ბარამიძე წარმოადგენდნენო, – წერს ავტორი ლევან ღვინიაშვილი გაზეთ **“ალიაში”** გამოქვეყნებულ სტატიაში **“გასაიდუმლოებული შეხვედრა წყნეთში”.**

როგორც გამოცემა იუწყება, მათი წყარო აცხადებს, რომ ბიზნესმენებმა მკაფიოდ და კატეგორიულად დაუფიქსირეს **“ნაცების”** ლიდერებს, რომ ისინი მათი პარტიის დაფინანსებას აღარ აპირებდნენ.

ამონარიდი სტატიიდან: **“ეს ხალხი წლების მანძილზე აფინანსებდა “ნაცმოძრაობის” საარჩევნო კამპანიებს, სხვა სახის აქტივობებს, ინახავდა “ნაცმოძრაობის” კუთვნილ მედიასაშუალებებს, პარტიის კონკრეტული ლიდერებისა და მათი ოჯახების წევრების საზღვარგარეთულ ვოიაჟებს, უცხოეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლის ქირას უხდიდა პარტიის ლიდერთა შვილებსა და ახლო ნათესავებს... ბიზნესმენებს უთქვამთ “ნაციონალებისთვის”, რომ ამიერიდან მათგან ერთ თეთრსაც ვეღარ მიიღებდნენ. ეს ბიზნესმენები სარგებლობდნენ პრივილეგიებით, იგებდნენ სახელმწიფო ტენდერებსა და აუქციონებს, შედავათიან და სიმბოლურ ფასად ყიდულობდნენ სახელმწიფო ქონებას. მოკლედ, “მწვანე შუქი” ჰქონდათ ანთებული. გივი თარგამაძეს სწორედ ეს შეუხსენებია მათთვის და დაუმუნათებია, – ჯერ კიდევ ვალში ხართ ჩვენთანო. ბიზნესმენებს უკან არ დაუხევიათ და რაც ზემოთ ჩამოვთვალე, “ნაციონალებისთვის” გაკეთებული ათი იმდენი სანაცვლო სიკეთე კიდევ შეუხსენებიათ. უთქვამთ, რომ ათეულობით მილიონი აქვთ დახარჯული ინფრასტრუქტურულ პროექტებზე თბილისშიც და რეგიონებშიც, სპეცფონდებში... მოკლედ, ბიზნესმენებს უთქვამთ, რომ, თუ რამე სიკეთე მიიღეს “ნაციონალთა” ხელშეწყობითა და მფარველობით, ყველაფერი გადაიხადეს და ახლა, სააკაშვილის პარტიის გარეშე აპირებენ საქმიანობის გაგრძელებას.**

ბიზნესმენების ერთ ნაწილს უშუალოდ გივი თარგამაძისთვის უთქვამს, რომ ოფშორში დარეგისტრირებული კონკრეტული ქართული ბიზნესკომპანიების ანგარიშებზე “ნაცლიდერების” კუთვნილი თანხები ინახება და ეს ფული დროულად გადაიტანეთ სხვა ანგარიშებზე, თორემ აკდგებით და ჩვენ მოვიხმართო. შეიძლება ეს არის ბიუჯეტიდან მოპარული მილიონები, რომლებიც ამ ბიზნესმენთა დახმარებით გაათეთრეს და მათ მიაბარეს ოფშორულ ანგარიშებზე შესანახად. მოკლედ, “ნაციონალები” მაგარ შარში არიან, სავარაუდოდ, გაუჭირდებათ საქართველოში ისეთი კომპანიების მოძებნა, ვინც ამ ფულს ისევ ოფშორში შეუნახავს. გაუჭირდებათ იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც ბიზნესმენმა გიორგი კაპანაძემ პროკურატურასთან ითანამშრომლა და ჯერ გიგი უგულავას ქვისლი, გიორგი ღონიაშვილი დააჭერინა, მერე კი თავად უგულავას ციხეში გასტუმრებაშიც დაიდო წილი, აღარავის ენდობიან. ბიზნესმენებს ბოკერიას, თარგამაძისა და ბარამიძისთვის ასევე უთქვამთ, რომ კონკრეტულ “ნაციონალთა” ოჯახის წევრებსა და მათ “ნათესავებს” მათსავე კომპანიებში რომ აქვთ წილები ხელშეუხებლობის სანაცვლოდ და სოლიდურ დივიდენდებსაც იღებდნენ, ყველა ასეთმა ადამიანმა თუ უარი არ განაცხადა საკუთარ წილზე, მაშინ ისინი გიორგი კაპანაძის გზას დაადგებიან და სამართალდამცავებთან ითანამშრომლებენ. რამდენიმე ბიზნესმენს ისიც უთქვამს, გიორგი კაპანაძის ჩანაწერები არაფერია ამასთან შედარებით, რაც მათ აქვთ არქივში.

ამ შეხვედრაზე ბიზნესმენებს ისიც უთქვამთ, რომ ბიზნესს არ ააქტიურებდნენ და მოლოდინის რეჟიმში მუშაობდნენ, ელოდებოდნენ ქვეყანაში პროცესების განვითარებას და ამით გვარიანადაც იზარალეს და, რაც მთავარია, მათი მხრიდან ეს იყო საბოტაჟი სახელმწიფოს წინააღმდეგ და ეს რომ გააკეთეს, ნანობენ კიდეც, რადგან დღევანდელ ხელისუფლებასთან დაპირისპირება არ სურთ, ამიტომ ახლა, ბიზნესაქტივობას გააგრძელებენ და იმავე რეჟიმში იმუშავებენ, როგორც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე მუშაობდნენ.”

გურიელ ჭითანავა – 65

შესანიშნავ მომღერალს, მუსიკოსს, იდივიდუალურობით და კოლორიტულობით გამორჩეულ პიროვნებას, ბატონ გურიელ ჭითანავას ა.წ. 23 ივლისს 65 წელი შეუსრულდა... გულწრფელად ვულოცავთ მას ამ იუბილეს და ვუსურვებთ შემოქმედებითი წარმატებებით აღსავსე ხანგრძლივ სიცოცხლეს... რასაკვირველია, აგრეთვე, მოსწრებოდეს გაპარტახებული მამულის აღორძინებას...

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის სახელით,

ზურაბ კვარაცხელია

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ბრაზილია – 1950 წლის საფეხბურთო ტრაგედიის ექო, რომელიც 2014 წელს უფრო ხმამაღლა გაისმა!

(ლეგენდა "მარაკანაზე" – დიადი სტადიონის უცნობი წყვლა)

სტადიონი **"მარაკანა"**, რომელიც რიო დე ჟანეიროში მდებარეობს, მსოფლიოში ყველაზე ლეგენდარულ არენად მიიჩნევა, თუმცა ბევრმა არ იცის, საიდან აქვს ასეთი პოპულარობა ამ სტადიონს.

სტადიონები ლეგენდარულები საკუთარი ისტორიიდან გამომდინარე ხდებიან. 2014 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალი სწორედ **"მარაკანას"** სტადიონზე გაიმართა, რაშიც ბრაზილიის ნაკრებს უკვე წილი არაფერზე ედო...

ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებისათვის მის სამშობლოში გამართული ჩემპიონატი კიდევ ერთ დიდ ტრაგედიად იქცა, რამაც ლამის თვითმკვლელობამდე მიიყვანა გულშემატკივართა ნაწილი!

ბრაზილიის ნაკრების საშინაო უბედურება კი იმ შორეულ 1950 წელს დაიწყო, როცა ამ ქვეყნის ნაკრები მართლაც საუკეთესო ფორმაში იმყოფებოდა და მის ტრიუმფს თითქოს წინ ვერავერი ვერ უნდა გადაღობებოდა.

მაგრამ ბედისწერის ქალღმერთი თურმე სულ სხვაგვარად ფიქრობდა...

მაშ ასე: გავიგოთ თუ რატომ უნდა ყველა ფეხბურთელს ამ დიად არენაზე თამაში, თუმცა, არა მგონია, რომ ეს არენა სანუკვარად იქცეს როდისმე ბრაზილიის ნაკრებისათვის.

ფეხბურთის სპეციალისტებისა და ფანატიკურად განწყობილი გულშემატკივრებისათვის საიდუმლო არაა, რომ არც ერთ სპორტულ ღონისძიებას არ შეუგროვებია იმდენი ხალხი, რამდენიც 1950 წელს **"მარაკანაზე"** ბრაზილიასა და ურუგვაის ნაკრებების მსოფლიო ჩემპიონატის საფინალო მატჩზე შეიკრიბა. დიახ, მაშინ ამ არენამ 199.854 ადამიანი დაიტია, რითაც ყველა სპორტული რეკორდი იქნა მოხსნილი.

ბრზილიელი სპორტული ჟურნალისტი ტეიშეირა ჰაიზერი ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებს თუ როგორ აწვებოდნენ ფეხბურთელები ავტობუსს ფინალამდე რამდენიმე საათით ადრე.

ბრაზილიელები იმდენად დარწმუნებულები იყვნენ საკუთარ გამარჯვებაში, რომ მატჩის წინა დამეს საგანგებო წვეულება მოაწყვეს. მთელი ქვეყანა დარწმუნებული იყო, რომ ზიზინიო და კამპანია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოიგებდა. ბრაზილიელთა წაგებაზე ხუმრობითაც კი არ იღებდნენ ხმას. ასეთი რამ მათ თავშიც კი არ მოსდიოდათ.

ხშირად გაგვიგია **"სავსე სტადიონი"**, თუმცა სინამდვილეში სტადიონი **"მარაკანაზე"** მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონატის ფინალში, როგორც იტყვიან – **"პირამდე გაივსო"**.

შეხვედრის 47-ე წუთზე შესანიშნავი თავდამსხმელი ფრიასი ბრაზილიის ნაკრებს აწინაურებს. მთელი ბრაზილია ზეიმობს. სტადიონზე საყოველთაო ექსტაზი და ადრენალინი მეფობს. მაგრამ 66-ე და 79-ე წუთებზე ურუგვაელებს ორი გოლი გააქვთ და წინ გადიან. მასპინძელთა თამაში წამის უმალ იმსხვრევა, ფეხბურთელების მოძრაობაში უკვე აღარ იგრძნობა **"ბრაზილიური"** თავდაჯერებულობა, გამარჯვებისადმი დაუოკებელი სწრაფვა...

როცა ინგლისელმა არბიტრმა მატჩი დაასრულა, შოკურ მდგომაეობაში არა მხოლოდ სტადიონი იყო – ბრაზილიას თვითმკვლელობის ტალღამ გადაუარა, რაზეც შემდეგში გაზეთებში უამრავს წერდნენ.

ფიფას პრეზიდენტი ჟიულ რიმე მოსალოც სიტყვას პორტუგალიურ ენაზე ამზადებდა, თუმცა ურუგვაელების გამარჯვების შემდეგ იგი მაყურებლის წინაშე საერთოდ არ გამოსულა.

"მარაკანას" სტადიონზე ფინალური მატჩის დასრულების შემდეგ არ იყო არც მუსიკა არც რამე სხვა დაჯილდოვების ცერემონიის ატრიბუტი.

არა და, იმ მომენტისთვის მედლებზე უკვე ამოტვიფრული იყო 22 ბრაზილიელის სახელი და გვარი.

გამარჯვების გოლის ავტორმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა:

"მატჩის შემდეგ ისეთი სიწყნარე იყო, რომ ბუზის ხმასაც კი გაიგონებდი".

ბრაზილიის ნაკრები უმეტესობა ეროვნულ გუნდში მიწვევას აღარ ღებულობდა, ხოლო მეკარე ბარბოზას უსტვენდნენ, სადაც არ უნდა გამოჩენილიყო. იმდროინდელი ბრაზილიის ნაკრების ფორმა გააუქმეს და გადაწყვიტეს იმ მაისურში გამოსვლა, რომელიც ბრაზილიელებს დღეს აქვს.

მაგრამ 1950 წლის ფინალური ტრაგედია 2014 წელს უკვე ნახევარფინალში განმეორდა, როცა გერმანიის ნაკრებმა ბრაზილიელები მართლაც გამანადგურებელი (7:1) ანგარიშით დაამარცხა. ამგვარი ანგარიშით, მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, ნახევარფინალში, ჯერჯერობით არცერთი გუნდი არ დამარცხებულა. ერთადერთი მაჩვენებელი, რაც ამ ანგარიშს უახლოვდება, გახლდათ 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი ქვეჯგუფში, როცა უნგრეთის **"დიდმა გუნდმა"** გერმანიის ნაკრები ანგარიშით 6:1 დაამარცხა, თუმცა ფინალში იგივე გერმანიასთან წააგო...

და აი, სტადიონ **"მარაკანას"** მთავარ საიდუმლოსაც მივადექით. ამის შესახებ ბევრმა ბრაზილიელმაც კი არ იცის, რომ ზუსტად 1950 წლის ფინალური მატჩის შემდეგ გადაღებეს სტადიონი ურუგვაის დროშის ფერებში.

ლეგენდა ამბობს, რომ **"მარაკანა"** მუდმივად ასეთი დარჩება, თუმცა ბრაზილიის მთავარი სტადიონის ქვეყნის დროში ფერებში გადაღება, რომ მოხერხდეს ერთი ამბავი უნდა მოხდეს.

ყველაფერი ძალიან მარტივია – ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი **"მარაკანაზე"** უნდა მოიგოს.

1950 წლის ავადგასახსენებლი ფინალის შემდეგ 64 წელი გავიდა. პირველად იმ დროის შემდეგ ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი **"მარაკანაზე"** გაიმართა, თუმცა მასში ფინალს მიღმა დარჩენილმა ბრაზილიის ნაკრებმა კვლავ ვერ მიიღო მონაწილეობა.

ბედისწერად ქცეულმა წყევლამ კიდევ ერთხელ იჩინა თავი და 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს ბრაზილიის ნაკრები მაყურებლის ამპლუაში შეხვდა.

მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტი, რომ 2014 წლის ფინალურ მატჩამდე რამდენიმე თვით ადრე **"მარაკანადან"** ფასადზე ლურჯი ფერი მოაშორეს, თუმცა მთლიანად არენის გადაღებვა მაინც ვერ გადაწყვიტეს.

ახლა სტადიონი მთლიანად თეთრი ფერისაა, თითქოს მხატვარს ელოდება, რომელსაც დიდი ტრიუმფის შემდეგ სანატრელი მუზა მიუვა, თუმცა, არავინ იცის, რამდენი ათეული წლის შემდეგ დაუდგება ბრაზილიის ნაკრებს **"ტრიუმფის დღე"** საკუთარ სამშობლოში!

როდის გადაღებავენ სტადიონს ორმოცდაათი თუ კვლავ სამოცდაოთხი წლის შემდეგ – ჯერჯერობით უცნობია.

ამიტომ, ეს პროცედურა, რომ არ გაწელილიყო, 2014 წელს ბრაზილიის ნაკრებს ფინალური მატჩი უნდა მოეგო, მან კი ნახევარფინალიდანაც ვერ გააღწია...

ოცნება კვლავ ოცნებად დარჩა და არავინ იცის კიდევ რამდენი ხნით გადაიწევს ბრაზილიელი ფეხბურთელებისა და გულშემატკივრებისათვის ამ ილუზიად ქცეული ოცნების ახდენის თარიღი...

მანამდე კი **"მარაკანზე"** რამდენიმე ასეული სკამი ახსენებს საფეხბურთო ერს 1950 წლის კოშმარს, ხოლო ქალაქ ბელუ-ორიზონტეს სტადიონი იმ უდიდეს გაწბილებას, რომელიც 2014 წლის ივლისში კიდევ უფრო საშინელ ფორმებში განმეორდა.

არავინ იცის, ვისი წყევლა დასდევს ასე საბედისწეროდ ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებს, რომელმაც ხუთ ჩემპიონატში გაინაღდა ჩემპიონის ტიტული, საკუთარ სამშობლოში კი საშუალო დონის გუნდთა შორის ჩარჩა!

გამოვიდა ლავრენტი ბერიას თარგმანის მეორე ტომი



გამოვიდა მეორე ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

ქმარი ტელევიზორში კაშპიროვსკის სეანსს უყურებს და ამბობს:

– რა ვქნა, მაგის არ მჯერა! – და ეკრანს ცერა თითს უჩვენებს. თითი სამჯერ გაეზრდება. კაცი შოკშია, ქალი კი მშვიდად ეუბნება:

– ჯობდა, რამე სხვა გეჩვენებინა!

* * *

თებრო და მარო ჭორაობენ:

– ჩემი მეზობელი მიტუაი კბის ქვეშ ხელს შემიყოფს ხოლმე და რადაცას ფათურობს...

– ფრთხილად იყავი, ქა, ფულს ჩულქის ყელში ნუ ინახამ!

* * *

მეგრელი კაფეში შევიდა.

– სუპი მომიტანეთ. ცოტა ხანში ოფიციანტს ეძახის:

– ეგი სუპია თუ ჩაი? თუ სუპია, მარილი მომიტანე, თუ ჩაია – შაქარი!

* * *

ქუთაისელი ლუვრს ათვალიერებს.

– ნახატებს ხელით ნუ ეხებით! – აფრთხილებს თანამშრომელი.

– რა უჭირს, დაია, აქედან რომ გავალ, ხელს დევიბან...

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ცირეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარედ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge